ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 დეკემბერი 1999 №244 (1017) | ფასი 50 თეთრი

# რივალდო!

„ფრანს ფუტბოლმა“ გუშინ წლევანდელი სეზონის ლაურეატთა ვინაობა ოფიციალურად გამოაცხადა. ტრადიციული რეფერენდუმის მიხედვით, 1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ნახევარმცველი რივალდო დასახელდა. მან 219 ქულა მოაგროვა და დიდი უპირატესობით აჯობა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შუახაზელ დევიდ ბექემს — 154 ქულა. 64 ქულით მესამეა „მილანის“ უკრაინელი ანდრეი შევჩენკო. რეფერენდუმში, ტრადიციულად, „სარბიელიც“ მონაწილეობდა და ჩვენი რჩეულიც რივალდო იყო.

საინტერესოა, რომ შარშანდელი გამოკითხვის გმირებიდან (ზიდანი, რონალდო, შუკერი) წლეულს ათეულში ვერცერთი მოხვდა. შევახსენებთ, რომ 1995 წლამდე „ფრანს ფუტბოლი“ მხოლოდ ევროპელთაგან ირჩევდა საუკეთესოს, ბოლო ხუთი წელია ეს წესი შეიცვალა და ახლა ბებერ კონტინენტზე მოთამაშე ნებისმიერი ეროვნების ფეხბურთელს შეუძლია გამარჯვება.

„ფრანს ფუტბოლისას“ დაემთხვა „უორლდ სოკერის“ გამოკითხვის შედეგებიც. ჟურნალის ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო გახდა (ხმების 42,27 პროცენტი), მეორეზე ბექემი გავიდა (26,55), მესამეზე — შევჩენკო (9,02).

„სოკერის“ მიხედვით წლის საუკეთესო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედია“, ხოლო უპირველესი მწვრთნელი — სერ ალექს ფერგიუსონი.

FRANCE Football

1. რივალდო (ბრაზილია, „ბარსელონა“) ................ 219
2. დევიდ ბექემი (ინგლისი, „მანჩესტერ იუნაიტედი“) ...... 154
3. ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, „მილანი“) ................ 64
4. გაბრიელ ბატისტუტა ......... (არგენტინა, „ფიორენტინა“) .... 48
5. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, „ბარსელონა“) .. 38
6. როი კინი (ირლანდია, „მანჩესტერ იუნაიტედი“) ....... 36
7. კრისტიან ვიერი (იტალია, „ინტერი“) ................ 33
8. ხუან სებასტიან ვერონი (არგენტინა, „ლაციო“) ......... 30
9. რაული (ესპანეთი, მადრიდის „რეალი“) .......... 27
10. ლოთარ მათეუსი (გერმანია, „ბაიერნი“) ................ 16



REUTERS

1 რივალდო
ბარსელონა • ბრაზილია



2 დევიდ ბექემი
მანჩესტერი • ინგლისი



3 ანდრეი შევჩენკო
მილანი • უკრაინა

# მთავარია ტაბლო



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელები: რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი

შაბათს, 18 დეკემბერს, სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში შედგა სფფ-ს პრეზიდენტის დაპირებული პრესკონფერენცია, რომელზეც სპორტული მასმედიის წარმომადგენლებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ტანდემი — რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი წარუდგა.

მოგეხსენებათ, პრესკონფერენცია იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ჟურნალისტმა მისთვის საინტერესო კითხვა დასვას და ამომწურავი პასუხი მიიღოს... შაბათის პრესკონფერენცია ეროვნულ ნაკრებს ეხებოდა და, ბუნებრივია, საკითხავიც ერთობ მოგვქარბებოდა, თუმცა...

იხილეთ მეორე გვერდი

## ვილაპარაკოთ საქმეზე

უსიამოვნო ფაქტი მოხდა 18 დეკემბერს საქართველოს ნაკრების თავკაცთა პრესკონფერენციისას — ერთ-ერთ კითხვაზე ეროვნული გუნდის მწვრთნელთაგანმა, დავით ყიფიანმა კონკრეტული პასუხისგან თავი შორს დაიჭირა და... პრესკონფერენცია უფრო სხვათა დაწერილ-ნათქვამის გარჩევას დაემსგავსა.

ყიფიანმა თითქმის ორი საათი „სარბიელზე“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე ილაპარაკა, ბოლოს კი შარიც მოგვდო, თქვენი „დამსახურებაც“ არის, ქართული ფეხბურთი ასეთ დღეში რომ არისო. ამაზეც და სხვა აბსურდულ გამონათქვამებზეც მწვრთნელმა პასუხი კი მიიღო, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ საერთო საქმეს, რასაც ხშირად ახსენებდა ყიფიანი, ამით არაფერი შეემატა, პირიქით...

ჩვენ ჩვენი აზრი, მოვლენების შეფასებისას საკუთარი პოზიცია გვაქვს და ჩვენს საქმეს როგორც საჭიროდ ჩავთვლით, ისე გავაკეთებთ. მწვრთნელთა კომპეტენციაში კი არასდროს ჩავრეულვართ და ნურც სხვა ჩაერევა ჩვენს პროფესიულ საქმიანობაში. ამას მავანთა დაუხმარებლადაც მოვახერხებთ.

სარბიელელები

დასაწყისი პირველ გვერდზე

# დაიოკეთ ნერვები, იფიქრეთ მომავალზე

## მთავარია ტაბლო — ამბობენ მწვრთნელები


რევაზ ძოძუაშვილი


დავით ყიფიანი

გურამ წიბახაშვილის ფოტოები

პრესკონფერენცია დავით ყიფიანის მონოლოგში გადაიზარდა, რომელიც საკმაოდ ვრცელი გამოდგა. ჟურნალისტებმა მოვისმინეთ, რომ:

ჩვენ არა ვართ პროფესიონალები...

ჩვენ ვწერთ ღვარძლიანად...

ჩვენ მიგვიძღვის დიდი ბრალი ქართული ფეხბურთის დაღუპვაში...

ჩვენ ჯერ ავაყვავეთ და შემდეგ მიწაზე დავანარცხეთ ბოსკამპი...

ჩვენ არ ამოვიღეთ ხმა მაშინ, როცა რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ნაკრებიდან გაუშვეს.

ჩვენ ვერ ვწერთ ისე, როგორც საჭიროა. რომ თუ მოინდომა, დავით ყიფიანი ძალიან მაგარ რამეებს დაწერს...

თუ ბიჭები ვართ, დავწეროთ, რომ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან ვერ გავა და როცა დრო დადგება, მტყუან-მართალს ხალხი დაინახავს...

ერთი სიტყვით...

*რევაზ ძოძუაშვილი:* ჩემთვის დიდი პატივია დავით ყიფიანის მხარდამხარ მუშაობა. ადრეც ერთად ვწვრთნიდით საქართველოს ნაკრებს და მგონი, ჩვენს ხელში ბიჭებს ურიგოდ არ უთამაშიათ. კარგი იქნებოდა, ასევე გაგვეგრძელებინა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა გუნდს ალმავლობის პერიოდი ჰქონდა, ფედერაციამ ჩვენი მწვრთნელობა აღარ ინება და თანამდებობიდან გაგვათავისუფლა. მაშინ მე და ყიფიანს ერთმანეთისა კარგად გვესმოდა, შეხმატკბილებულად ვმუშაობდით, მას თავისი საქმე ჰქონდა, მე — ჩემი. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. პრობლემა არ არის, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს.

*მერე ყიფიანის ჯერი დადგა და კითხვაზე, რას ფიქრობთ ორი თანაბარუფლებიანი მწვრთნელის დანიშვნაზე, ხომ არ ჯობდა, ნაკრები ერთისთვის ჩაებარებინათო, ერთობ ვრცელი, დიდაქტიკური ტონით შეზავებული პასუხი გაგვცა. აი, ნაწყვეტი სიტყვა-სიტყვით ჩანაწერიდან.*

*დავით ყიფიანი:* იქით მაქვს თქვენთან კითხვა, დარწმუნებული ხართ, რომ ორი მწვრთნელი ვერ გაამართლებს? ადექით და დაწერეთ, ყიფიანს და ძოძუაშვილს შედეგი არ ექნება, მათი გუნდი წასაგებად განწირულიაო. რატომ არ წერთ? თქვენ თუ პროფესიონალები ხართ, დაწერეთ, რომ ეს ტანდემი არ გაამართლებს და ხვალის პასუხისმგებელი ხართ. დრო გავა და მერე ვილაპარაკოთ, გაამართლებს თუ არა. ალბათობის თეორიით ერთმანეთს ელაპარაკეთ. აი, დაწერეთ, როგორც სპეციალისტებმა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ტანდემი არ იმუშავებს, ესენი გუნდს ვერ გააკეთებენ, ჩვენი შეხედულებით ეს ესაო. როცა დრო გავა, დავჯდეთ და ვილაპარაკოთ, თქვენ იქნებით მართალი, თუ ჩვენ. თქვენ ლაპარაკობთ იცით როგორ? არც მწვავდი გინდათ დაწვათ და არც შამფური... ეს ჩემი ბოლო შეხვედრაა ჟურნალისტებთან, მე ჩემი პოზიცია მაქვს. არც ერთი კონკრეტული ფაქტი, რომელიც გუნდის ცხოვრებას შეეხება დამალული არ იქნება, მთლიანად მიიღებთ ინფორმაციას. ვილაპარაკებ მხოლოდ ციკლის დამთავრების მერე. ყოველ კვირა, ორ თვეში ერთხელ არ მაწყობს, ეგ მე არ გამიკეთებია და არც იქნება. გუნდში არის პრესატაშე, არიან მწვრთნელები, რომლებიც თქვენთვის საინტერესო კონკრეტულ საკითხზე კონკრეტულად გიპასუხებენ. მე მაქვს სუბიექტური აზრი, რომ თქვენ ლაპარაკობთ იმას, რაც მერე ან გამართლდება, ან არა...

პროგნოზი არ არის სწორი . ეგ არ არის პროგნოზი, რასაც თქვენ ამბობთ. ეგ თამაშია. იცით, ჯერ ხალხი არ მოსულა სამუშაოდ და უკვე ხუთი მილიონი იმაზე ფიქრობს, ესენი გიჟები არიანო...

...თქვენ რა იცით, მე და რეზომ რაზე ვილაპარაკეთ, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით? ეს გადაწყვეტილება კი, ჩვენი აზრით, ქართულ ფეხბურთს გამოადგება. აქ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ რომელიმე ჩვენთაგანმა და თქვენც რამდენიც უნდა წეროთ, ყველაფერს შედეგი აჩვენებს...

...თქვენ ცაში აიყვანეთ ბოსკამპი და ერთ კვირაში დამარხეთ. ის გაზეთები თქვენ თუ არ გაქვთ, მე მაქვს შენახული... ეს არის გენიოსიო? ერთ კვირაში, უცებ გენიოსი კი არა... არც ეგეთი დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელია, რომ იცოდეთ...

...მე ცოტა გაღიზიანებული ტონით გელაპარაკებით, მაგრამ მე ვერ შეგაგნებინეთ თქვენ, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ.

...შეიძლება თავიდანვე ამდენი ღვარძლი...

*კარგა ხანს ილაპარაკა ყიფიანმა, კიდევ ბევრი რამ თქვა, თუმც... ჯობს, ის წაიკითხოთ, რაც მან და რევაზ ძოძუაშვილმა უშუალოდ ნაკრებზე თქვეს, ანუ ის, რისთვისაც შევიკრიბეთ.*

*ძოძუაშვილი:* ჩვენ არაფრის გვეშინია, მეტოქეებს აქეთ შეეშინდეთ ჩვენი. გამოცდილება უკვე საკმაო გვაქვს. ჩვენ ვიცით ჩვენი საქმის.

*ყიფიანი:* საქართველოს ნაკრებისთვის პროგრამა-მაქსიმუმი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მოხვედრაა, მინიმუმი კი ისეთი გუნდის შექმნა, რომელიც გამართულ, თანამედროვე ფეხბურთს ითამაშებს, არც თავს შეირცხვენს, არც ქვეყანას შეარცხვენს. უკრაინის მაგალითი აიღეთ, წააგეს მათ სლოვენიელებთან, მაგრამ სახელი დატოვეს. უკრაინელებს არ რცხვენიათ ეროვნული გუნდის.

*ძოძუაშვილი:* როგორც კი საშუალება გვექნება, ეროვნულ ჩემპიონატში პატარა „ფანჯარა“ იქნება, მაშინვე შევკრებთ საქართველოს კლუბების ნაკრებს და რომელიმე გუნდს გავაჯიბრებთ. ასე აჯობებს და ნაკრების კანდიდატებიც მუდამ თვალთახედვის არეში გვეყოლება.

*ყიფიანი:* კარგი საქმე გაკეთდა, რომ შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო. ისინი მე და ძოძუაშვილს დაგვეხმარებიან, საქმეს შეგვიმსუბუქებენ. მაგალითად, 22 დეკემბერს საბჭოს წევრების შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი და ნაკრების 40-50 კანდიდატზე ვილაპარაკებთ. მათ აზრს მოვისმენთ. საბჭოს წევრების დახმარებით თითოეულ მათგანზე დაწვრილებითი ინფორმაცია გვექნება. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას მოვუსმენთ, თუმც საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ მე და რეზო მივიღებთ. ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლა ადრე ბევრ ფეხბურთელს არ უნდოდა, სულ ვაგებთო, ამბობდნენ. ჩვენი ვალია, ეს გამოვასწოროთ, ბიჭებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია უნდა ჩამოვუყალიბოთ.

*ძოძუაშვილი:* ნაკრები თუ სულ ერთი ტაქტიკური მონახაზით თამაშობს, ჩათვალეთ, რომ შეხვედრას ვერ მოიგებს. მეტოქეს გაშიფრული ექნება ჩვენი ტაქტიკა. ამიტომაც მატჩისას გადაწყობა უნდა შეგვეძლოს, მოწინააღმდეგეთ სიურპრიზებს მოვუმზადებთ, თუმცა დღეს ვერაფერს დაგიკონკრეტებთ.

*ყიფიანი:* ტაქტიკას კონტიგენტიდან გამომდინარე ავარჩევთ. უნდა ვიცოდეთ თითოეულის შესაძლებლობები მოცემული თამაშის წინ.

*ძოძუაშვილი:* დღის 11 და უფრო მეტი ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც ნაკრებში უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. ასე რომ [illegible] დაუცუცულნი ვართ [illegible] ეგაა.

*ყიფიანი:* მეკარეების პრობლემა კარგა ხანია, გვაქვს. ჯერჯერობით ერთი გვარამაძეა, სტაბილურად რომ თამაშობს. ტოგონიძის იმედიც გვაქვს. არაა გამორიცხული, საქართველოში უცხოელი ჩამოვიყვანოთ და ჩვენი მოქალაქეობა მივაღებინოთ.

*ძოძუაშვილი:* ზაზა ჯანაშიას აუცილებლად მოვიწვევთ, როგორ შეიძლება მისნაირი ფეხბურთელის არგამოყენება. თუ საჭირო იქნება, თამაშამდე სამი დღით ადრე ჩავალ მოსკოვში და ჩამოვიყვან. თუმცა ყველამ იცოდეს, უდისციპლინობას არავისვაპატიებთ.

*ყიფიანი:* ჩვენ მხოლოდ შედეგისთვის ვითამაშებთ. მთავარი მოგება იქნება. მოიგე და როგორც გინდა, ითამაშე. ტაბლო მეტყველებს ყველაფერზე. ფორვარდების რაოდენობას დღეს ვერ გეტყვით. იქნებ ხუთი თავდამსხმელი ერთად ვათამაშოთ, შესაძლოა ერთიც მეტოქეს გააჩნია.

*ძოძუაშვილი:* ადრე, როცა მე და ყიფიანი ერთად ვმუშაობდით, ფეხბურთის ფედერაციაში გარკვეულ ხალხს ჩვენი ნაკრებიდან ჩამოშორება სურდა. ამას ფეხბურთელებიც გრძნობდნენ, რაც მათ თამაშზეც ახდენდა გავლენას.

*ყიფიანი:* ჩემი და რეზოს ადრინდელი მუშაობის პერიოდში ყველაზე დიდი ნაკლი გუნდის გამოუცდელობა იყო. მე, სხვათა შორის, როცა ინგლისში ვთამაშობდით, „უემბლის“ გაზონზე პირველად დავაბიჯე ფეხი.

და კიდევ. მე და რეზომ ნაკრებში მუშაობისას ოპტიმალურ შემადგენლობას ვერაფრით მოვუყარეთ თავი. ხან ვინ იყო ტრავმირებული, ხან — ვინ. ერთი, სასურველი შემადგენლობა მხოლოდ სომხებთან თამაშისთვის გამოვიძახეთ.

*ძოძუაშვილი:* ყვირილით, ჩხუბით, დავიდარებით არაფერი გამოვა. ხალხს სტადიონზე მისვლა უნდა სიამოვნებდეს. ერთად უნდა ვიყოთ.

*ყიფიანი:* საზოგადოებრივი აზრი თუ შეიქმნა, თანამდებობის დატოვება რა პრობლემაა. დავიხურავ ქუდს და წავალ. აზრთა გაყოფისას კი საბოლოო სიტყვა ფედერაციამ უნდა თქვას.

ბოლოს მწვრთნელებმა მომავალ კალენდარზეც გვითხრეს — ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კარგი იქნება, ლიტველებს თუ ვუმასპინძლებთ, მერე კი იტალიასა და რუმინელებს. ხომ იცით, ნაჩემპიონატევს ყველა გუნდი ცუდ ფორმაშია. ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ. სავარაუდოდ, კალენდარზე 10 იანვარს შევთანხმდებითო.

*ყიფიანი კი, როგორც თავად განაცხადა, ჟურნალისტებს კარგა ხნით დაგვემშვიდობა, შესარჩევი ციკლის ბოლომდე.*

**კობა ინასარიძე**

# კოლხეთს მახარაძე არ სჭირდება


მიხეილ ქობულაძე (№16) „კოლხეთს“ უბრუნდება

ბადრი [illegible] ფოტო

XI ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას ზოგიერთი გუნდები ნელნელა შეუდგნენ. მათ რიცხვშია ფოთის „კოლხეთიც“.

ზღვისპირელები 15 დეკემბერს, მართალია არასრული შემადგენლობით, მაგრამ მაინც შეიკრიბნენ პირველ ვარჯიშზე, რომელიც გუნდმა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო დარბაზში გამართა.

რა ხდება „კოლხეთში“? განსაკუთრებული არაფერი, რამდენიმე ფეხბურთელს სურვილი კი ჰქონია, მაგრამ გუნდიდან ჯერ არავინ წასულა. არც ის არის ცნობილი, ვის შეიმატებენ. ეგ არის, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სეზონის დაწყების წინ თბილისურ „ლოკომოტივში“ განათხოვრებულნი — მიხეილ ქობულაძე და ლევან შავგულიძე ალბათ გუნდშიც დაბრუნდებიან. „ვარჯიშზე ჯერ არ გამოცხადებულან, მაგრამ დანამდვილებით გეტყვით, რომ ორივე უკან გვიბრუნდება. ეს თავად მიშამაც და ლევანმაც დაგვიდასტურეს“ — გვითხრა „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ სატელეფონო საუბრისას.

ბატონ თენგიზს ერთი ამ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციის შესახებაც ვკითხეთ. მავანნი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, „ლოკომოტივიდან“ ახლახან გათავისუფლებულ თემურ მახარაძეს უკვე „კოლხეთი“ ჩააბარეს, თუ არადა მაინც აუცილებლად დანიშნავენ მას მთავარ მწვრთნელადო. ქოიავას პასუხი ლაკონიური გახლდათ: „აბსურდია, თემურ მახარაძის კანდიდატურა საერთოდ არ გაგვიხილავს. ასეც რომ იყოს, თავად ჩვენ არ დავნიშნავთ. გუნდში გია ტყებუჩავაა და ასეც იქნება. ვერ გამიგია, ვის რაში აძლევს ხელს ასეთი ჭორები“.

„კოლხეთი“ იანვრის შუა რიცხვამდე ფოთში მოემზადება, მერე კი შარშანდელივით ჯერ ბაკურიანში გავლის 10-დღიან შეკრებას. გუნდი ისევ სასტუმრო „მწვანე ველში“ დაბინავდება, სადაც ნაყოფიერად მოსამზადებლად მშვენიერი პირობებია შექმნილი. 2 თებერვლისთვის კი კარგად ნაცნობ ბულგარეთში წავლენ.

როგორც გია ტყებუჩავამ თქვა, გუნდში 22-24 ფეხბურთელი იქნება.

...გახურებული სეზონი იყო. ჩემპიონატის ერთ-ერთ საშინაო მატჩისას „კოლხეთს“ ერთბაშად ორი ფეხბურთელი დაუშავდა, ორივე მცველი — კახაბერ გოროზიამ ტვინის შერყევა მიიღო (ახლო მანძილიდან უძლიერესად დარტყმული სახეში მოხვდა), ხოლო გია გიორგაძემ ლავიწის ძვალი გაიტეხა და მეტად მძიმე ოპერაციაც გადაიტანა. გოროზიას მაშინ ათდღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. თუ გახსოვთ, ფოთელთა კაპიტანმა პირველი ეტაპის ბოლო მატჩებიც ითამაშა. აი ვეტერან გიორგაძის საქმე კი უფრო სერიოზულად იყო. „გია გიორგაძე ახლა კარგადაა, სრულიად გამოჯანმრთელდა და ვარჯიშსაც მთელი დატვირთვით შეუდგა.

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალანია დემეტრაძეში 4 მილიონს ითხოვს

გუშინ ვლადიკავკაზის „ალანიას“ გენერალურმა დირექტორმა ბითრაზ ბითაროვმა, როგორც იქნა გაამხილა თანხა, რომელსაც გიორგი დემეტრაძეში ითხოვს. „ალანია“ დემეტრაძეს 4 მილიონ დოლარად ყიდის, კიევის „დინამო“ კი გაცილებით ნაკლებს გვთავაზობს“ — თქვა მან.

ბითაროვმა განაცხადა, რომ „ალანია“ მხოლოდ მას შემდეგ გაუშვებს დემეტრაძეს, როცა ზემოთ ალნიშნულ თანხას მიიღებს. მან არ გამორიცხა, რომ წლეულს დემეტრაძის ტრანსფერი კიევში არ შედგება. თუმცა, როგორც დამკვირვებლები ვარაუდობენ, დემეტრაძე იანვარში მაინც გადავა „დინამოში“. მოსალოდნელია, რომ კიევის „დინამო“ მეფურ მასპინძლობას გაუწევს „ალანიას“ საკუთარ ბაზაზე კონჩე ზასპეში, სადაც ვლადიკავკაზური კლუბი 13 იანვრიდან ორკვირიან შეკრებას გაივლის. შემდეგ კი კლუბი შეკრების თანხას დემეტრაძის ტრანსფერიდან დაუქვითავს „ალანიას“.

**სიმონ მენაბდე**

# ქართველების ბედი გუბერნატორის არჩევნებზე ჰკიდია

რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებით, 2000 წლის ჩემპიონატში რუსეთის მეორე დივიზიონში უცხოელებს თამაშის უფლება აღარა აქვთ. ამ გადაწყვეტილებამ უგუნდოდ დატოვა ოთხი ქართველი — მერაბ მეგრელაძე, მამუკა მანაგაძე, გელა წიქარიშვილი და ავთო მამინაშვილი. ისინი, როგორც ადრე გაცნობეთ, აღმოსავლეთ ზონაში მოთამაშე ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცის“ ღირსებას იცავდნენ.

ქართველების მდგომარეობას კიდევ უფრო ის ამძიმებს, რომ მათ გასულ სეზონში თითქმის საერთოდ არ აუღიათ გასამრჯელო და კლუბში ვერც ვერავინ ეუბნება, როდის გადაუხდიან კუთვნილ ხელფასს, „ჩკალოვეცის“ მთავარი მწვრთნელი სერგო ირომაშვილი საერთოდ უცნაურად იქცევა: იმ დროს, როცა კლუბის არსებობაც კი საეჭვოა, იგი საქართველოში ჩამოდის და ფეხბურთელების წაყვანას ლამობს. ჩვენი მონაცემებით, ირომაშვილმა წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწია გურჯაანის „ალაზანის“ მეკარე გიორგი გაბელიასთან, თუმც გაურკვეველია, როგორ ითამაშებს „ჩკალოვეცში“ გაბელია, როცა უცხოელებს მეორე დივიზიონში თამაში აეკრძალათ.

ირომაშვილი კიდევ ერთ სკანდალშია გახვეული — მას ტრანსფერის ფულის ყალბი მინდობილობით გადახდა ბრალდება.

როგორც ნოვოსიბირსკელი ჟურნალისტები აცხადებენ, „ჩკალოვეცი“ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ კვირას რუსეთში გამართულ დუმის არჩევნებზე მხარის გუბერნატორად ნოვოსიბირსკის ახლანდელი მერი — ვიქტორ ტოლოკონსკი გავა. მაშინ გუნდში ფულიც იქნება და ახალ ფეხბურთელებსაც აიყვანენ. თუ მას მხარის ადმინისტრაციის ახლანდელი ხელმძღვანელი ვიტალი მუხა აჯობებს, — „ჩკალოვეცი“ ალბათ, არსებობას შეწყვეტს. მუხას ინიციატივით უკვე შეიქმნა მეორე კლუბი ქალაქში, რომელიც ახალ სეზონში სწორედ აღმოსავლეთ ზონაში ითამაშებს.

**სიმონ მენაბდე**

# კახა კალაძე სეზონის ბოლომდე კიევში დარჩება

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველმა, 21 წლის კახი კალაძემ სააგენტო „როიტერთან“ საუბარში უარყო ხმები, თითქოს იგი წლეულსვე ტოვებს კიევს და სათამაშოდ იტალიურ „მილანში“ მიდის. „ჩემთვის ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ „დინამოსა“ და „მილანს“ შორის არსებობს ხელშეკრულება, რომელიც ჩემი ყიდვის უფლებას უპირველესად „მილანს“ აძლევს. ისე, მე არავინ დამლაპარაკებია არც „მილანიდან“, არც „ბარსელონადან“ და არც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“. სულ მალე „დინამოს“ პრეზიდენტ გრიგორი სურკისთან გავარკვევ, თუ რამდენად მართალია ხმები ამ კლუბების ჩემით დაინტერესების შესახებ. თუმცა ყველა შემთხვევაში სეზონის ბოლომდე კიევში დავრჩები“ — თქვა კალაძემ.

არაოფიციალური ინფორმაციით დასავლეთ ევროპის გრანდები, კალაძეში 10-15 მილიონს იხდიან „დინამო“ კი 20 მილიონ ითხოვს.

**სიმონ მენაბდე**

სარბიელის არქივიდან




კახა კალაძე

გელა კილაძის ფოტო



„ლოკომოტივში“ ცვლილებები მოსალოდნელი...

# ერთი საღამო ლოკომოტივთან და ძოძუაშვილთან ერთად

ამგვარი ხალხმრავლობა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშზე თუ მინახავს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს ფეხბურთში ვარსკვლავური იმიჯის მქონე ადამიანი, გინდ ფეხბურთელი, გინდაც მწვრთნელი — რა ბედენაა, მთავარია, ვარსკვლავური იმიჯი გააჩნდეს და მაყურებელიც, ბუზისა არ იყოს, ბაღდადიდან მოვა.

ვარსკვლავურ იმიჯზე ვთქვათ და რევაზ ძოძუაშვილს ცოტა მწვრთნელი თუ შეედრება პოპულარობით ჩვენში. მიხიჩას გამო თუ იყო, „ლოკომოტივის“ საწვრთნელ ბაზას მანქანებისა და ღობის გარედან მაცქერალთა ზღვა რომ შესეოდა. მათ შორის ამჟამად მოქმედი და სხვა გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებიც მრავლად შევნიშნეთ. იდგნენ ბიჭები და მინდორს უცქერდნენ. მინდორზე იდგა მიხიჩა — რევაზ ძოძუაშვილი და მათი ინტერესის საგანიც ეს გახლდათ.

სანამ საქართველოში ნაკრებისა და „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელად დაბრუნებული ძოძუაშვილის ვარჯიშს აღვწერდეთ, ორიოდე სიტყვით ფეხბურთელებზე და იმ ხალხზეც ვთქვათ, ვინც ძოძუაშვილს კვირა საღამოს (და ალბათ, შემდგომაც) მუშაობაში ეხმარებოდა.

„ლოკომოტივის“ მეორე თავკაცი თემურ ჩხაიძე იქნება. მწვრთნელებს შალვა კაკაბაძეც დაეხმარება წმინდა სამწვრთნელო რალაცეებში, ამათ ერთი ფიზმომზადების სპეციალისტიც (ოღონდ სტადუხინი არა, ის ღობის გარედან აკვირდებოდა პროცესს) დაუმატეთ და აჰა, რკინიგზელთა სამწვრთნელო შტაბიც.

ახლა რაც შეეხება ფეხბურთელებს. ამ ეტაპზე „ლოკომოტივში“ ოცდაათამდე მოთამაშე ვარჯიშობს. ამათგან ცოტაა ისეთი, ვინც მეთერთმეტე ეროვნული „ლოკომოტივში“ გაატარა, გაცილებით მეტია ახალგაზრდა და მოწვეულებიც, რომელთაც აქამდე რკინიგზელთა გუნდთან კავშირი არ ჰქონიათ. სხვათა შორის ორიოდე ვეტერანსაც მოვკარით თვალი.

მეკარეებიდან დავიწყოთ. დავით ჯანელიძე რომ „ლოკომოტივიდან“ დაითხოვეს, ამაზე „სარბიელის“ მკითხველს უკვე ვაუწყეთ. ვარჯიშზე არ ჩანდა დავით ასლანაძეც. როგორც აგვიხსნეს, იგი მწვრთნელს მცირე ხნით დაუთხოვია და მალე ისევ დაუბრუნდება გუნდს. ორიოდე სულ ახალბედა, უცნობი და უწვერული მეკარის გარდა ცნობილი გოლკიპერებიც შევნიშნეთ კვირის ვარჯიშზე ლოკომოტიველთა შორის — ლევან დოლაბერიძეს ადრეც უთამაშია რკინიგზელთა გუნდში, დავით ივარდავაც ბოლო სეზონია, კლუბშია, აი გიორგი ბაბუაძისა და გიორგი ნიკურაძის ძოძუაშვილის საწმყოში აღმოჩენა კი ერთგვარი სიურპრიზი გახლდათ. ეტყობა, მიხიჩას უკვე დაუწყია სასელექციო მოღვაწეობა.

ეს მეკარეები. ახლა კი კონკრეტულად იმ ვეტერანებზე, რომელთა შესახებაც უკვე ვთქვით. ასეთი ორია — ერთი „ლოკომოტივში“ წლეულსაც მოთამაშე გიორგი ჩიხრაძე და მამია ჯუღელი, რომელსაც წლების სიმრავლე მხოლოდ გარეგნულად თუ დასტყობია, თორემ ისე ძველებურად მშვენივრად იდგა ცენტრში და პასებსაც ჩვეულად კოხტად ანაწილებდა (ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშზე ასე ჩანდა და ამას ძოძუაშვილის ვარჯიშის შემდგომი ქებაც ადასტურებს, ყოჩაღ, მამია, კარგიაო — კ.გ.)

ძველებიდან, ესე იგი, მათგან, ვინც მეთერთმეტე ეროვნულშიც კლუბში იყო, რუსია, ბაქრაძე, ბარნოვი, მელქაძე, ბალაშვილი, იაგორაშვილი, გველესიანი, ჩაჩუა შევნიშნეთ. ბიჭები ჟინიანად ირჯებოდნენ, აქაოდა მწვრთნელს ახალწვეულები მეტად არ მოეწონოსო.

ახალწვეულები კი, გაგიხარიათ, მოუწვევიათ რკინიგზელებს — ლევან და ლაშა სილაგაძეები, ცეზარ ხუროძე, კახა ალადაშვილი, ჩალაძე-უმცროსი — ერთი სიტყვით, როდესაც ამათ დროებით დათხოვნილი ფეხბურთელებიც დაემატებიან „ლოკომოტივში“ კონკურენცია იქნება, გიხაროდენ!

ვარჯიში დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. უნდა ითქვას, რომ უჩვეულო და საკვირველი, ანაც ახალი არაფერი გვიხილავს — ძოძუაშვილი იშვიათად მინდვრის შუაგულში, უფრო ხშირად კი სეირის მაცქერალთაგან შორს, მოედნის განაპირას იდგა და დაახლოებით ათ წუთში ერთხელ თუ ჩაერეოდა ვარჯიშის პროცესში, ისიც სასტვენის მოკლე სიგნალით. დიდი გეში და ალღო არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ძოძუაშვილს ამ ეტაპზე ფეხბურთელთა სათამაშო-ფუნქციონალური მზადყოფნაზე მეტად სასელექციო სამუშაოები აინტერესებდა: აღდგომა და ხვალეო — ყველაფერს ვიხილავთ, მოვისმენთ, გავიგებთ.

მერე, როცა ორმხრივი მატჩი გაიმართა, ძოძუაშვილმა ხმას აუმაღლა და ერთსიტყვიანი დარიგება (ბრძანებას უფრო ჰგავდა) გასძახა ფეხბურთელებს. „ორთაბრძოლები“ — თქვა ძოძუაშვილმა და ფეხბურთელებისთვის ყველაფერი ნათელი იყო.

მართალი გითხრათ, ბურთები და ანგარიში არ დამითვლია, გაიმარჯვა იმ გუნდმა (ალბათ), სადაც ხუროძე და რუსია თამაშობდნენ (რუსია აწოდებდა, ცეზარს გაჰქონდა).

მერე დაბნელდა, განათება სავარჯიშო მინდვრებზე კი არა, ქვეყნის უმთავრეს სარბიელზე არ გვყოფნის და მიხიჩამ დამთავრება ბრძანა. მადლობაც რომ ევროპელი მწვრთნელივით მოუხადა ფეხბურთელებს?! მოდი და ამტკიცე ამის მერე, ლატვიას ევროპამდე ბევრი უკლიაო.

ასეთი იყო კვირა საღამო „ლოკომოტივის“ შტაბბინაში — „ლოკომოტივთან“ და ძოძუაშვილთან ერთად.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# მიხეილ ჯიშკარიანი ჩერნომორეცში გადავიდა

სარატოვის „სოკოლის“ ქართველი ბომბარდირი, ერთ დროს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი მიხეილ ჯიშკარიანი ახალ სეზონში რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ ითამაშებს. ამის შესახებ ორ კლუბს შორის უკვე მიღწეულია წინასწარი შეთანხმება. „ჩერნომორეცში“ ირიცხება კიდევ ერთი ქართველი — ბადრი სპანდერაშვილი.

რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე დანარჩენი ქართველების ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. ცნობილია, რომ გელა გაბისონიამ („ვოლგარი“), ბესიკ ამაშუკელი („სპარტაკი“ ნალჩიკი) და ივანე ჯუღელმა („მეტალურგი“ ლიპეცკი) თავიანთი გუნდები დატოვეს. თუმცა რას აპირებენ, ჯერ არავინ იცის. რაც შეეხება სხვა ჩვენებურებს, ძმები ჯელაძეები „სოკოლში“ რჩებიან, ფრუიძე — „ვოლგარში“, სეფაშვილი — „სპარტაკში“, ხმელიძე — „ჟემჩუჟინაში“. მამუკა ხუნდაძემ (სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი“) თამაშს თავი დაანება.

**სიმონ მენაბდე**

# საქართველოს ნაკრებს ყიფიანი უხელმძღვანელებს

## მინიფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან



საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრები

**ჩვენში** მინი-ფეხბურთს დიდი პოტენციალი აქვს. დღეს ასეა და ამას შედეგიც მოწმობს. სხვა თუ არაფერი, ლატვია-ალბანელებთან მარცხნაჭამი, მეხუთეკალათოსანი გუნდის მყვარებელთ დიდ ფუფუნებად უნდა მოგვეჩვენოს ის, რომ ჩვენი დარბაისელი დარბაზის ფეხბურთელთა ნაკრები საერთო ევროპულ რეიტინგში უკეთეს ათეულს არასდროს ჩამოშორებია. ჩვენი ნაკრები მინი-ფეხბურთში ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და ამ გუნდის მოთამაშეები საერთაშორისო მინისაფეხბურთო ბაზარზეც ძვირად ფასობენ. ვერ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში მინი-ფეხბურთის ბუმია, მაგრამ ამ მხრივ გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენმა ნაკრებმა დიდ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, ამ ტურნირის დასრულების და მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მინი-ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ გუშინ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციაც გამართა. საამისოდ მათ გარკვეული საფუძველიც ჰქონდათ. ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ლევან ყიფიანი, რომელიც აქამდე (ამის შემდეგაც ასე გაგრძელდება) ბავშვთა ფეხბრთს უწევდა კოორდინაციას. ყიფიანის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს თებერვალში დიდი ბრძოლა ელის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, პრესკონფერენციის მოწყობის ერთ-ერთი საფუძველიც ეს იყო.

გურამ დურგლიშვილი — *საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი:*

10-დან 12 დეკემბრის ჩათვლით მოსკოვმა დიდ საერთშორისო ტურნირს უმასპინძლა. ამ ტურნირზე ბოლო წუთს მოგვიხდა გამგზავრება, რადგან თავიდან მასპინძლებთან, უკრაინელებთან და იუგოსლავიელებთან ერთად უნგრელებს უნდა ესპარეზათ, მაგრამ მათ ფინანსური წინააღმდეგობები ვერ დაძლიეს და ორგანიზატორებმა ჩვენ მიგვიწვიეს. საქართველოს ნაკრები ასეთი დონის პრესტიჟულ ტურნირზე ჯერ არ მოხვედრილა, გარდა იმისა, რომ ჩვენი სამივე მეტოქე მინი-ფეხბურთის გრანდებს მიეკუთვნებიან და საუკუთესო ხუთეულის უცვლელი წევრები არიან, ტურნირი სხვა მხრივაც იყო გამორჩეული. თავად განსაჯეთ, მის ორგანიზაციულ საკითხებში ისეთი სახელოვანი მძლავრი ფირმები იყვნენ ჩართული, როგორიცაა — „ლოგოვაზი“, „ზილი“, „ნაიკი“, „ადიდასი“... პირველი მატჩი მასპინძლებთან გვქონდა. რუსებს თავიდან 2:1-ს ვუგებდით, ბოლო წუთისთვის კი ანგარიში 3:4 იყო. საბოლოოდ კი 3:6-ით დავმარცხდით. წავაგეთ უკრაინელებთანაც (1:7). მესამე, დასკვნით შეხვედრაში იუგოსლავიელებმა გვაჯობეს (0:1), მაგრამ მერწმუნეთ, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი გუნდის თამაშით ერთობ კმაყოფილი დავრჩი, რადგან პოტენცია დავინახე. ეს მასპინძლებმაც აღნიშნეს და კარს მომდგარი შესარჩევი ციკლის ჯგუფის ფავორიტებად გვაღიარეს... ვერ მოვახერხეთ ტურნირზე ძირითადი მეკარის — ლევან ზაქაიძის წაყვანა, მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა. მოსკოვში ჩასულთ რუსული „სპარტაკ-მინკასის“ მთავარმა მწვრთნელმა კატეგორიული უარი გვითხრა ანდრო მიზანდარის და ბესო ნოზაძის თამაშზე. ეს ორი ფეხბურთელი ამ კლუბის ღირსებას იცავს და ჩვენი ნაკრების ხერხემალს წარმოადგენს... მიუხედავად მარცხისა, ეს ტურნირი იმიტომაც იყო ჩვენთვის სასარგებლო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებაში შეგვიწყო ხელი... ცოტა მეტი ხელშეწყობა და პირობას გაძლევთ, ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ტურნირშიც გავა და თავს არც იქ შეირცხვენს.

კახა დევდარიანი — *ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი:*

ხელშეწყობა კი ნამდვილად გვჭირდება. 7 წელია, მინი-ფეხბურთის ასოციაცია წვალებით ინარჩუნებს ეროვნულ ნაკრებს. ჩვენი შესაძლებლობები საკმაოდ მწირია. ფაქტობრივად ვერ ვფლობთ რეგიონებს, ვერ ვატარებთ სრულფასოვან ჩემპიონატს, თავად განსაჯეთ, ჩვენს პირველობაზე ოთხ, მაქსიმუმ ხუთ გუნდს თუ მოუყრი თავს და ჩემპიონატი ორ-სამ კვირაში მთავრდება. რუსეთში კი 1000-მდე კლუბია. ისინი სამ ზონად არიან დაყოფილნი და ჩემპიონატიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდება... ჩვენს ნაკრებს თბილისის ნაკრები ჰქვია, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, იგი დედაქალაქის ერთიორი უბნის ნაკრებია, ფაქტობრივად ვერა-ვაკის გუნდი ეთამაშება იტალიას, რუსეთს, იუგოსლავიას და სხვებს... თუ არ დაგვეხმარნენ, სამომავლოდ ერთობ გაგვიჭირდება.

ლევან ყიფიანი:

ეს ხალხი მართლაც შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობს. ამიტომაც დავუდექი გვერდით და მჯერა, რომ გარკვეულ წარმატებას მივაღწევთ. ჩვენი საზრუნავი კარს მომდგარი შესარჩევი ეტაპია. ქვეჯგუფში ჩვენს გარდა ჩეხები, ხორვატები, ბერძნები და აზერბაიჯანელები არიან. ჩვენთვის კარგია ისიც, რომ მატჩები აზერბაიჯანში ჩატარდება, ამით გარკვეულ ეკონომიასაც გავაკეთებთ. საშუალო სიძლიერის მეტოქეები გვყავს. გამორჩეულნი კი მაინც ხორვატები არიან, მაგრამ მჯერა, თავს არ შევირცხვენთ...

შესარჩევი ეტაპი აზერბაიჯანში 16 თებერვალს დაიწყება. გათამაშების კალენდარი ჯერ არ არის დადგენილი, ჯგუფის გამარჯვებული კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოხვდება. 16-გუნდიან ფინალურ ეტაპს 2000 წლის დეკემბერში გვატემალა უმასპინძლებს.

**ბაათა ძვანტალიანი**

# დიპლომატი აქტუალურ თემაზე



**რას** მეუბნები, არ გადამრიო — ჰარემის ქალებსო ხომ? კი, კი, სასაცილოა, სატირლად რომ არ იყოს საქმე და როცა საქმე სატირლადაა, წესით და რიგით, სიცილისა და ანცობისთვის არ უნდა გეცალოს ჭკუადამჯდარ კაცს. თქვენც კაიხელა ხაფანგში გაქვთ თავი გაყოფილი, ძმისშვილო, ჟურნალისტებს — ყველას რომ მოეწონოს, ისე რუსთაველი წერდა მარტო და ამდენი რუსთაველისგან ღმერთმა დაგვიფაროს თქვენც და ჩვენც, მითუმეტეს სპორტულ ჟურნალისტიკაში.

კიდევ, რაო, წერაზე რომ იყოს საქმე, მაგარ რაღაცეებს დავწერო იმ კაცმა? ტაშით მიიღეთ, ძმაო და შვილო, ტაშით მიიღეთ — თუ კაი და მაგარი შეუძლია ადამიანს, იმას ხელის შეწყობა უნდა უკამათოდ და თუ ერთი არ გამოუდის და სხვა უკეთ შეუძლია, რაზეა საუბარი...

მაგრამ მართალი ხარ შენც, არც თქვენი საკეთებელია ასე ადვილი. საქმე მარტო სურვილზე და ნდომაზე არაა — მუშაობა უნდა შეგეძლოს კაცს და ალღოც სხვაზე არანაკლები სჭირდება ჟურნალისტობას. ერთი შემთხვევა მახსენდება მაგასთან დაკავშირებით — ნოდარ დუმბაძე და ნოდარ მალაზონია გაგეგონება. იმის გარდა, რომ ერთი კაი მწერალი იყო და მეორე კაი მხატვარი, მეგობრებიც კაი იყვნენ თავის დროზე. ერთხელაც დუმბაძე მხატვრობას გაუტაცნია, გამოართვათურმე ძმაკაცს ფუნჯ-სალებავები და ხატავს და ხატავს. რას დახატავდა ახლა დამწყები კაცი ისეთს და მალაზონიას შაყირი დაუწყია — რაა, ბიჭო, ნოდარა, ნუ დაგვტოვე ულუკმაპუროდ მხატვრებიო. მერე ისე მოხდა, თურმე მალაზონიას დაუწყია წერა და დუმბაძე რის დუმბაძე იქნებოდა პასუხი არ გაეცა, მისებურად და ოხუნჯად — მომეშვა გულზე, ნოდარა, შენ რომ წერ, იმაზე კარგად ხომ ვხატავო... მიხვდი, რატომ მოგიყევი ეს ამბავი? გული არ გაიტეხოთ, ბიძიკო— თქვენ უკეთ წერთ, ვიდრე ქართველი მწვრთნელების გაწვრთნილი გუნდები ბურთს თამაშობენ და მარტო დამსახურებაში თუა საქმე, ექვთიმე თაყაიშვილზე დიდი მწვრთნელი არ ყოფილა საქართველოში, ვაღიაროთ ესეც.

ნაწერებთან და გაზეთის ფურცლებთან ბრძოლა ადვილია. თუ კირკიმალის ნიჭი გააჩნია კაცს, ნებისმიერ ნაწერში აღმოაჩენ ისეთს, ერთი ხუთი კაცი რომ გადმოიბირო და შენს აღმოჩენილში დააჯერო. მწვრთნელად ის მითქვამს, მოსაგებს და ზოგჯერ ვერმოსაგებსაც რომ მოიგებს და ტაშისკვრით გახეთქავს გულშემატკივარს და ჟურნალისტსაც სხვათა შორის, თორემ... ა, ესაა სიმართლე, ძმიშვილო, ეს შენც იცი, მეც, იმ კაცმაც იცის, ვინც ნაწერებს ებრძვის, დონ-კიხოტის და ქარის წისქვილის არ იყოს, მაგრამ ყველაფერზე ხომ ვერ ილაპარაკებ. ყველაფერზე ლაპარაკს ფაქტი უნდა, დასამტკიცებლად საჭირო ფაქტი და ფაქტისთვის ვინ ჩაგავლებინებს, ბიძია, ყურში ხელს...

არ დაგელაპარაკებითო? დიდი რამე. მოვა დრო და აქეთ შეგვეხვეწებიან-თქო, ვერ უპასუხე? მსოფლიო ფეხბურთი მაქეთ მიდის, მწვრთნელი თუ პრესასთან ურთიერთობას ვერ აგვარებს, წასულია მისი საქმე და რაღა ჩვენში მოხდება საწითელწითელ ამბავი. ვინც ითმენს ის იგებსო. ეს ანდაზა ფეხბურთის გარდა ყველაფერში ამართლებს, ბიძია, და მოვა ის დროც, როცა ღიმილგატყაპნილი გხვდებოდეთ დღე და ღამე ჟურნალისტებს მაგის მთქმელი კაცი. ცხოვრების წესია ეგ და იმიტომ.

ეს კი სწორი უთქვამს, მწვრთნელის ცხოვრება არ არის იოლი — ვიღაცა გაგლანძღავს, ვიღაცა ჩაგისაფრდება, ზოგს არ უყვარხარ, ეზიზღები და არც კარგს, არც ავს არ მოგითმენს. ამისთვის თუ მზად არ ხარ, გაგიჭირდება მწვრთნელს და მასწავლებელს.

თქვენ კი გააგრძელეთ, ძმიშვილო, მასე გააგრძელეთ. თვითონ იძახიან, ფეხბურთი არ არსებობს საქართველოში და ამ არარსებულზე ყოველდღე დასურათხატებული და ჩაწიკწიკებული გაზეთის კეთება, რავარი საქმეა, ალალად მითხარი, გულისგულს გაფიცებ. შენ რომ იცი და მე რომ ვიცი, ეს არ ჰყოფნის საქმეს, სხვებმაც უნდა გაიგონ. ამას რომ გეუბნები, ისე არავის გააგებინო, თითქოს შესაცოდებელი გჭირდეთ ვინმესი რამე. ბიძიკო, ფეხბურთი კარგად იყოს და საწერ-საკბილოს მონახავთ, უეჭველია ეგ. ბოლოსდაბოლოს, უცხოელებზე დაწერთ რამეს. მკითხველი რომ მიხვდება, რაშია საქმე, ადგება და ერთს იმისთანას შეუსტირინებს თქვენს გამნაწყენებელს, მამა-პაპის მოწონებულს და ახლა სტადიონზე მისვლით თავს რომ არ იკლავს, მერე სულ არ გაიხედავს იქეთ.

ასე უთხარი, ბიძიკო, იმ კაცს. თქვენთან ჭიდაობას და ენამწარობას, უცხოურ კლუბებს ეჭიდაოს და იქ დაამტკიცოს თავისი სიმართლე.

ხომ გაგიგონია-თქო, უთხარი — კამეჩთან მარქენალ ხარს რქები რომ არ შერჩენია...

# კაცია თსუ-ში პირველი კაცია

**თსუ-ში** დიდი ცვლილებებია — მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტელები „ბ“ ზონის საუკეთესო ოთხეულში ვერ მოხვდნენ, გუნდის მესვეურებმა სწრაფი გადაწყვეტილება მიიღეს და სტუდენტებს მთავარ მწვრთნელად თენგიზ კაცია დაუნიშნეს.

რაც თსუ-ს შეფობა ქართულმა სავეტერინარო კომპანიამ იკისრა, გუნდმა ერთი მწვრთნელი უკვე გამოიცვალა, თენგიზ კაცია მეორეა. მისი წინამორბედის — კოტე დოლიძის თავკაცობამ ერთ სეზონსაც ვერ გასტანა.

კოტე დოლიძე თსუ-ს ხელმძღვანელებმა თბილისის „მერანთან“ 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ გაათავისუფლეს არასახარბიელო შედეგის გამო, „ვიტ ჯორჯიიდან“ ნათხოვარმა ვლადიმერ ხაჩიძემ კი სეზონის ჩამთავრება იკმარა.

თენგიზ კაცია აქამდე საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებში ვახტანგ კოპალეიშვილის თანაშემწედ მუშაობდა. კაცია-კოპალას ტანდემი თსუ-შიც გააგრძელებს მუშაობას — ბატონი ვახტანგი კონსულტანტი იქნება.

აღნიშნული ინფორმაცია თსუ-ს შეფებმაც დაგვიდასტურეს.

**ლუკა თალაკვაძე**

# გუცაევი დაბადების დღეს თბილისში აღნიშნავს

**დღეს** ვლადიმერ გუცაევი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი და ვლადიკავკაზის „ალანიას“ ახალი თავკაცი 47 წლის გახდა (ვულოცავთ!). დაბადების დღეს და შობა-ახალ წელს ქართველი სპეციალისტი თბილისში შეხვდება. რამდენიმე დღეა, რაც იგი ვლადიკავკაზიდან დაბრუნდა, სადაც ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ ძასოხოვთან ერთად „ალანიას“ ფინანსურ მდგომარეობაზე თათბირობდა. გუცაევი გუნდს ახალი წლის შემდეგ დაუბრუნდება. „ალანია“ შეკრებას 3 იანვარს იწყებს.

**სიმონ მენაბდე**

თსუ 1925 TSU

# თსუ

**«ბ» ზონა**
მეექვსე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

I ეტაპის მიმოხილვა

# ...ვგულისხმობთ თსუ-ს

არა, სტუდენტური ფეხბურთი საქართველოში კარგა ხანია, აღარ არსებობს. საბჭოური პერიოდისთვის დამახასიათებელი სტუდენტური სპორტიც წარსულს ჩაბარდა. ის, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს საკუთარი სახელის მატარებელი გუნდი ჰყავს ამა თუ იმ სახეობაში, უბრალოდ, პრესტიჟის საქმეა და კლუბის წევრებსაც მხოლოდ ზედაპირული კავშირები აქვთ კომერციულ თუ სახელმწიფო ინსტიტუტ-უნივერსიტეტებთან. ისე, თავად ამგვარი გუნდების არსებობის ფაქტი უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. არც სასწავლებლების ხელმძღვანელობის შრომასა და ამაგს ეგების დაუფასებლობა. მათი მიზანი, ღირსეულად დამკვიდრდეს სპორტულ სამყაროში ერთობ ჯანსაღი აზროვნების შედეგია და თუ ყოველივეს ამბიციურობაც თან ერთვის, კიდევ უკეთესი. და მაინც, საქმეში ყველაფერს პროფესიული მიდგომა განაპირობებს და მის გარეშე სპორტიც ვერასდროს გასცდება სამოყვარულო დონეს. ფეხბურთელობა თავადაც პროფესიაა და მოთამაშესაც მაშინ აქვს გარკვეული წარმატებები, როცა იგი მხოლოდ ამ საქმისთვისაა მოცლილი.

ეროვნული ჩემპიონატის ბინადარი თსუ ანუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ნელ-ნელა გარდაისახა პროფესიულ საფეხბურთო კლუბად და შორს არაა ის დრო, როცა ის ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად მოგვევლინება. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ გუნდის მიმართ ივლისში გატარებული რეფორმები მხოლოდ ძლიერი საბაზო კლუბის ჩამოყალიბებისთვის არ იყო მიმართული. თსუ-ს პირველ ეტაპზე გამოსვლით თუ ვისაუბრებთ, სწორედ ასეთი მსჯელობის მართებულობის აღიარება მოგვიწევს და მომავალში რა და როგორ იქნება, ძნელი მისახვედრი არაა. უნივერსიტეტელთა ფინანსურად შეჭირვებული გუნდის სპონსორობა ხომ ტარნსკავკასიურმა ვეტერინარულმა კორპორაციამ ითავა. თსუ-ს ავ-კარგი იმ ხალხმა გაითავისა, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის საკმაოდ ანგარიშგასაწევ წარმომადგენელს, „ვიტ ჯორჯიას“ პატრონობს უცხოურ სოლიდურ ფირმებთან ერთად. ჭკვიანი ხალხის ნაფიქრი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა სეზონის წინ განხორციელდა. უნივერსიტეტელებისთვის მშიერი თამაშის, ხვეწნა-მუდარის და ხელფასების მოლოდინში გაცვეთილი ბუცების დროება უკან დარჩა.

ახალი პრეზიდენტი დავით გოდერძიშვილი, ახალი თავკაცი კოტე დოლიძე, ახალი სარბიელი მცხეთის „არმაზი“ და ფეხბურთელებიც ახალი. ასე წარდგა თსუ XI ჩემპიონატის სტარტზე.

— ამ გუნდისგან პირველ წელს სასწაულის მოხდენას არ ვითხოვთ. ბიჭები შეთამაშდებიან, დალვინდებიან და შემდეგ სერიოზულ მიზნებზეც შეიძლება ფიქრი — განუცხადა აგვისტოში „სარბიელს“ დავით გოდერძიშვილმა.



კოტე დოლიძე



ვლადიმერ ხაჩიძე

გამოცდილების შესაძენად კი ამ ახალგაზრდულ გუნდს, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 20 წელია, ყველანაირი პირობა შეექმნა. სტაბილურ ფინანსურ უზრუნველყოფას ბავშვთა ფეხბურთში სახელდაგდებული მწვრთნელი კოტე დოლიძეც დაემატა და თსუ-ში მოხვედრის მოსურნე ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიადგა ახალ თავკაცს.

მოსამზადებელ პერიოდში 50-მდე მოთამაშე ისინჯებოდა და მათი რიცხვის გასანახევრებლად მწვრთნელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. ივლისის ბოლოს თსუ ცემიდან დაბრუნდა. ორიოდე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ჩემპიონატისთვის სამზადისი დაასრულა. კლუბმა 24-კაციანი განაცხადი წარადგინა ფედერაციაში, აქედან 15 ახალწვეული გახლდათ. მიწვეულთა შორის, რა თქმა უნდა, ყოფილი ვიტჯორჯიელები ჭარბობდნენ, თუმცა „ვაკე 91“-ის და „აკადემიის“ ფეხბურთელებიც არ დარჩენიათ უყურადღებოდ დოლიძეს და კომპანიას. სრულიად მოულოდნელად თსუ-ს თავდასხმის ხაზში აღმოჩნდა გიორგი ფარქოსაძე. ის ერთ დროს გერმანიაში, ბილეფილდის „არმინიას“ ფარმკლუბის ღირსებას იცავდა და მისი გამოცდილება ერთიორად უნდა წადგომოდა ახალ თანაგუნდელებს. თუმცა, როგორც საქმემ გვაჩვენა, გიორგი ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა. საერთოდ დოლიძის შეგირდების შეტევის წინა ხაზი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი იყო. ამაზე 14 შეხვედრაში გატანილი 13 გოლიც არაორაზროვნად მეტყველებს. ვერც დანარჩენი რგოლების ბოლომდე გამართულობაზე ვისაუბრებთ თამამად. თუმცა ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით თსუ-ს კარის დარაჯებზე, განსაკუთრებით კი გუნდის ძირითად მეკარე მირზა მერლანზე. ამ მართლაც ნიჭიერ ახალბედაზე აუგის თქმა უმართებულო იქნება. მერლანმა არაერთ მატჩში იხსნა დაბნეული თანაგუნდელები და მრავალჯერ პატარა სასწაულის [illegible] დაბნეულობა შემთხვევით არ მითქვამს. სტუდენტების აქილევსის ქუსლად შეუთამაშებლობა უნდა ჩაითვალოს და სწორედ ეს განაპირობებდა თსუ-ს ქაოსურ მოქმედებას. ამგვარ მომენტებში კი გუნდის თამაშის დალაგებას ყველაზე მეტად მცველი კობა ნინუა ახერხებდა. უნივერსიტეტელთა კაპიტანი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი ნინუა მერლანთან ერთად თსუ-ს უდავო ლიდერად უნდა ჩაითვალოს. თუმცა გამორჩევაზე თუ მიდგება საქმე, არც შუახაზელების — მიხეილ მესხის და გიორგი დეკანოსიძის დავიწყება შეიძლება, ისევე, როგორც თავდამსხმელ კახა წუწუნავასი. სწორედ ეს ხუთეული წარმოადგენდა გუნდის მთავარ დასაყრდენს. ისე, დანარჩენ მოთამაშეებსაც ვერ დავუკარგავთ მონდომებას. ნუ დავივიწყებთ, რომ გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება და საამისოდ სამი თვე ძალიან ცოტაა.

პირველ წრეში ზედიზედ 4 ფრე გაათამაშა თსუ-მ. შემდეგ მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა ფოთში და ასეთივე შედეგით აჯობა მცხეთაში „გორდას“.

დოლიძის შეგირდებმა პირველი წრე შინ „ტორპედოსთან“ მარცხით დაასრულეს. ამის მიუხედავად, თსუ კვლავ ინარჩუნებდა „ბ“ ზონის პირველ ოთხეულში მოხვედრის შანსს, რაც, უპირველეს ყოვლისა, „დილას“ არასტაბილურმა თამაშმა განაპირობა. საერთოდ ამ ზონაში, როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ტურში გაირკვა მეოთხეადგილოსნის ვინაობა. სიტუაციის ამგვარი დაძაბვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თსუ-ც გახლდათ. მეცხრე ტურში სტუდენტებმა სამტრედიაში 1:0-ის მოგებით ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. დოლიძე და კომპანია ძალიან ახლოს აღმოჩნდნენ მიზანთან, თუმც მომდევნო მატჩში შინ 0:2 წააგეს „მერანთან“, რაც საბედისწერო გამოდგა. მომხდარმა შეიწირა მთავარი მწვრთნელი. კოტე დოლიძის სანაცვლოდ თსუ-ს მესვეურებმა „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცის თანაშემწეს, ვლადიმერ ხაჩიძეს უხმეს. მან ახალი პოსტი ჩაიბარა, თუმც ძველი თანამდებობაც არ დაუტოვებია...

გუნდმა ხაჩიძის ხელში პირველივე შეხვედრა მოიგო „ხობთან“, თანაც პირველად იმარჯვა დიდი ანგარიშით. ფოთის „კოლხეთის“ ძლევაც უდავოდ აქტივში ჩაეთვალეათ სტუდენტებს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მატჩი კვლავ წინ იყო.

რუსთავში ნასტუმრევი თსუ მართლაც ყოველნაირად მობილიზებული გავიდა „გორდას“ წინააღმდეგ სათამაშოდ. ანგარიშის გახსნაც მოახერხეს სტუმრებმა, მაგრამ იმ დღეს მასპინძლებმა აშკარად აჯობეს ხაჩიძის შეგირდებს. სწორედ მაშინ გამოჩნდა ყველა ის ნაკლოვანი მხარე, რისი აღმოფხვრაც 14 ტურის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

გულის გასატეხი ნამდვილად არაფერი აქვთ უნივერსიტეტელებს. სამ თვეში სოფელი არ აშენებულა. რაც მთავარია, გუნდი სწორ გზას ადგას. მართალია, ამ გზას თსუ „ვიტ ჯორჯიას“ ინტერესებთან მიჰყავს, მაგრამ ეს ბუნებრივია.

როცა „ვიტ ჯორჯია“ ახალ-ახალ სიმაღლეებს დაიპყრობს, მუდამ მოიხსენიებენ თსუ-ს წვლილსაც. ამასობაში ახალგაზრდა გუნდიც მოძლიერდება და დაიხვეწება. რა ვუყოთ მერე, რომ დღეისათვის ამგვარი განწყობაა — ვამბობთ „ვიტ ჯორჯიას“ და ვგულისხმობთ თსუ-ს...

**ხვიჩა სანიკიძე**



თსუ — „ტორპედო“ 0:2. მირზა მერლანი და დავით ჯანაშია. მეკარე ამჯერად უძლური იყო

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დილა | 1:1 | ს | ადამია |
| 2 | იბერია | 1:1 | შ | წუწუნავა |
| 3 | მერანი | 1:1 | ს | წუწუნავა |
| 4 | ხობი | 0:0 | ს | |
| 5 | ტორპედო | 0:2 | შ | |
| 6 | კოლხეთი | 0:1 | ს | |
| 7 | გორდა | 1:0 | შ | გ. გვაზავა |
| 8 | დილა | 0:1 | შ | |
| 9 | იბერია | 1:0 | ს | ადამია |
| 10 | მერანი | 0:2 | შ | |
| 11 | ხობი | 4:1 | შ | გ. გვაზავა 2, დეკანოსიძე, ახალაძე |
| 12 | ტორპედო | 0:3 | ს | |
| 13 | კოლხეთი | 3:2 | შ | ადამია 2, ნინუა |
| 14 | გორდა | 1:3 | ს | გ. გვაზავა |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| მირზა მერლანი | 14 | -18 | 0 | 0 |
| კახა წუწუნავა | 14 | 2 | 2 | 0 |
| კობა ნინუა | 13 | 1 | 4 | 0 |
| თამაზ ბოკერია | 13 | 0 | 2 | 0 |
| სოსო ერაძე | 13 | 0 | 4 | 0 |
| დავით არჩვაძე | 13 | 0 | 3 | 0 |
| გრიგოლ გვაზავა | 12 | 4 | 2 | 0 |
| გიორგი ადამია | 12 | 4 | 0 | 0 |
| მიხეილ მესხი | 12 | 0 | 1 | 0 |
| რამაზ სვანაძე | 12 | 0 | 2 | 0 |
| ლევან კვიციანი | 11 | 0 | 7 | 0 |
| გიორგი დეკანოსიძე | 10 | 1 | 1 | 1 |
| კახა ახალაძე | 10 | 1 | 0 | 2 |
| გიორგი ფარქოსაძე | 8 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი ჯობაძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გოცირიძე | 5 | 0 | 0 | 0 |
| ბექა ნოზაძე | 5 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მიქაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო ინწკირველი | 4 | 0 | 1 | 0 |
| დიმიტრი ხომერიკი | 2 | 0 | 0 | 0 |
| პაატა გვირჯიშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ- გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

**მეორე ეტაპი**

IX-XVI ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |
| 10 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 11 | თსუ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 12 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 13 | თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| 14 | სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 6 |
| 15 | ხობი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| 16 | არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |

# ლიდსი... კვლავ ლიდსი

## ინგლისი

XVIII ტური

**ჩელსი 0:2 ლიდსი**

0:1, 0:2 მაკფაილი (66, 87)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი (პეტრესკუ 64), ლებეფი, ჰარლი, უაიზი, დეშამპი, დი მატეო, პოიეტი, სატონი, ფლო (ძოლა 57)
ლიდსი: მარტინი, ა. კელი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბოუერი (ჯონსი 84), ბაკე, მაკფაილი, კიუელი, ჰაკერბი, ბრიჯესი (უილკოქსი 48)
გაფრთხილება: ბოუერი, ჰარტი, ლებეფი, უაიზი, კელი, დი მატეო
გაძევება: ლებეფი (68)
მსაჯი: უინტერი

**სანდერლენდი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0, 2:0 ფილიპსი (30, 90)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, ბოულდი, გრეი, სამერბი, რუა (უილიამსი 65), მაკკანი, შვარცი (კილბეინი 87), ნ. ქუინი, ფილიპსი
საუთჰემპტონი: ჯონსი (მოსი 33), ტესემი (ბიტი 49), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბენალი, რიპლი (ლე ტისიე 66), სოლტვედტი, ოუკლი, დოდი, კაჩლული, პახარსი
გაფრთხილება: მაკინი, ფილიპსი, კაჩლული, ბენალი, ბიტი, ლე ტისიე, ლუნდეკვამი
მსაჯი: რიდი

**ასტონ ვილა 2:1 უენსდი**

0:1 დე ბილდე (20პ), 1:1 მერსონი (69), 2:1 ტეილორი (82)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, უოტსონი, ტეილორი, ბოატენგი, მერსონი, ა. რაიტი (ჯოაკიმი 39), დაბლინი (კალდერვუდი 86), კარბონე (ვასელი 81)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, აზერტონი, უოლკერი, ტომი, ნოლანი, ალექსანდერსონი, იონკი (სიბონი 82), ქუინი (ჰასლამი 56), სონერი, დე ბილდე, ბუთი
გაფრთხილება: ტეილორი, სონერი, ქუინი
მსაჯი: ბენეტი

**ბრედფორდი 2:0 ნიუკასლი**

1:0 სონდერსი (56), 2:0 ვეზეროლი (71)
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, მიერსი, ლოურენსი, მაკკოლი, უინდასი, შარპი (ბიგრი 78), მილსი, სონდერსი
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, სოლანო (დაიერი 70), ა. ჰიუზი, პისტონე, ჰელდერი, სპიდი, ლი (ფუმაკა 84), შირერი, დ. ფერგიუსონი, გალაჰერი (გლასი 73)
გაფრთხილება: ლოურენსი, სონდერსი, ჰელდერი
მსაჯი: ბარი

**ლესტერი 0:1 დერბი ქაუნთი**

0:1 პაუელი (69)
ლესტერი: ფლაუერსი, ტაგარტი, უოლში, ელიოტი, სევიჯი, იმპი (კოტი 72), იზეტი, ზაგორაკისი, ოუქსი, ედი, ჰესკი
დერბი ქაუნთი: პოომი, პაუელი, დორიგო, პრიორი (შნური 87), დელაპი, ჯონსონი, ლაურსენი, რობინსონი (შტრუპარი 78), ბარლი, ელიოტი, დ. ბარტონი
გაფრთხილება: იზეტი, ზაგორაკისი, ბარტონი, პრიორი, პაუელი, ჯონსონი
მსაჯი: ელერეი

**ლივერპული 2:0 ქოვენთრი**

1:0 ოუენი (45), 2:0 კამარა (74)
ლივერპული: ვესტერველდი, გერარდი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, ტომპსონი (შმიცერი 36, მერფი 88), ჰამანი, კარაგერი, ბერგერი, ოუენი, კამარა (ჰეგემი 86)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, უილიამსი, ბრინი, ფროგატი, ჩიპო, პალმერი, მაკალისტერი, მ. ჰაჯი (ნორმანი 74), რობი კინი, ვილანი (რუსელი 70)
გაფრთხილება: რობი კინი, ბრინი
მსაჯი: დურსო

**მიდლსბრო 2:1 ტოტენჰემი**

0:1 ვეგა (7), 1:1 ციგე (34), 2:1 დინი (67)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ვიკერსი, ფესტა, ონილი, მედისონი, მასტო, ჟუნინიო, ციგე (სამერბელი 90), რიკარდი (არმსტრონგი 85), დინი
ტოტენჰემი: უოლკერი, იანგი, ს. კემპბელი, პერი, ვეგა, ტარიკო, ფროინდი (შერვუდი 32), ნილსენი, ჟინოლა (ედინბორო 46), კ. არმსტრონგი (ფოქსი 82), ივერსენი
გაფრთხილება: ვიკერსი, ონილი, ჟინოლა, ტარიკო, იანგი, შერვუდი, ნილსენი
გაძევება: ნილსენი (90)
მსაჯი: დანი

**არსენალი 1:1 უიმბლდონი**

0:1 კორტი (7), 1:1 ანრი (61)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ლუჟნი, გრიმანდი, უინტერბერნი (შუკერი 73), ოვერმარსი, ლიუნგბერგი, პეტი, სილვინიო, ანრი, კანუ
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ერლი, რობერტსი, იუელი, გეილი (ჰიუზი 27), ჰართსონი, კორტი (ანდრესენი 67)
გაფრთხილება: პეტი, ჰართსონი
მსაჯი: ბარბერი

**უოტფორდი 1:3 ევერტონი**

0:1 პარკი (4), 0:2 ჰაჩისონი (37), 1:2 ნგონგე (60), 1:3 ანსუორთი (86)
უოტფორდი: ჩემბერლენი, კოქსი, პალმერი, პეიჯი, რობინსონი, ჰიდი (ფოლი 88), უილიამსი, ჯონსონი, მილერი, ნგონგე, სმიტი
ევერტონი: ჟერარდი, კლილენდი (უოტსონი 68), ვეირი, დანი, ანსუორთი, ბარმბი, შავიერი, კოლინზი, პემბრიჯი, კ. კემპბელი, ჰაჩისონი
გაფრთხილება: ჯონსონი, მილერი, რობინსონი, ჟერარდი
გაძევება: კოქსი (89)
მსაჯი: უილკი

**ვესტ ჰემი 2:4 მანჩესტერი**

0:1 იორკი (9), 0:2, 0:3 გიგზი (13, 19), 1:3, 2:3 დი კანიო (23, 52), 2:4 იორკი (62)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ლომასი, რ. ფერდინანდი, რადოკი, მინტო, სინკლერი, ფოე, ლამპარდი, კელერი, დი კანიო, ვანჩოპე
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სილვესტრი, სტამი, ირვინი (ფ. ნევილი 46), ბექემი (ბათი 76), როი კინი, სქოულზი, გიგზი, შერინგემი, იორკი
გაფრთხილება: დი კანიო
მსაჯი: რენიე

„ჩელსი“ ვეღარ იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის. ეს უკვე აშკარაა. ვფიქრობ, ევროპულ სარბიელზე უნდა ვთქვათ გადამწყვეტი სიტყვა“, — ასე თქვა ჯანლუკა ვიალიმ კვირა საღამოს, ლონდონური ვარსკვლავთკრებულის მორიგი მარცხის შემდეგ.

„სტემფორდ ბრიჯზე“ გამარჯვებული დარჩა ახალგაზრდა „ლიდსი“, რომელმაც შეხვედრის ბოლო ოცდაოთხ წუთში ორი გოლი გაუტანა მასპინძლებს. გოლების ავტორი — 20 წლის სტივენ მაკფაილი, ნიუ იორკში, ბრონქსის უბანში დაბადებული „ლიდსის“ კიდევ ერთი ყმაწვილი, წარმოუდგენელ ენერგიას აქსოვს თამაშში.

განა „ჩელსიმ“ ცუდად ითამაშა? „ჩელსი“ მშვენიერი გუნდია და ტაიმაზევრის განმავლობაში უფრო მასპინძელთა მოგებას ივარაუდებდი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ლიდსს“ არაფერი დაუთმია.

მაგრამ როცა „ლიდსი“ თამაშობს, ყოველთვის გახსოვს — მთავარი ამბავი შეხვედრის მიწურულს ხდება. იორკშირელთა ახალგაზრდული ჟინი და ენერგია სწორედ მაშინ ჩანს უფრო თვალნათლივ. ჰოდა, ასეც იყო. პირველი გოლი მაშინ გავიდა, როცა „ჩელსის“ დაცვის ცენტრი სპეციალისტების გარეშე დარჩენილიყო — დაშავებული დესაი უკვე შეეცვალათ. ლი ბუერმა მშვენივრად გაუჭრა მაკფაილს და ანგარიშიც გაიხსნა. ლებეფი გაბოროტებული იყო შეხვედრის მსვლელობითა და გაშვებული გოლით. მან ვირულად წააქცია ჰარი კიუელი მოედნის შუაგულში და მეორე ყვითლით (პირველიც კიუელის წაქცევისთვის მიიღო) მოედანი დატოვა. თუმც, ლებეფს გასვლა არ უნდოდა და გვარიანი ძიძგილაობაც ატყდა. ტელევიზიამ იქვე დაატრიალა თამაშის აქამდე შეუმჩნეველი ეპიზოდი — თუ როგორ სცემს ფეხს ლებეფი წაქცეულ კიუელს. და ეს ის კაცია, რომელიც ყოველ შაბათს სვეტს სწერს „ტაიმსში“ და ძირითადად ჯენტლმენურ თამაშსა და ზრდილობაზე ლაპარაკობს!

ვიალიმ თქვა კიდეც, გუნდი იმსჯელებს ამგვარ რამეებზეო. ლიდსელთა



REUTERS ფოტოქრონიკა

ჩელსი — ლიდსი 0:2 „ლიდსი“ მაკფაილის პირველ გოლს ზეიმობს

მეორე გოლი კი იმავ მაკფაილმა საჯარიმოს კუთხიდან ჩაკიდული ჯარიმით შეაგდო. ნორვეგიელმა ბაკემ ეშმაკურად გაატარა ბურთი და ისიც კარში აღმოჩნდა. „ლიდსელთაგან“ ბოლო ოც წუთს ძალიან გამოირჩეოდა დარენ ჰაკერბი, რომელმაც ენერგიული და ჯაჯგურა გარღვევებით დატანჯა მასპინძლები. თამაშის შემდეგ იორკშირელთა მენეჯერმა დევიდ ოლირიმ განაცხადა: „ოთხშაბათს ქანცგამცლელი შეხვედრა გვქონდა ლიგის თასზე და ვამაყობ, რომ ორი დღის შემდეგ ასე ვიბრძოლეთ. ჩვენ ყმაწვილთა გუნდი ვართ. ყმაწვილები სწავლობენ და უნდა ვაღიარო, რომ მთელს დედამიწაზე არ შეგულება ერთად თავმოყრილი ამდენი ნიჭიერი მოსწავლე“.

„ლიდსმა“ ლიდერობა შეინარჩუნა — იგი ორი ქულით უსწრებს „მანჩესტერს“, რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს. შაბათს „მანჩესტერი“ „აპტონ პარკზე“ ესტუმრა „ვესტ ჰემს“ და ცხრამეტი წუთის შემდეგ 3:0-ს უგებდა დუაიტ იორკის მოხდენილი დარტყმისა და გამოლვიძებული რაიან გიგზის დუბლის წყალობით. ჰემერთა პაოლო დი კანიომ ასევე დუბლი შეასრულა და მეორე ტაიმის დასაწყისში „ვესტ ჰემი“ უკვე 2:3-ს აგებდა. დი კანიო ახლო იყო ჰეთ თრიქთან და ანგარიშის გათანაბრებასთან, მაგრამ ფინტების სიყვარულის გამო დაისაჯა. სამაგიეროდ იორკმა კიდევ ერთი გაიტანა და სტუმრებმა კვლავ იგდეს ხელთ თამაშის სადავეები. შეხვედრის მიწურულს, შეცვლაზე შესულმა ნიკი ბათმაც გაისროლა, თუმცა გოლი არ ჩაითვალა.

„არსენალმა“ ვერაფერი დააკლო „უიმბლდონს“. ლამის მთელ საათს აგებდა კიდეც. მაგრამ შემდეგ ტიერი ანრიმ უპასუხა კარლ კორტის ადრეულ გოლს. არსენ ვენგერის გუნდის ამ წაფორხილებას ის მოჰყვა, რომ მეთოფენი მეოთხე ადგილამდე ჩამოცოცდნენ, რახან „სანდერლენდმა“ 2:0 მოუგო „საუთჰემპტონს“, რომელსაც, მგონი, მთელი თვეა, არ გაუტანია. კევინ ფილიპსმა დუბლი შეასრულა და ერთი პენალტიც გააფუჭა. პენალტებზე მიდგა საქმე და პოლ მერსონმა და დიონ დაბლინმა ვერაფერი მოუხერხეს მაჩანჩალა „შეფილდის“ მეკარე პაველ სრნიჩეკს. მეტიც, „უენსდი“ „ვილა პარკზე“ იგებდა კიდეც ჟილ დე ბილდეს გოლის წყალობით. „ვილას“ ცხრა მატჩი იყო არ მოეგო და მენეჯერ ჯონ გრეგორის ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ, ამ ჯერზე მოწინააღმდეგედ ლიგის ყველაზე უარესი გუნდი ჰყავდა და იმავ მერსონმა გაათანაბრა, შეხვედრის მიწურულს კი იან ტეილორმა გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

„ლივერპული“ დიდი მენეჯერის ბილ შენკლის გუნდში მოსვლის მეორმოცე წლისთავს აღნიშნავდა „ენფილდზე“. იუბილე მაიკლ ოუენისა და ტიტი კამარას „ქოვენთრის“ კარში გატანილმა გოლებმა დაამშვენეს. „ლივერპულმა“ ზედიზედ მეხუთედ მოიგო შინ და მეხუთე ადგილზე მომაგრდა, რახან მისმა მადევრებმა, „ტოტენჰემმა“ და „ლესტერმა“ წააგეს. პირველმა მიდლსბროში, პოლ ინსის გარეშე მოთამაშე მასპინძლებთან, მეორემ კი შინ, ქინქლაძის გარეშე მოთამაშე „დერბისთან“. „ლესტერი“ მძლავრად უტევდა სტუმრებს, თუმც კი ერთგვარად კურიოზული გოლი, საკუთარ კარში მიიღო. დერილ პაუელმა რომელსაც მესამე წელიწადი ექნება, არ გაეტანა, იმგვარ იღბალზე გაუშვა ბურთი, რომ მასპინძელთა განთქმულმა მეკარემ ტიმ ფლაუერსმა დაგვიანებით დაატყო, რომ ბურთი ვერაგი ტრაექტორიით ეშვებოდა კარში და ვეღარაფერი გააწყო. მოგების მიუხედავად, „დერბი“ კვლავ ბოლო სამეულში დარჩა, რადგან მისმა უშუალო მოცილემ, „ბრედფორდმა“ გმირულ ბრძოლაში, ვეტერან დინ სონდერსისა და დევიდ ვეზეროლის გოლებით სძლია „ნიუკასლს“. გასავარდნათა სამეულში მტკიცედ დამკვიდრებულმა „უოტფორდმა“ კიდევ უფრო მყარად დაიჭირა მეცხრამეტე ადგილი, ამჯერად „ევერტონთან“ წააგო, 1:3.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლიდსი | 18 | 13 | 2 | 3 | 32:19 | 13 | 41 | 9 | 7 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 22 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:13 | 5 | 19 |
| 2 | მანჩესტერი | 17 | 12 | 3 | 2 | 44:23 | 21 | 39 | 9 | 7 | 2 | 0 | 29:7 | 22 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:16 | -1 | 16 |
| 3 | სანდერლენდი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:17 | 16 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 16:6 | 10 | 23 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:11 | 6 | 14 |
| 4 | არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 32:17 | 15 | 36 | 10 | 7 | 2 | 1 | 21:8 | 13 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 13 |
| 5 | ლივერპული | 18 | 10 | 3 | 5 | 26:14 | 12 | 33 | 10 | 7 | 0 | 3 | 17:7 | 10 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 |
| 6 | ლესტერი | 18 | 9 | 2 | 7 | 26:24 | 2 | 29 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:11 | 5 | 20 | 8 | 3 | 0 | 5 | 10:13 | -3 | 9 |
| 7 | ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 26:22 | 4 | 27 | 8 | 5 | 1 | 2 | 17:12 | 5 | 16 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | -1 | 11 |
| 8 | მიდლსბრო | 18 | 8 | 3 | 7 | 23:25 | -2 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | -3 | 10 |
| 9 | ვესტ ჰემი | 17 | 7 | 4 | 6 | 19:18 | 1 | 25 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:10 | 4 | 19 | 9 | 1 | 3 | 5 | 5:8 | -3 | 6 |
| 10 | ჩელსი | 16 | 7 | 3 | 6 | 21:17 | 4 | 24 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:5 | 9 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 |
| 11 | ევერტონი | 18 | 6 | 6 | 6 | 28:28 | 0 | 24 | 8 | 3 | 5 | 0 | 16:8 | 8 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:20 | -8 | 10 |
| 12 | ასტონ ვილა | 18 | 6 | 4 | 8 | 16:20 | -4 | 22 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 15 | 9 | 2 | 1 | 6 | 6:14 | -8 | 7 |
| 13 | ქოვენთრი | 18 | 5 | 6 | 7 | 23:20 | 3 | 21 | 9 | 5 | 0 | 4 | 17:10 | 7 | 15 | 9 | 0 | 6 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 14 | უიმბლდონი | 18 | 4 | 9 | 5 | 28:30 | -2 | 21 | 9 | 3 | 4 | 2 | 17:11 | 6 | 13 | 9 | 1 | 5 | 3 | 11:19 | -8 | 8 |
| 15 | ნიუკასლი | 18 | 5 | 4 | 9 | 28:32 | -4 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 19:9 | 10 | 14 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:23 | -14 | 5 |
| 16 | საუთჰემპტონი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:27 | -7 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 9 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | -6 | 8 |
| 17 | ბრედფორდი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:25 | -10 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 9:12 | -3 | 10 | 9 | 2 | 0 | 7 | 6:13 | -7 | 6 |
| 18 | დერბი ქაუნთი | 18 | 4 | 3 | 11 | 16:29 | -13 | 15 | 9 | 2 | 0 | 7 | 7:16 | -9 | 6 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 9 |
| 19 | უოტფორდი | 18 | 3 | 2 | 13 | 14:36 | -22 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:16 | -6 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | -16 | 4 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 17 | 1 | 3 | 13 | 15:42 | -27 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:31 | -25 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 12 |
| კოული (მანჩესტერი) | 12 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 10 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 9 |

XIX ტური

26 დეკემბერი

ქოვენთრი — არსენალი
დერბი — ასტონ ვილა
ევერტონი — სანდერლენდი
ლიდსი — ლესტერი
მანჩესტერი — ბრედფორდი
ნიუკასლი — ლივერპული
შეფილდი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ჩელსი
ტოტენჰემი — უოტფორდი
უიმბლდონი — ვესტ ჰემი

## პირველი დივიზიონი

XXIII ტური

**ბარნსლი 3:2 უოლსოლი**

1:0 პინეტი (30), 1:1 კიტსი (55), 2:1 პინეტი (65), 2:2 როპერი (73), 3:2 პინეტი (90)

**ბოლტონი 0:1 სტოკპორტი**

0:1 დინინგი (60)

**კრ. პალასი 0:0 ფულემი**

**ჰადერსფილდი 3:1 გრიმსბი**

1:0, 2:0 უინჰარდი (6, 25), 2:1 გროვსი (44), 3:1 სტიუარტი (63)

**იფსვიჩი 3:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ჯონსონი (6), 2:0 შოუკროფტი (27), 3:0 მიდჯლი (66), 3:1 დე ფრიტესი (77)

**მანჩესტერ სიტი 3:0 სუინდონი**

1:0 პოლოკი (29), 2:0 ტეილორი (47ს.კ.), 3:0 გოტერი (59)

**ნოტინგემი 1:0 ქრიუ**

1:0 ჯონი (74)

**პორტსმუთი 0:0 პორტვეილი**

**ქუინზ პარკი 0:0 ჩარლტონი**

**შეფილდ იუნ. 2:1 ბლექბერნი**

0:1 უორდი (10), 1:1, 2:1 ბენტი (30, 76)

**ტრანმერი 1:2 ნორვიჩი**

1:0 ალისონი (14), 1:1, 1:2 რობერტსი (63, 89)

**ვულვერჰემპტონი 2:1 ბირმინგემი**

0:1 ჰიუზი (16), 1:1 აკინბი (40), 2:1 პოლეტი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 23 | 14 | 4 | 5 | 42:23 | 46 |
| სიტი | 23 | 14 | 3 | 6 | 35:19 | 45 |
| იფსვიჩი | 23 | 12 | 6 | 5 | 40:26 | 42 |
| ჩარლტონი | 22 | 12 | 5 | 5 | 38:24 | 41 |
| ბარნსლი | 22 | 12 | 3 | 7 | 42:35 | 39 |
| სტოკპორტი | 23 | 10 | 7 | 6 | 28:30 | 37 |
| ფულემი | 22 | 8 | 10 | 4 | 24:18 | 34 |
| ქუინზ პარკი | 23 | 8 | 9 | 6 | 32:28 | 33 |
| ბირმინგემი | 22 | 8 | 8 | 6 | 33:25 | 32 |
| ვულვზი | 22 | 8 | 8 | 6 | 25:21 | 32 |
| ბოლტონი | 23 | 8 | 7 | 8 | 32:27 | 31 |
| ნორვიჩი | 22 | 8 | 7 | 7 | 21:20 | 31 |
| ბლექბერნი | 22 | 7 | 9 | 6 | 27:22 | 30 |
| ტრანმერი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:34 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 5 | 11 | 7 | 23:27 | 26 |
| ქრიუ | 23 | 7 | 5 | 11 | 26:31 | 26 |
| კრ. პალასი | 23 | 6 | 8 | 9 | 30:36 | 26 |
| გრიმსბი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:38 | 26 |
| ნოტინგემი | 22 | 6 | 6 | 10 | 24:27 | 24 |
| შეფილდ იუნ. | 23 | 6 | 6 | 11 | 27:39 | 24 |
| პორტვეილი | 23 | 5 | 8 | 10 | 26:31 | 23 |
| პორტსმუთი | 23 | 5 | 7 | 11 | 25:36 | 22 |
| უოლსოლი | 23 | 4 | 7 | 12 | 21:37 | 19 |
| სუინდონი | 23 | 3 | 8 | 12 | 16:37 | 17 |

## მეორე დივიზიონი

XXI ტური. ბორნმუთი - ოქსფორდი 4:0; ბარნეტი - კარდიფი 2:1; კემბრიჯი - ოლდემი 2:3; მილუოლი - ნოტსი 1:0; პრესტონი - ბლექპული 3:0; რედინგი - რექსჰემი 2:2; სკანთორპი - ბერი 0:2; სტოკი - როვერსი 1:2; უიგანი - ბრენტფორდი 1:0; ბრისტოლი - უიკომბი 0:0; კოლჩესტერი - ლუტონი 3:0

## მესამე დივიზიონი

XXII ტური. ბარნეტი - მენსფილდი 0:0; ჩესტერი - ჰალიფაქსი 2:1; ექსეტერი - ჰარტლპული 1:2; ჰალი - კარლაილი 2:1; ლინკოლნი - შრუსბერი 1:2; მაკლსფილდი - ლეიტონი 1:0; ნორთჰემპტონი - პლიმუთი 1:1; იორკი - საუთენდი 2:2; როტერჰემი - დარლინგტონი 2:1; სუონსი - ბრაიტონი 2:0

## გერმანია

XVII ტური

**ფრაიბურგი 1:1 ვოლფსბურგი**

0:1 იუსკოვიაკი (19), 1:1 სელიმი (48)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, ჰერმელი (გიუნეში 71), ვილი, ცაიერი (ბენ სლიმანი 60), კორელი, კობიაშვილი, ვაისჰაუპტი, რამდანე (კოლი 78), სელიმი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, კრიგერი, ბალვანცი, დებრიტცი, ნოვაკი, დამაიერი, ვაისერი, ჭკონორი, ფელდჰოფი (ვიუკი 85), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: კორელი, ბალვანცი, დამაიერი, იუსკოვიაკი, ნოვაკი
მსაჯი: შტარკი

**ვერდერი 0:2 ბაიერნი**

0:1 იანკერი (71), 0:2 პაულო სერჟიო (81)
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ტრარესი (ზაიდელი 76), ფ. ბაუმანი, ბოდე, მაქსიმოვი, აილტსი, დაბროვსკი, ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
ბაიერნი: კანი, ლინკე, კუფური, მათეუსი, ბაბელი, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო (ვისინგერი 90), სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 85), იანკერი (სანტა კრუზი 80)
გაფრთხილება: ბაუმანი, მაქსიმოვი, პიზარო, იერემისი, კუფური
გაძევება: აილტსი (79)
მსაჯი: ფრიოლიხი

**დორტმუნდი 4:0 ჰერტა**

1:0 ნიეგუსი (16), 2:0 მიხალკე (22ს.კ.), 3:0 ბობიჩი (33), 4:0 ვიორნსი (69)
დორტმუნდი: ლემანი, კ. ბაუმანი, კოლერი, ნიეგუსი, ადო, სტევიჩი (ნერლინგერი 73), მიოლერი, ვ. ბუტი (ბარბარესი 83), ვიორნსი, იკპება, ბობიჩი (ჰერლიხი 87)
ჰერტა: კირალი, რეკდალი, კონსტანტინიდისი, ვან ბურიკი, რემერი (სანე 46), შმიდტი, ჰარტმანი, მიხალკე, ვოში (ნოიენდორფი 76), პრეეცი, დაეი (არაჩიჩი 54)
გაფრთხილება: ადო, რეკდალი
მსაჯი: ცერი

**მიუნხენი 2:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 მაქსი (4), 1:1 ჯორკაეფი (15პ), 2:1 ჰესლერი (75პ)
მიუნხენი: ჰოფმანი, ტაპალოვიჩი, ვანენბურგი, კურცი, ზელიჩი, შტრანცლი (პიურკი 46), რიდლი, ჩერნი (პროსენიკი 81), ჰესლერი, ვინკლერი (აგოსტინო 57), მაქსი
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, კოხი (პეტერსონი 86), შონბერგი, შტრასერი, ვაგნერი, რატინიო (ბუკი 54), ბასლერი, სფორცა, ხრისტოვი, მარშალი, ჯორკაეფი
გაფრთხილება: კურცი, ვანენბურგი, კოხი, სფორცა, ბასლერი
გაძევება: ბასლერი (78)
მსაჯი: კრუგი

**ჰამბურგი 6:1 დუისბურგი**

1:0 იებოა (8), 2:0 ჰოოგმა (11), 2:1 ბაიერლე (20), 3:1 იებოა (29), 4:1 ბუტი (41პ), 5:1 ჰირში (43ს.კ.), 6:1 ჰოოგმა (90)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ნ. კოვაჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გრავესენი (ფ. ერნსტი 63), გრამოცისი, ჰოლერბახი, კარდოზო (დოლი 71), მაჰდავიკია (ბერონი 80), იებოა, პრეგერი
დუისბურგი: სტაუჩე, მ. შნაიდერი, ჰაიტო (კოვაჩევიჩი 46), ვოლერტი, ოსტჰოფი, ტოფტინგი, ჰოერსენი, ცაიერი (ვოსი 46), ჰირში, შპისი, ბაიერლე
გაფრთხილება: ჰირში, კოვაჩევიჩი, ტოფტინგი
მსაჯი: აუსტი

**ლევერკუზენი 2:1 უნტერჰახინგი**

0:1 მატიას ციმერმანი (61), 1:1, 2:1 ბრდარიჩი (69, 71)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ბ. შნაიდერი, ემერსონი, გრეშკო (ბრდარიჩი 46), ბალაკი (რამელო 89), ბაინლიხი, პონტე (ნოივილი 46), კირსტენი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბუგერი, ბერგენი, გრასოვი, შვარცი (ზაილერი 78), შტრემელი, ჰაბერი (ჰერტლი 70), შტრაუბე, მატიას ციმერმანი, ზაიტცი, რაკლი (ბრაიტენრაიტერი 58)
მსაჯი: შტრამპე

**არმინია 1:2 შტუტგარტი**

1:0 ბომე (61), 1:1, 1:2 დანდი (75, 82)
არმინია: კოხი, მაისნერი, შტრაალი, შტრატოსი (ბაგერი 62), პეეტერსი, კლიცპერა, ვატერინკი, ვაისენბერგერი, ბომე (მაული 77), ლაბადია, გიოქთანი (ვან დერ ვენი 72)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი (კელერი 62), ბორდონი (ენდრესი 62), კარნელი, სოლდო, პინტო, გერბერი, ლისტეში, დანდი, განეა (ჰონსნი 77)
გაფრთხილება: პეეტერსი, გერბერი
მსაჯი: კემლინგი

**ულმი 3:0 აინტრახტი**

1:0 ლეანდრო (9), 2:0 შარინგერი (47), 3:0 ზდრილიჩი (69)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო (შარინგერი 46), უნსოლდი, მაიერი, გორა, ლეანდრო (პლოილერი 86), ვან დერ ჰაარი (ზდრილიჩი 51)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ცამპახი (დომბი 57), კრახტი, შური, რასიევსკი, გუიე მიენი, გებჰარდტი, სობოჩიკი, ფიორტოფტი (ვესტერტალერი 61), სალუ (ჩენ იანგი 46)
გაფრთხილება: ლეანდრო, ოტო, ვან დერ ჰაარი, ფიორტოფტი, სალუ
მსაჯი: ალბრეხტი

**ჰანზა 1:0 შალკე**

1:0 ბენკენი (70)
ჰანზა: ბროიტიგამი, ბენკენი, ვაილანდტი, ელერსი, ვიბრანი, იასერი, ლანგე, მაიაკი, ბრაიტკროიცი (ბრანდი 85), არვიდსონი (აგალი 59), ბაუმგარტი (ჰოლეჩეკი 90)
შალკე: რეკი (შობერი 57), ვალდოხი, ჰაპე, მიულერი, კმეტჩი, კამპუისი, ვილმოტსი, ალპუგანი (ბუსკენსი 54), ვან კერკჰოვენი, ასამოა (გუსენსი 78), სანდი
გაფრთხილება: ბრაიტკროიცი, მაიაკი, ვილმოტსი
მსაჯი: ჰაინემანი

# ნახევრად ჩემპიონი




ლევერკუზენი — უნტერჰახინგი 2:1 ლევერკუზენელი ემერსონი და უნტერჰახინგელი ალთინ რაკლი ბურთისთვის იბრძვიან

მიუნხენის „ბაიერნმა" პირველი წრის ბოლო მატჩში სტუმრად ბრემენის „ვერდერი" დაამარცხა და ჩემპიონი გახდა, ოღონდ ჯერ მხოლოდ შემოდგომისა. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბუნდესლიგას უმეტესწილად სწორედ შემოდგომის ჩემპიონი იგებს. ასე მოხდა შარშანაც. გასულ წელს პირველი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში „ბაიერნი" იდგა და ჩემპიონადაც იგი მოგვევლინა. გუნდების ამჟამინდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, უკაცრავად „ლევერკუზენთან" და ალბათ, წლეულსაც ასე იქნება.

„ვერდერი" — „ბაიერნის" შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა და საინტერესო გამოდგა, თუმცა საგოლე მომენტები იშვიათად იქმნებოდა. პირველ ნახევარში გოლის გატანის რეალური შანსი მასპინძელთაგან ბოდეს ჰქონდა, სტუმართაგან — წინა ტურში დუბლის შემსრულებელ ბოსნიელ სალიჰამიჯიჩს, თუმცა ვერც ერთმა ივარგა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი „ვერდერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა აილტონმა ძალიან ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა. სამაგიეროდ, „ბაიერნის" ბრაზილიელმა ფორვარდმა პაულო სერჟიომ გაიტანა, თუმცა მანამდე ბევრი რამ მოხდა. კერძოდ, 71-ე წუთზე კარსტენ იანკერმა კარგად ითამაშა და „ბაიერნი" დააწინაურა, 8 წუთის შემდეგ კი ერთ დროს გერმანიის ნაკრების მცველი, თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ნათამაშევი დიტერ აილტსი უხეშობისთვის მინდვრიდან მიაბრძანეს. მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. პაულო სერჟიოს გოლმა თამაშს აზრი დაუკარგა.

„ჩემს გუნდს მადლობას ვუხდი. თავმოყვარეობა არ შევილახეთ და შემოდგომის ჩემპიონები გავხდით" — ცოტა არ იყოს, ორაზროვნად განაცხადა „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მიუნხენელები, პირველი წრის მოგების მიუხედავად, არხეინად მაინც ვერ იქნებიან. „ლევერკუზენმა" შინ „უნტერჰახინგთან" დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა და ლიდერთან ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. ეს სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა, მასპინძლებს მხსნელად თომას ბრდარიჩი რომ არ მოვლენოდათ — მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ორ წუთში ორი გოლი გაიტანა და ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. სტუმართა კართან რამდენიმე რეალური მომენტიც შეიქმნა, მაგრამ ყველა უგოლოდ დასრულდა. 56-ე წუთზე ბრდარიჩმა კარგი შანსი ვერ გამოიყენა, მერე კი... მასპინძელთა კარში გოლი გავიდა. „უნტერჰახინგის" პირველი და უკანასკნელი შეტევა ციმერმანმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა და სტადიონზე შეკრებილი 22 ათასი ქომაგი გააოგნა. თუმცა მცირე ხნით, ბრდარიჩმა სენსაციების მოყვარულნი გააწბილა.

„დუისბურგმა" და მისმა ლიტველმა მეკარემ გინტარას სტაუჩემ სტუმრად „ჰამბურგთან" შეხვედრის პირველ ნახევარში ღია კარის დღე მოაწყვეს. გუნდები რომ შესასვენებლად წავიდნენ, ტაბლოზე 5:1 ენთო, ცხადია, მასპინძელთა სასარგებლოდ. ხუთიდან ერთი გოლი კი „ჰამბურგის" მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა გაიტანა, რომლისთვისაც ეს გოლი მიმდინარე სეზონში მეშვიდე იყო. საბოლოო ანგარიში 90-ე წუთზე ჰოოგმამ დააფიქსირა — 6:1. ეს გამარჯვება ჰამბურგელთათვის ბოლო 13 წელიწადში უდიდესი გახლდათ, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ამ შეხვედრაში ის მოხდა, რომ სამწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა კარსტენ ბერონი, რომელსაც მძიმე ტრავმა ჰქონდა. მასპინძელთა [illegible] ფრანკ პაგელსდორფმა [illegible] წუთი ათამაშა.

„ჯერ კიდევ 15 წლის წინ [illegible] ხოვე ვიდეოს გამოყენება. დღეს გამოჩნდა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. მსაჯების მოვალეობა თამაშის გაძღოლაა და არა მისი ბედის გადაწყვეტა. ის, რაც ჩვენ დღეს ვიხილეთ, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება" — აღშფოთებული ესაუბრებოდა „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი ოტო რეჰაგელი გერმანელ ჟურნალისტებს. შაბათს მისი გუნდი ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა, თუმცა წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ამჯერად „მეფე ოტომ" ყველაფერში მსაჯები დაადანაშაულა. ამ მატჩს კი თავად ჰელმუტ კრუგი, მსოფლიოში კარგად ცნობილი არბიტრი სჯიდა. მან 78-ე წუთზე ბასლერს ხელით თამაშისთვის მეორე ყვითელი უჩვენა და მინდვრიდან გააძევა, სამი წუთით ადრე კი სტუმართა კარში პენალტი დანიშნა. რეჰაგელის განრისხებაც ძირითადად ამან გამოიწვია. თამაში „მიუნხენმა" 2:1 მოიგო. გადამწყვეტი გოლი თომას ჰესლერმა გაიტანა.

ფრანკფურტის „აინტრახტი" მეორე წრეს, ალბათ ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით დაიწყებს. იორგ ბერგერის დამოძღვრილმა გუნდმა ბოლო 14 მატჩიდან ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა, დანარჩენი წააგო. აქედან ექვსჯერ ზედიზედ. შაბათს „აინტრახტი" პატარა და ჯიბეთხელ „ულმთან" განადგურდა — 0:3.

გაინტერესებთ რა გუნდია „ფრაიბურგი"? კობიაშვილის, იაშვილის და ცქიტიშვილის გუნდს შეუძლია სტუმრად დაამარცხოს „კაიზერსლაუტერნი", მნიშვნელოვანი ქულები დააკარგვინოს „დორტმუნდს", „ლევერკუზენს", სამაგიეროდ, შინ წააგოს „აინტრახტთან" და ვერ მოუგოს „ვოლფსბურგს" და მისნაირს. ახლაც ასე მოხდა. „ფრაიბურგმა" „ვოლფსბურგს" უმასპინძლა და ფრედ ეთამაშა. მასპინძლები წაგებას ჩემპიონატის ბომბარდირმა ტუნისელმა ადელ სელიმიმ გადაარჩინა. კობიაშვილმა „კიკერისგან" 3-იანი დაიმსახურა.

დორტმუნდში კი ყველაფერი ტაბლოზე აისახა — „დორტმუნდი" — „ჰერტა" 4:0.

**ვანო ოქროპირიძე**

## მეორე ბუნდესლიგა

XVII ტური

**ბერლინი 0:0 ქემნიცი**

**კიოლნი 4:1 კოტბუსი**

1:0 ლოტნერი (10პ), 2:0 შერცი (35), 3:0 ლოტნერი (40), 3:1 ჰელბიგი (76), 4:1 ჰაშენჰუტლი (90)

**ვალდჰოფი 2:1 მაინცი**

1:0 კლაუში (22), 1:1 ნოიშტადტერი (58), 2:1 კლაუში (64)

**ობერჰაუზენი 2:2 ზანქტ პაული**

0:1, 0:2 მარინი (5, 47), 1:2 ვაიერი (72), 2:2 ბიელი (77)

**ოფენბახი 4:3 ფორტუნა**

0:1 კონეცკი (3), 1:1 ბინცი (9), 1:2 გრაფი (32), 2:2 დამა (43პ), 2:3 გრაფი (71), 3:3, 4:3 ბინცი (74, 90)

**ბოხუმი — ჰანოვერი**

**ფიურტი — ალემანია**

**კიკერსი — კარლსრუე**

გადაიდო

**გლადბახი — ნიურნბერგი**

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 17 | 12 | 4 | 1 | 39:12 | 40 |
| კოტბუსი | 17 | 10 | 1 | 6 | 37:21 | 31 |
| ნიურნბერგი | 16 | 8 | 3 | 5 | 27:27 | 27 |
| ბერლინი | 17 | 6 | 8 | 3 | 24:19 | 26 |
| ქემნიცი | 17 | 6 | 6 | 5 | 27:22 | 24 |
| ბოხუმი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 |
| ვალდჰოფი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:25 | 23 |
| ალემანია | 16 | 6 | 5 | 5 | 25:30 | 23 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:21 | 22 |
| მაინცი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:21 | 22 |
| ფიურტი | 16 | 5 | 7 | 4 | 11:14 | 22 |
| ზტ. პაული | 17 | 4 | 7 | 6 | 19:23 | 19 |
| გლადბახი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| კიკერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:31 | 17 |
| ობერჰაუზენი | 16 | 3 | 7 | 6 | 15:20 | 16 |
| ფორტუნა | 17 | 3 | 6 | 8 | 15:28 | 15 |
| ოფენბახი | 17 | 3 | 6 | 8 | 15:28 | 15 |
| კარლსრუე | 15 | 2 | 6 | 7 | 20:25 | 12 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 17 | 11 | 3 | 3 | 33:13 | 20 | 36 | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 13 | 17 | 9 | 6 | 1 | 2 | 13:6 | 7 | 19 |
| 2 | ლევერკუზენი | 17 | 9 | 7 | 1 | 29:18 | 11 | 34 | 9 | 6 | 3 | 0 | 21:11 | 10 | 21 | 8 | 3 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 13 |
| 3 | ჰამბურგი | 17 | 8 | 7 | 2 | 39:19 | 20 | 31 | 8 | 6 | 2 | 0 | 25:5 | 20 | 20 | 9 | 2 | 5 | 2 | 14:14 | 0 | 11 |
| 4 | მიუნხენი | 17 | 8 | 5 | 4 | 28:21 | 7 | 29 | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 10 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 9 |
| 5 | დორტმუნდი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:13 | 11 | 28 | 9 | 4 | 4 | 1 | 16:9 | 7 | 16 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:4 | 4 | 12 |
| 6 | შტუტგარტი | 17 | 8 | 3 | 6 | 21:19 | 2 | 27 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 10 | 9 | 5 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 17 |
| 7 | ვერდერი | 17 | 7 | 5 | 5 | 34:24 | 10 | 26 | 9 | 4 | 2 | 3 | 17:13 | 4 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:11 | 6 | 12 |
| 8 | ლაუტერნი | 17 | 7 | 2 | 8 | 21:30 | -9 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:19 | -9 | 10 |
| 9 | ჰერტა | 17 | 5 | 7 | 5 | 22:28 | -6 | 22 | 8 | 3 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 13 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:21 | -12 | 9 |
| 10 | შალკე | 17 | 4 | 9 | 4 | 21:20 | 1 | 21 | 8 | 1 | 6 | 1 | 8:9 | -1 | 9 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 2 | 12 |
| 11 | ვოლფსბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 22:30 | -8 | 21 | 9 | 5 | 0 | 4 | 14:16 | -2 | 15 | 8 | 0 | 6 | 2 | 8:14 | -6 | 6 |
| 12 | ფრაიბურგი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:23 | 1 | 20 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:8 | 8 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | -7 | 6 |
| 13 | უნტერჰახინგი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:20 | -2 | 20 | 8 | 5 | 3 | 0 | 11:3 | 8 | 18 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:17 | -10 | 2 |
| 14 | ჰანზა | 17 | 5 | 5 | 7 | 23:35 | -12 | 20 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:12 | 4 | 18 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:23 | -16 | 2 |
| 15 | ულმი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 19 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:7 | 5 | 14 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 |
| 16 | დუისბურგი | 17 | 2 | 7 | 8 | 18:30 | -12 | 13 | 8 | 1 | 5 | 2 | 9:8 | 1 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:22 | -13 | 5 |
| 17 | აინტრახტი | 17 | 3 | 2 | 12 | 17:27 | -10 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 18 | არმინია | 17 | 2 | 5 | 10 | 13:31 | -18 | 11 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:19 | -14 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |
| ბოდე (ვერდერი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 8 |
| სანდი (შალკე 04) | 8 |
| მაქსი (მიუნხენი) | 8 |

XVIII ტური

5 თებერვალი

დორტმუნდი - ლაუტერნი
ვერდერი - შტუტგარტი
ჰამბურგი - ბაიერნი
ფრაიბურგი - ულმი
მიუნხენი - ვოლფსბურგი
ჰანზა - ჰერტა
ლევერკუზენი - დუისბურგი
უნტერჰახინგი - აინტრახტი
არმინია - შალკე

# ია ლია

XIV ტური

### ფიორენტინა 1:1 იუვენტუსი

0:1 ტუდორი (17), 1:1 ბატისტუტა (20)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, რეპკა, ბრესანი (პიერინი 64), კოისი, დი ლივიო (როსიტო 90), ტორიჩელი (კ. ამორუზო 40), რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა
იუვენტუსი: რამპულა, ტუდორი, მონტერო, იულიანო, კონტე (ბირინდელი 72), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო (ძამბროტა 46), ზიდანი (კოვაჩევიჩი 61), ფ. ინძაგი, დელ პიერო
გაფრთხილება: იულიანო, რუი კოშტა
მსაჯი: მესინა

### პარმა 2:0 რომა

1:0 კრესპო (2), 2:0 ტორიზი (32)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, კანავარო, ფუზერი, ბოგოსიანი, დ. ბაჯო (ლონგო 38), ვანოლი, ორტეგა (სერენა 72), კრესპო (ამოროზო 90), დი ვაიო
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო (კ. ძანეტი 59), დი ფრანჩესკო (ფაბიო ჟუნიორი 35), კანდელა, დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ძაგო, ბაჯო, ტურამი, ფაბიო ჟუნიორი, ტორიზი, კანდელა, ორტეგა, ტოტი, დელვეკიო
მსაჯი: ტრეოსი

### ლაციო 2:0 პიაჩენცა

1:0 სალასი (9), 2:0 მიხაილოვიჩი (58)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, გოტარდი (ლომბარდო 35), ვერონი, სენსინი, ნედვედი, სალასი (მანჩინი 76), ბოკშიჩი (ს. ინძაგი 76)
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, დელი კარი, ვერხოვოდი, პოლონია, ბუზო, სტროპა (მორონე 56), მაცოლა (კრისტალინი 63), მანიგეტი, რიციტელი (დიონიჯი 73), პიოვანი
გაფრთხილება: მაცოლა, დელი კარი, ვერონი
გაძევება: დელი კარი (58)
მსაჯი: ბოლონინო

# გმირობიდან ანტიგმირობამდე ერთი დარტყმა



REUTERS ფლორენციიდან

ფიორენტინა — იუვენტუსი 1:1. ფლორენციელი დანიელე ადანი ტურინელ ალესანდრო დელ პიეროს გადაახტა

### მილანი 2:2 რეჯინა

0:1 პირლო (30), 1:1, 2:1 შევჩენკო (61, 74), 2:2 კალონი (79)
შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
მილანი: აბიატი, ნგოტი, კოსტაკურტა, სალა, გულიელმინპიეტრო, ამბროზინი (დე აშენტისი 56), ჯუნტი, სერჟინიო, ბობანი (ლეონარდო 56), ბირჰოფი, შევჩენკო
რეჯინა: ბელარდი, სტოვინი, ჩირილო, ჯაკეტა, ფოლიო, ბრევი, ბარონიო (ბერნინი 70), პირლო, მორაბიტო, კალონი (რეგი 92), პოსანცინი (პოლი 88)
გაფრთხილება: ჯუნტი, ბრევი, სალა, ბარონიო
გაძევება: ჯუნტი (79)
მსაჯი: პრესკერნი

### ბარი 2:1 ინტერი

1:0 ენინაია (6), 1:1 ვიერი (12), 2:1 კასანო (87)
ბარი: მანჩინი (გრეგორი 16), ნექროიზი, გარსია, ინოჩენტი, დელ გროსო, კოლაუტო, დ. ანდერსონი, მარკიჩი, მარკოლინი (პეროტა 47), ენინაია (ოლივარესი 65), კასანო
ინტერი: პერუცი (ფერონი 74), პანუჩი, ბლანი, კოლონეზე (რეკობა 60), ხ. ძანეტი, კოე, დი ბიაჯო, იუგოვიჩი, გეორგატოსი, სამორანო (რ. ბაჯო 79), ვიერი
გაფრთხილება: კოლონეზე, კასანო
მსაჯი: ბრაში

### პერუჯა 3:2 ბოლონია

1:0 კალორი (33), 1:1 ვომე (50), 2:1 ამორუზო (60), 2:2 სინიორი (64), 3:2 რიპა (81)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, რიპა, კალორი, მილანეზე, ბა, ტედესკო (რივალტა 92), ოლივე (ბიზოლი 75), რაპაიჩი (ესპოზიტო 75), ნაკატა, ნ. ამორუზო
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, ბოზელი, ტარანტინო, ნერვო, ინგესონი, პიაჩენტინი (ვომე 33), ფონტოლანი (ზე ელიასი 70), კ. ანდერსონი, სინიორი (სიპრიენი 75)
გაფრთხილება: ბოზელი, ვომე, ტარანტინო, ანდერსონი
გაძევება: ბია (83)
მსაჯი: ბორიელო

### ტორინო 0:1 უდინეზე

0:1 იორგენსენი (26)
ტორინო: [illegible], ფიკადენტი (გალანტე 30), მალტალიატი, მენდესი, ანდრე კრუზი, ბრამბილა, კოკო, სომეზე (პანარელი 41), ფერანტე, ივიჩი
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი, ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი (ძანკი 61), იორგენსენი, პიზარო (მანფრედინი 68), პოჯი (ფორუინიო 88), მარჯიოტა
გაფრთხილება: ანდრე კრუზი, მენდესი, ბერტოტო, არტისტიკო
გაძევება: არტისტიკო (86)
მსაჯი: ნუჩინი

### კალიარი 0:0 ლეჩე

კალიარი: სკარპი, ვილა, ლოპესი, ძებინა, ბერეტა, ონილი, დე პატრე, მოდესტო, მაიელე (სუაზო 78), მბომა, მორფეო (კორადი 62)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, პავოტო, ტრავერსა, კონტიჩიო, პიანჯერელი, ბონომი, კოლონელო (მასპერო 92), სესა (დი კარლო 88), ბილოტო (მარინო 27)
გაფრთხილება: ლოპესი, მაიელე, დე პატრე, კორადი, ტრავერსა
მსაჯი: დე სანტისი

### ვერონა 1:0 ვენეცია

1:0 ადაილტონი (57პ)
ვერონა: ფრეი, ფილიპინი, ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი, იტალიანო (სალვეტი 84), კოლუჩი, მელისი, ალიეტი (ფრანჩესკეტი 52), ადაილტონი (კამარატა 74)
ვენეცია: კასაცა, ბრიოსკი, კარდონე, პავანი, ბეტარინი (დალ კანტო 46), ვალტოლინა (ბუდანი 74), იაკინი (ნანამი 69), ვოლპი, პედონე, მანიერო, პეტკოვიჩი
გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, იტალიანო, ფილიპინი, დალ კანტო, პედონე, ბრიოსკი, ბუდანი, კასაცა
გაძევება: ლაურსენი (61)
მსაჯი: როსეტი

სერია A უხვგოლიანობით ვერ დაიკვეხნის. ამიტომ, თუ ფეხბურთელი ერთ თამაშში ორ გოლს გაიტანს, ბრწყინვალე შედეგია, პეთ ტრიქის გახერხება კი — ლამის გმირობის ტოლფასი.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, უკრაინელმა ლეგიონერმა ანდრეი შევჩენკომ ბრწყინვალედ ითამაშა, გმირობამდე სულ ცოტა დააკლდა და... ანტიგმირიც გახდა.

თავიდან მივყვეთ. „მილანი", რომელმაც რამდენიმე დღის წინ საუკუნოვანი იუბილე პომპეზურად აღნიშნა, „სან სიროზე" მოკრძალებულ „რეჯინას" მასპინძლობდა. „რეჯინა" სერია A-ს დებიუტანტია და გათამაშების ცხრილშიც მეთექვსმეტე ადგილი ეკავა. მიუხედავად ამისა, „სან სიროს" დიდებულებამ სტუმრებზე დამთრგუნველად არ იმოქმედა. 30-ე წუთზე ანდრეა პირლომ „რეჯინა" დააწინაურა, რამაც 61-ე წუთამდე გასტანა. წონასწორობა ანდრეი შევჩენკომ დიდებული საჯარიმო დარტყმით აღადგინა. კიდევ ცამეტი წუთიც და უკრაინელმა „მილანი" დააწინაურა, მაგრამ სტუმართა გუნდი ვერ გატეხა. 79-ე წუთზე მასპინძლებს ჯუნტი გაუძევეს და მათ კარში საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. მუჰამედ კალონიმ მილანელებს მეორე ბურთი შეუგდო. „მილანს" ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. მისმა შეტევებმა კულმინაციას 90-ე წუთზე მიაღწია. „რეჯინას" კარში პენალტი დაინიშნა. ყველანი საჯარიმოს გარეთ დგანან, შიგნით ორი კაცია — „რეჯინას" დებიუტანტი მეკარე ემანუელ ბელარდი და მილანელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო. უკრაინელს მატჩის გმირად გახდომა სურს, მას ეს შეუძლია. მაგრამ... ერთი წამიც და მილანელთა მეშვიდე ნომერი პენალტის ნიშნულთან წევს, ადგომასაც არ აპირებს, ის გაოგნებულია. ბელარდი და რეჯინელები ბედნიერები არიან. მათ „მილანი" გატეხეს. „რეჯინას" არ მოუგია, მაგრამ მილანში, „სან სიროზე" მოპოვებული ერთი ქულა მოკრძალებული გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

„მილანის" წარუმატებლობით უპირველესად „ინტერის" გულშემატკივრებმა გაიხარეს. ერთი დღით ადრე ხომ „მილანის" ქომაგები ხარობდნენ თანაქალაქელთა წაგებით. შაბათს პატარა იტალიურ ქალაქ ბარის ვარსკვლავებით დახუნძლული „ინტერი" ეწვია. ეწვია მხოლოდ იმისთვის, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყო. უკვე მე-6 წუთზე ნიგერიელმა უგო ენინაიამ სტუმართა მეკარის საიმედობის შემოწმება განიზრახა. 30 მეტრიდან დარტყმულ ბურთს ანჯელო პერუცი მისწვდა, მაგრამ გარჯა ამაო გამოუვიდა — ბურთს ამ დროისთვის კარის ხაზი გადაკვეთილი ჰქონდა. გოლიდან ექვსიოდე წუთში კრისტიან ვიერიმ მასში გადახდილი ფულის მიზანშეწონილობა დაამტკიცა და ანგარიში გაათანაბრა. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ანტონიო კასანომ ჭაბუკური ჟინი ვერ დაიოკა და 87-ე წუთზე არსებული წონასწორობა უხეშად დაარღვია. საბოლოოდ „ბარიმ" 2:1 მოიგო.

მე-14 ტურის წინ ლიდერობას ერთმანეთს „ლაციო" და „იუვენტუსი" ეცილებოდნენ. მათ დაუსწრებელ ბრძოლაში გამარჯვება „ლაციომ" მოიპოვა.

რომაელებს ბოლო ექვს შეხვედრაში „პიაჩენცა" ხუთჯერ დაემარცხებინათ. ამ ფაქტის გათვალისწინებით და გუნდების სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ლაციოს" მეტოქის მეექვსედ დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა. მასპინძლები მე-9 წუთზე ჩილელმა მარსელო სალასმა დააწინაურა. მიმდინარე სეზონში ეს მისი მეშვიდე გოლია. „პიაჩენცამ" „ლაციოს" დაცვას ვერაფერი მოუხერხა, თავად კი ბოლო 32 წუთი მინდორზე კაცნაკლულმა გაატარა. 58-ზე დანიელ დელი კარი გააძევეს. სანამ ეს ფეხბურთელი გასახდელში გაუჩინარდებოდა, სინიშა მიხაილოვიჩმა რომის ოლიმპიურ სტადიონზე თავმოყრილი 40 ათასი გულშემატკივარი მეორედაც გაახარა. „ლაციო" ახალ წელს ერთპიროვნული ლიდერის რანგში ხვდება.

ტურის ცენტრალური შეხვედრა ბოლოს გაიმართა. „ფიორენტინამ" „იუვენტუსი" მიიღო. სტუმრები მე-17 წუთზე ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა დააწინაურა.

ხორვატს ასისტენტობა ალესანდრო დელ პიერომ გაუწია. „იუვეს" მიმდინარე სეზონში „რომა", „მილანი" და „ინტერი", ანუ ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები უკვე დამარცხებული ჰყავდა, მაგრამ ფლორენციელები ამ სიაში არ შევიდნენ. ტუდორის გოლიდან ზუსტად სამ წუთში ენრიკო კიეზამ მარცხენა ფლანგიდან დაბალი ბურთი ჩააწოდა. ვის მისცა კიეზამ პასი? რა თქმა უნდა, გაბრიელ ბატისტუტას. ბატიგოლმაც თავისიანები არ გააწბილა და ანგარიში გაათანაბრა. პირველი ტაიმი, საერთო ჯამში, მაინც ტურინელთა უპირატესობით წარიმართა. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზინედინ ზიდანს მუხლი ასტკივდა და მინდორი დატოვა. მეკარე რამპულას კართან რამდენიმე კარგი მომენტიც შეიქმნა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენმა გუნდები მშვიდობიანად გაყარა.

გიორგი დარჯანია

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 14 | 9 | 4 | 1 | 30:13 | 17 | 31 | 8 | 6 | 2 | 0 | 21:7 | 14 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 |
| 2 | იუვენტუსი | 14 | 8 | 5 | 1 | 17:7 | 10 | 29 | 7 | 6 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 19 | 7 | 2 | 4 | 1 | 4:4 | 0 | 10 |
| 3 | პარმა | 14 | 8 | 3 | 3 | 27:17 | 10 | 27 | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 10 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 4 | რომა | 14 | 7 | 4 | 3 | 26:14 | 12 | 25 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 11 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:7 | 7 | 14 |
| 5 | მილანი | 14 | 6 | 6 | 2 | 29:19 | 10 | 24 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:6 | 12 | 17 | 7 | 1 | 4 | 2 | 11:13 | -2 | 7 |
| 6 | ინტერი | 14 | 7 | 2 | 5 | 24:12 | 12 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 3:7 | -4 | 7 |
| 7 | ბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 20 | 7 | 2 | 5 | 0 | 9:7 | 2 | 11 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 9 |
| 8 | პერუჯა | 14 | 6 | 2 | 6 | 16:18 | -2 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 7 |
| 9 | უდინეზე | 14 | 5 | 4 | 5 | 19:22 | -3 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:12 | 0 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 |
| 10 | ფიორენტინა | 14 | 4 | 6 | 4 | 15:17 | -2 | 18 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 14 | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 11 | ლეჩე | 14 | 5 | 3 | 6 | 15:23 | -8 | 18 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 16 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:18 | -13 | 2 |
| 12 | ბოლონია | 14 | 4 | 5 | 5 | 11:13 | -2 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 6:1 | 5 | 12 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 |
| 13 | ვერონა | 14 | 4 | 3 | 7 | 11:20 | -9 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:2 | 5 | 13 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:18 | -14 | 2 |
| 14 | ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 10:17 | -7 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:6 | 0 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:11 | -7 | 6 |
| 15 | რეჯინა | 14 | 2 | 6 | 6 | 15:23 | -8 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 6 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 6 |
| 16 | პიაჩენცა | 14 | 2 | 5 | 7 | 9:16 | -7 | 11 | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 2 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:12 | -9 | 1 |
| 17 | ვენეცია | 14 | 2 | 3 | 9 | 9:19 | -10 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 8 | 7 | 0 | 1 | 6 | 4:12 | -8 | 1 |
| 18 | კალიარი | 14 | 0 | 7 | 7 | 12:25 | -13 | 7 | 7 | 0 | 4 | 3 | 5:10 | -5 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | -8 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრესპო (პარმა) | 11 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 7 |
| სალასი (ლაციო) | 7 |
| ვიერი (ინტერი) | 7 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 7 |

XV ტური

5 იანვარი

ვენეცია — ლაციო

6 იანვარი

| | |
|---|---|
| ბოლონია | კალიარი |
| ინტერი | პერუჯა |
| იუვენტუსი | ვერონა |
| ლეჩე | ფიორენტინა |
| პიაჩენცა | მილანი |
| რეჯინა | ტორინო |
| რომა | ბარი |
| უდინეზე | პარმა |

## სერია B

XVI ტური

### ტრევიზო 1:1 ბრეშა

0:1 ილანა (14), 1:1 ბელუჩი (27)

### ტერნანა 1:1 ემპოლი

1:0 ანონი (68პ), 1:1 საუდატი (84)

### რავენა 1:0 ფერმანა

1:0 მურჯიტა (50)

### პესკარა 2:2 სალერნიტანა

1:0 ჯელსი (27), 1:1 დი მიკელე (30პ), 2:1 მ. როსი (62), 2:2 ვანუჩი (77)

### მონცა 1:1 სამპდორია

0:1 ვერგასოლა (38), 1:1 ვინაროლი (84)

### ჯენოა 1:0 სავოია

1:0 ფრანკიოზო (61პ)

### კოზენცა 3:0 პისტოიეზე

1:0 ჟაბოვი (17), 2:0, 3:0 ტატი (77, 90)

### ატალანტა 1:0 ალძანო

1:0 მარკო ნაპი (51)

### ვიჩენცა 1:2 კიევო

0:1 პასონი (23), 0:2 დე ჩეზარე (54), 1:2 პალადინი (70)

### ნაპოლი — ჩეზენა

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 16 | 9 | 3 | 4 | 22:14 | 30 |
| ვიჩენცა | 16 | 9 | 2 | 5 | 31:19 | 29 |
| ბრეშა | 16 | 7 | 8 | 1 | 22:10 | 29 |
| ნაპოლი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:15 | 26 |
| სამპდორია | 16 | 6 | 7 | 3 | 17:13 | 25 |
| რავენა | 16 | 5 | 8 | 3 | 18:14 | 23 |
| ტრევიზო | 16 | 6 | 4 | 6 | 23:18 | 22 |
| კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 20:20 | 22 |
| ტერნანა | 16 | 5 | 7 | 4 | 16:19 | 22 |
| ალძანო | 16 | 6 | 4 | 6 | 17:21 | 22 |
| მონცა | 16 | 4 | 9 | 3 | 16:16 | 21 |
| ჩეზენა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 |
| კოზენცა | 16 | 4 | 8 | 4 | 14:13 | 20 |
| ჯენოა | 16 | 5 | 4 | 7 | 17:16 | 19 |
| სალერნიტანა | 16 | 4 | 7 | 5 | 21:24 | 19 |
| პესკარა | 16 | 3 | 8 | 5 | 22:24 | 17 |
| ემპოლი | 16 | 4 | 5 | 7 | 9:21 | 17 |
| პისტოიეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 13:21 | 14 |
| სავოია | 16 | 2 | 6 | 8 | 12:23 | 12 |
| ფერმანა | 16 | 1 | 4 | 11 | 11:26 | 7 |

## სერია C1/A

მე-15 ტური. ბრეშელო — ალბინოლეფე 1:0, ჩიტადელა — სპალ 0:1; კომო — კარარეზე 1:0, ლივორნო — მონტევარკი 1:2; ლუკეზე — კრემონეზე 2:0; ლუმეცანე — რეჯანა 1:1; მოდენა — სანდონა 2:1; სიენა — პიზა 1:0; ვარეზე — ლეკო 2:0

## სერია C1/B

მე-15 ტური. ანკონა — ლოდიჯანი 6:1; არეცო — ჯულიანოვა 6:4; ატლეტიკო — მარსალა 1:1; დი სანგრო — ბენევენტო 1:0; ფ. ანდრია — აველინო 2:1; გუალდო — კატანია 2:1; სტაბია — კროტონე 1:1; ნოჩერინა — ასკოლი 1:1; ვიტერბეზე — პალერმო 1:1

## ესპანეთი

XVI ტური

### დეპორტივო 1:0 სელტა

1:0 ტურუ ფლორესი (65)

დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, ჯალმინია, ფლავიო კონსეისაო, მაურო სილვა, დონატო (რამოსი 50), მაკაი, ვიქტორ სანჩესი (ფერნანდო 82), ტურუ ფლორესი (იოკანოვიჩი 72)

სელტა: დუტრუელი, ველასკო, ჯოროვიჩი, კასერესი, მოსტოვოი, კარპინი, ჯოვანელა, მაკელელე, ხუანფრანი, ტურდო, გუსტავო ლოპესი (ბენი მაკკარტი 75)

გაფრთხილება: რომერო, ხუანფრანი, მაურო სილვა, ჯოვანელა, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი

გაძევება: ჯალმინია (90)

მსაჯი: ლონჩი ანდრეუ

### ბარსელონა 2:1 ატლეტიკო

1:0 ლუის ენრიკე (35), 1:1 ჰასელბაინკი (44პ), 2:1 ზენდენი (80)

ბარსელონა: არნაუ, პუიოლი (ფ. დე ბური 87), რაიციგერი, აბელარდო, ხავი, კოკუ (ლიტმანენი 77), ზენდენი, ლუის ენრიკე, ფიგუ, კლუივერტი, რივალდო (სიმაო 73)

ატლეტიკო: მოლინა, გასპარი (კორეა 87), აგილერა (ნიეგუსი 83), კაპდევილა, აიალა, გამარა, ბარახა (ვალერონი 45), ბეიბლი, ჰასელბაინკი, ხოსე მარი, სოლარი

გაფრთხილება: კაპდევილა, ჰასელბაინკი, ლუის ენრიკე, კოკუ, კლუივერტი, ხოსე მარი

მსაჯი: მედინა კანტალეხო

### ვალენსია 3:1 რაიო ვალეკანო

1:0 ხუან სანჩესი (14), 1:1 სემბრანოსი (69), 2:1 ხუან სანჩესი (82), 3:1 მენდიეტა (90)

ვალენსია: პალოპი, ბიორკლუნდი, ანგლომა (ხერარდი 67), ჯუკიჩი, პელეგრინო, მენდიეტა, ფარინოსი, კილი გონსალესი, ალბელდა (ფაგიანი 43), ოსკარი (ვლაოვიჩი 74), ხუან სანჩესი

რაიო ვალეკანო: კელერი, ლორენსი (პაბლო სანსი 46), ფერონი (კანაბალი 67), ჰელდერი, ალკასარი, ერნანდესი, კოტა, ესტიბარისი, სემბრანოსი (ამაია 80), მიჩელ II, ბოლო

გაფრთხილება: ლორენსი, პელეგრინო, პაბლო სანსი, სემბრანოსი

მსაჯი: პუენტეს ლეირა

### რეალი 2:1 ესპანიოლი

0:1 ბენიტესი (24), 1:1 რაული (42), 2:1 იერო (52)

რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ჟულიო სეზარი, იერო, ოგნიენოვიჩი (მაკმანამანი 63), გუტი (ივან ელგუერა 87), სავიო, რედონდო, კარემბე, მორიენტესი (ანელკა 76), რაული

ესპანიოლი: კავალიერო (მორა 44), როტჩენი, კრისტობალი, ლოპო, ნანდო, ველამასანი, როხერი (სერხიო 65), გალკა (დე ლუკასი 58), არტეაგა, ტამუდო, ბენიტესი

გაფრთხილება: ნანდო, ოგნიენოვიჩი, ბენიტესი, იერო, კრისტობალი, ჟულიო სეზარი, ველამასანი

მსაჯი: პერეს ლასა

### ბეტისი 1:0 მალიორკა

1:0 ფინიდი (63)

ბეტისი: ტონი პრატსი, ლუის ფერნანდესი (ბენჟამინი 46), მერინო, კარპანი (ალექსისი 72), ფილიპესკუ, ბორნესი, ოტერო, ფინიდი, რომერო, კროსა, ალფონსო (ოლი 79)

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი (არმანდო 75), დავიდი, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, იბაგასა (სერისუელა 65), ენგონგა, ლორენი, ლეო ბიაჯინი (კარლოსი 70), დიეგო ტრისტანი

გაფრთხილება: ოლი, სერისუელა, ბორნესი, კარლოსი, ბენჟამინი

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### ბილბაო 2:2 სარაგოსა

1:0 ესკერო (13), 1:1 ველისკა (31), 1:2 მილოშევიჩი (33პ), 2:2 ლაკრუსი (36)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარაინსარი, ლარასაბალი, ალკორტა, კარლოს გარსია, ლაკრუსი (ურსაისი 54), ი. გერერო, ალკისა (ფელიპე 74), ურუტია, ესკერო, ხ. ეჩებერია

სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხემესი, სუნდგრენი, აგუადო, პაბლო, გარიტანო, არაგონი, ელგერა, მილოშევიჩი, ველისკა (რადიმოვი 46), ხუანელე

გაფრთხილება: ლაკრუსი, აგუადო, ალკორტა, ხუანელე

გაძევება: ფელიპე (98)

მსაჯი: ბრიტო არსეო

### ოვიედო 4:2 სევილია

0:1 ხუან კარლოსი (27), 1:1 ონოპკო (32), 2:1 ივანი (60), 2:2 ხუან კარლოსი (70), 3:2 დელი ვალდესი (74), 4:2 ხაიმე (93)

ოვიედო: ესტებანი, ბორისი, ონოპკო, რაბარივონი (ამიევა 70), პაულო ბენტუ, პომპეი, ესკურსა, კეიტია, გონსალესი (ივანი 56), დელი ვალდესი (ხაიმე 82), ლოსადა

სევილია: რაბაიდა, ტაბარე, ჰიბიჩი, მარჩენა (პრიეტო 56), ცარტასი, ფრანსისკო (ვიქტორი 65), კევედო, პაკო მიიე (ექტორი 63), ხესული, ხუან კარლოსი, მარსელო ოტერო

გაფრთხილება: ესკურსა, ჰიბიჩი, პაულო ბენტუ, მარჩენა, პრიეტო

მსაჯი: ბუენო ხრიმალი

### მალაგა 0:0 სოსიედადი

მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე (აგოსტინო 46), ბრავო, ლარაინსარი, რუანო, მოვილია, დე ლოს სანტოსი, კატანია (ბასტი 80), ლუკე (სანდრო 59), ედგარი

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, კორინო, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, ლორენი, არამბურუ (პაკო ლორენტე 65), გომესი, ბონილია (დე პაულა 59), იდიაკესი (კუჰბაუერი 48), სა პინტუ

გაფრთხილება: ლარაინსარი, კატანია

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### ვალიადოლიდი 1:1 ალავესი

0:1 კონტრა (20), 1:1 როდრიგო (69)

ვალიადოლიდი: სესარი, ტორეს გომესი, მარკოსი (ჰაინცე 90), გარსია კალვო, პეკა, სანტამარია, ვისკაინო, ტურიელი (კამინერო 45), აროლდ ლოზანო, როდრიგო, პეტერნაკი (ალბერტო 62)

ალავესი: ერერა, ბერუეტი (ხავი მორენო 71), გასპარი (ჩუს ერერა 55), ტორეს მესტრე, კონტრა, ტელიესი, კარმონა, მორალესი, პაბლო, ნან რივერა, კოდრო (ხულიო სალინასი 81)

გაფრთხილება: მარკოსი, ნან რივერა, როდრიგო

გაძევება: აროლდ ლოზანო (43)

მსაჯი: კარმონა მენდესი

### ნუმანსია 2:1 რასინგი

1:0 პაჩეტა (3), 2:0 ბარბუ (52), 2:1 რუშფელტი (90)

ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, მუნისი, ბელსუე, ბარბუ (რივერა 80), პაჩეტა, კასტანიო, ნაგორე, ოხედა (ფაბრისი 94), რუბენ ნავარო

რასინგი: სებალიოსი, ნერუ, სიეტესი (ბესჩასტნიხი 79), მელბერგი, ვივარ დორადო, ესპინია, ისმაელი (რუშფელტი 45), მუნიტისი, სალვა, ამავისკა, მანხარინი

გაფრთხილება: ოხედა, ესპინია, სალვა, მუნიტისი

გაძევება: ივან როჩა (34)

მსაჯი: ლოპეს ნიეტო



ბეტისი — მალიორკა 1:0. ბეტისელი ალფონსო პერესი მალიორკელ მიგელ ანხელ ნადალს (№20) ფეხებში ჩაუვარდა

REUTERS სურათი

# ტრადიცია აღდგა

**ესპანეთში** ამგვარი რამ იშვიათად ხდება. როგორც წესი, ტურის ცენტრალურ მატჩში „რეალი" ან „ბარსელონა" უნდა მონაწილეობდნენ. ამჯერად ასეთი „დეპორტივო" — „სელტას" გალისიური დერბი იყო.

მიზეზი სატურნირო ცხრილში უნდა ვეძიოთ. ეს კლუბები ესპანეთის ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. გამარჯვების შემთხვევაში ვიგოელები ლიდერთან სხვაობას ორ ქულამდე შეამცირებდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილი არც „დეპორტივო" იყო, ამიტომ შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა.

„სელტას" უკვე მე-12 წუთზე შეეძლო დაწინაურება. გუსტავო ლოპესის დარტყმული ძელმა და მასპინძელთა მეკარე ჟაკ სონგომ მოიგერიეს. პირველ ტაიმში „დეპორტივოს" არც ისე ბევრი მომენტი ჰქონდა. აღნიშვნის ღირსია, ჯალმინიას მიერ შორი მანძილიდან შესრულებული დარტყმა. საკუთარი კარის გადასარჩენად რიშარ დუტრუელს გვარიანი გარჯა მოუხდა. შესვენების შემდეგ სიტუაცია რამდენადმე შეიცვალა. ვიგოელებმა მასპინძლებს ბურთის უფრო თავისუფლად ფლობის საშუალება მისცეს და დაისაჯნენ. 65-ე წუთზე კარის სიახლოვეს დაკარგულ ბურთს პირველმა ტურუ ფლორესმა მიუსწრო და ანგარიში გახსნა. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, „სელტა" გამოფხიზლდა და მატჩი პირველი ტაიმის სცენარით გაგრძელდა. გოლის გატანიდან ერთი წუთის შემდეგ სტუმართა კარიდან ალექსანდრ მოსტოვოის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ძელს ვერ ააცილა. შეხვედრის მიწურულს მსაჯმა ჯალმინიაც გააძევა, მაგრამ „სელტამ" ვერაფერი გააწყო — მატჩის დასრულებამდე მეტად მცირე დრო რჩებოდა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ლაკორუნიელებმა შვებით ამოისუნთქეს, მათ ეს გამარჯვება ურთულეს ბრძოლაში მოიპოვეს. შედეგი ვინმეს იქნებ უსამართლოდაც მოეჩვენოს და თქვას, „სელტა" უკეთ თამაშობდაო, მაგრამ გამარჯვება გატანილ გოლს მოაქვს და არა საგოლე მომენტებს. ასეა თუ ისე, „დეპორტივომ" ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგო და „სელტასთან" სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა. ერთი საინტერესო ფაქტიც. „დეპორტივოს" გულშემატკივრებს „სელტაზე" მეტად „ბარსელონასთან" ქულების სხვაობა აინტერესებთ. „ბარსა" — აი, ვის მიიჩნევენ ისინი მთავარ კონკურენტად.

კატალონიელები კი წინ მიიწევენ. ისინი ორი საფეხურით ამაღლდნენ და ახლა მეოთხე ადგილზე არიან. მე-16 ტურში „ბარსელონას" მეტოქე ამბიციური, მაგრამ ძალიან ცუდად მოთამაშე მადრიდის „ატლეტიკო" იყო. „ბარსასთვის" მოგების გარდა სხვა შედეგი არ არსებობს, მით უმეტეს ახლა. კატალონიელებს ბოლო ექვს თამაშში მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდათ. ამასთანავე, წაგების შემთხვევაში, სხვაობა ლიდერთან კატასტროფულად იზრდებოდა. მატჩში ანგარიში 35-ე წუთზე ლუის ენრიკემ გახსნა. მასპინძელთა უპირატესობამ დიდხანს არ გასტანა. ცხრა წუთის შემდეგ მადრიდელთა ბომბარდირმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა თერთმეტმეტრიანით წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში „ბარსელონა" შეტევას განაგრძობდა. თუმცა „კამპ ნოუზე" თავმოყრილ ქომაგებს ნერვიულობა მოუხდათ — დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. საბოლოოდ „ბარსელონას" გამარჯვება რივალდომ კი არა, ბუდევეინ ზენდენმა მოუტანა. ჰოლანდიელის ოცდაათი მეტრიდან დარტყმულ ბურთს მადრიდელთა მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. როგორც ვთქვით, კატალონიელები მეთხე ადგილზე ალზევდნენ და ლიდერს ათი ქულით ჩამორჩებიან.

„ბარსელონა" — „ატლეტიკოს" შეხვედრა კვირას გაიმართა. თუმცა იქამდე რამდენიმე დღით ადრე ორმოცდასამმა მადრიდელმა გულშემატკივარმა ხესუს ხილს აბონემენტების საფასურის დაბრუნება მოსთხოვა. მიზეზი ნათელია, „ატლეტიკო" მე-17 ადგილზეა, ამასთანავე დედაქალაქელებმა წინა ტურში რვაკაციან „ვალენსიასთან" წააგეს. ხილი რომ მწვრთნელმოძულე კაცია, ადრევე ვიცოდით, ამიტომ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მისი განცხადება სენსაციურია. მან თქვა: „მწამს, რომ კლაუდიო რანიერი („ატლეტიკოს" მწვრთნელია) გუნდს ძველ დიდებას დაუბრუნებს. მას ძალიან კარგი სამოქმედო გეგმა აქვს. ვისაც გუნდის წარმატების არ სჯერა, შეუძლია, სხვა კლუბის ქომაგი გახდეს". ასეთები კი მცირედ არიან. „ატლეტიკოს" საპრეზიდენტო [illegible] ცვაც [illegible] თამაშის მიუხედავად, კლუბის [illegible] ვანდელ [illegible] 24 [illegible] ნტის [illegible] რაუდობენ, რომ იმ ორმოცდახამ კაცს, ფულის უკან დაბრუნება რომ მოითხოვა, სხვაც ბევრი მიჰყვება. აღსანიშნავია, რომ პრიმერა დივიზიონის დატოვების ასეთი რეალური შანსი „ატლეტიკოს" 1934 წლის შემდეგ არ ჰქონია.

ახლა დეკემბრის ბოლოა. ამის შეხსენება კი იმიტომ დამჭირდა, რომ „რეალს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" საშინაო ჩემპიონატის მატჩი აგვისტოს შემდეგ არ მოეგო. „ესპანიოლთან" შეხვედრის პირველი 30 წუთი მასპინძლებს სახეიროს არაფერს უქადდა. 24-ე წუთზე მათ უყურადღებოდ მიატოვეს მიგელ ანხელ ბენიტესი და ამ უკანასკნელს კასილიასის კარის აღება არ გასჭირვებია. მადრიდელებს მასპინძელად (უკვე მერამდენედ) რაული მოევლინათ. კაპიტანმა 42-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა. შესვენების შემდეგ შვიდი წუთი იყო გასული, როდესაც ფერნანდო იეროს გოლმა „რეალს" ნანატრი გამარჯვება მოუტანა. მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ ერთი რეალური მომენტი, მაგრამ რაულმა პენალტი ვერ გამოიყენა. ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა სტივ მაკმანამანი. ინგლისელი მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და ცუდადაც არ გარჯილა. ამ მოგების შემდეგ „რეალმა" სატურნირო ცხრილში მეთორმეტე ადგილამდე აინაცვლა, თუმცა სახიფათო ზონიდან თავის დაღწევაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ცხრილში არსებული სიმჭიდროვის გამო ნებისმიერი გუნდისთვის ქულის დაკარგვა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ესპანური ფეხბურთი საშობაო არდადეგებისთვის ემზადება. იქამდე კი ერთი ტრადიცია აღდგა — „რეალმაც" მოიგო და „ბარსელონამაც".

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 16 | 11 | 3 | 2 | 32:17 | 15 | 36 | 8 | 7 | 0 | 1 | 21:9 | 12 | 21 | 8 | 4 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 15 |
| 2 | სელტა | 16 | 9 | 1 | 6 | 22:17 | 5 | 28 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 19 | 8 | 3 | 0 | 5 | 8:11 | -3 | 9 |
| 3 | სარაგოსა | 16 | 7 | 6 | 3 | 30:17 | 13 | 27 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:7 | 13 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 9 |
| 4 | ბარსელონა | 16 | 8 | 2 | 6 | 35:25 | 10 | 26 | 8 | 6 | 1 | 1 | 21:8 | 13 | 19 | 8 | 2 | 1 | 5 | 14:17 | -3 | 7 |
| 5 | ალავესი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:18 | 2 | 25 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 17 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 8 |
| 6 | რაიო ვალეკანო | 16 | 8 | 1 | 7 | 25:24 | 1 | 25 | 8 | 4 | 0 | 4 | 14:13 | 1 | 12 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 |
| 7 | ვალენსია | 16 | 7 | 3 | 6 | 23:16 | 7 | 24 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:6 | 9 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 8 |
| 8 | ნუმანსია | 16 | 6 | 5 | 5 | 25:27 | -2 | 23 | 8 | 5 | 3 | 0 | 16:8 | 8 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:19 | -10 | 5 |
| 9 | ბეტისი | 16 | 7 | 2 | 7 | 16:26 | -10 | 23 | 8 | 6 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 19 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:20 | -14 | 4 |
| 10 | მალიორკა | 16 | 6 | 4 | 6 | 22:22 | 0 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:9 | 6 | 17 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 5 |
| 11 | ბილბაო | 16 | 5 | 7 | 4 | 23:24 | -1 | 22 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:11 | 3 | 13 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | -4 | 9 |
| 12 | რეალი | 16 | 4 | 8 | 4 | 26:28 | -2 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 14:17 | -3 | 9 | 8 | 2 | 5 | 1 | 12:11 | 1 | 11 |
| 13 | ესპანიოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 25:26 | -1 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 2 | 12 | 8 | 2 | 1 | 5 | 12:15 | -3 | 7 |
| 14 | რასინგი | 16 | 4 | 6 | 6 | 24:25 | -1 | 18 | 8 | 1 | 6 | 1 | 12:10 | 2 | 9 | 8 | 3 | 0 | 5 | 12:15 | -3 | 9 |
| 15 | სოსიედადი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | -2 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:12 | 2 | 13 | 8 | 0 | 5 | 3 | 5:9 | -4 | 5 |
| 16 | მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 24:27 | -3 | 17 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:9 | 6 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:18 | -9 | 5 |
| 17 | ატლეტიკო | 16 | 5 | 2 | 9 | 24:31 | -7 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:12 | -1 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 13:19 | -6 | 7 |
| 18 | ოვიედო | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | -8 | 17 | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:18 | -11 | 3 |
| 19 | ვალიადოლიდი | 16 | 4 | 5 | 7 | 15:23 | -8 | 17 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 8 | 0 | 4 | 4 | 4:12 | -8 | 4 |
| 20 | სევილია | 16 | 2 | 7 | 7 | 18:26 | -8 | 13 | 8 | 2 | 5 | 1 | 10:7 | 3 | 11 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:19 | -11 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 16 |
| სალვა (რასინგი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 13 |
| კატანია (მალაგა) | 11 |

### XVII ტური

21 დეკემბერი

ალავესი — რეალი

22 დეკემბერი

ბეტისი — ვალიადოლიდი

ესპანიოლი — ნუმანსია

რასინგი — ბილბაო

სარაგოსა — დეპორტივო

სელტა — მალაგა

სოსიედადი — ვალენსია

რაიო ვალეკანო — ბარსელონა

ატლეტიკო — ოვიედო

მალიორკა — სევილია

## მეორე დივიზიონი

XIX ტური

### ესტრემადურა 3:0 ალბასეტე

1:0 მანუელი (14), 2:0 ვარელა (53), 3:0 მანუელი (81)

### ეიბარი 2:5 ლოგრონიესი

0:1 პეპელუ (15), 0:2 კიკო (34), 0:3, 0:4 მანელი (69, 72), 1:4 მორალესი (73), 2:4 რუბენი (78), 2:5 მანელი (94)

### ბადახოსი 2:2 სალამანკა

1:0 ეზეკელი (14), 2:0 ალექსი (39), 2:1 სანდრო (83), 2:2 კიკე მარტინი (89)

### ხეტაფე 2:1 ლეიდა

1:0 პულიდო (37), 2:0 კაიკუ (50), 2:1 მაკედა (70)

### ტოლედო 3:0 მერიდა

1:0 კულებრასი (33), 2:0, 3:0 მიგელ ანხელი (34, 84)

### ვილიარეალი 2:1 კორდობა

1:0 მოიზესი (45), 2:0 პარი (75), 2:1 არმადა (93)

### ტენერიფე 1:1 ოსასუნა

1:0 ბარატა (12), 1:1 ტრუეჩიაკი (89)

### სპორტინგი 3:0 ლეგანესი

1:0 ხურადო (16), 2:0 ლედიახოვი (19პ), 3:0 მანოლო (49)

### ლევანტე 0:0 კომპოსტელა

### უელვა 1:2 ატლეტიკო B

1:0 გრეგორიო მოლინა (16), 1:1 ლუკე (28), 1:2 კასკერო (70)

### ელჩე 0:3 ლას პალმასი

0:1 ელოი (19), 0:2 ოლიასი (65), 0:3 პაბლო ლაგო (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 19 | 12 | 5 | 2 | 33:16 | 41 |
| ლევანტე | 19 | 10 | 5 | 4 | 34:26 | 35 |
| ესტრემადურა | 19 | 10 | 4 | 5 | 22:17 | 34 |
| სპორტინგი | 19 | 10 | 2 | 7 | 29:21 | 32 |
| ლას პალმასი | 19 | 9 | 4 | 6 | 30:20 | 31 |
| ტენერიფე | 19 | 9 | 4 | 6 | 30:21 | 31 |
| ხეტაფე | 19 | 8 | 4 | 7 | 20:19 | 28 |
| ვილიარეალი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:21 | 27 |
| ბადახოსი | 19 | 5 | 12 | 2 | 19:16 | 27 |
| მერიდა | 19 | 7 | 6 | 6 | 22:20 | 27 |
| ეიბარი | 19 | 6 | 7 | 6 | 30:30 | 25 |
| ლოგრონიესი | 19 | 6 | 6 | 7 | 30:28 | 24 |
| ალბასეტე | 19 | 6 | 6 | 7 | 20:27 | 24 |
| ლეიდა | 19 | 6 | 5 | 8 | 30:27 | 23 |
| ოსასუნა | 19 | 7 | 2 | 10 | 18:21 | 23 |
| კომპოსტელა | 19 | 5 | 7 | 7 | 26:28 | 22 |
| ელჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 20:26 | 22 |
| კორდობა | 19 | 5 | 6 | 8 | 20:25 | 21 |
| უელვა | 19 | 6 | 3 | 10 | 17:27 | 21 |
| ატლეტიკო B | 19 | 5 | 3 | 11 | 21:30 | 18 |
| ლეგანესი | 19 | 4 | 6 | 9 | 16:34 | 18 |
| ტოლედო | 19 | 4 | 4 | 11 | 14:28 | 16 |



REUTERS ოსერიდან

ოსერი — პსჟ 1:0: ოსერელმა კუმოი აგბომ (მარჯვნივ) პარიზელ ოუგუსტინ „ჯეი-ჯეი“ ოკოჩას დაასწრო

## საფრანგეთი

XX ტური

**მარსელი 1:2 ლანსი**

1:0 მონტენეგრო (21), 1:1 სიკორა (49), 1:2 კუენდრუ (90)

**მონაკო 1:0 მონპელიე**

1:0 სიმონე (33)

**ნანსი 1:0 სენტ ეტიენი**

1:0 რამბო (60)

**ლიონი 2:0 მეცი**

1:0 მალბრანკი (57), 2:0 ანდერსონი (82)

**ნანტი 1:1 ბასტია**

1:0 და როჩა (81), 1:1 ნე (90)

**ბორდო 1:0 რენი**

1:0 ვილტორდი (51)

**ოსერი 1:0 პსჟ**

1:0 ბატიკლი (80)

**სტრასბური — ტრუა**

**სედანი — ლე ავრი**

გადაიდო

„მარსელი“ ნელ-ნელა უფსკრულში ეშვება, კვლავ წააგო. „ლანსთან“ საშინაო მატჩში ანგარიში 21-ე წუთზე მარსელელმა დანიელ მონტენეგრომ გახსნა. შემდეგ სტუმართაგან მცველი სირილ რული გააძევეს. თითქოს მოვლენები „მარსელის“ სასარგებლოდ ვითარდებოდა, მაგრამ 49-ე წუთზე უილიამ გალასის უხეშმა შეცდომამ ყველაფელი თავდაყირა დააყენა — ერიკ სიკორამ საპასუხო გოლი შეაგდო. მატჩის მიწურულს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში, ფრანკ კუედრუს გოლმა გამარჯვება სტუმრებს მოუტანა. „ველოდრომზე“ შეკრებილი გულშემატკივრები წამიერად გაირინდნენ, მაგრამ მალევე გამოერკვნენ და დაიწყო...

თავისიანების მოგება თუ ვინმეს უნდოდა, პირველ რიგში მარსელის პოლიციას. წინა ტურში „სენტ ეტიენთან“ სტუმრად წაგებული მატჩის შემდეგ მარსელელთა ქომაგებმა მასპინძლებს მყუდროება გვარიანად დაურღვიეს. შესაბამისად, საშინაო თამაშში დამარცხებას გაცილებით უფრო სერიოზული აურზაური უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა. „თქვენ მხოლოდ ზიზღს იმსახურებთ“ — ამ შეძახილით ფანატიკოსმა გულშემატკივარებმა მინდორზე მაშხალების, აგლეჯილი სკამების და სხვა საგნების სროლა დაიწყეს. ზოგიერთმა თავზეხელაღებულმა სცადა, მოედანზე შეჭრილიყო და ხელჩართული ბრძოლა გაემართა. ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, გაქცეულიყვნენ. დარტყმა თავის თავზე პოლიციელებმა მიიღეს. ჩხუბი ქუჩებშიც გაგრძელდა, დაიმსხვრა ვიტრინები, ქალაქმა დიდი ზარალი ნახა.

როგორც მოვლენებმა აჩვენა, როლან კურბისის მოხსნამ „მარსელს“ ვერაფრით უშველა. გუნდში არსებული პრობლემა უფრო სერიოზულია და ერთი პიროვნების ყოფნა-არყოფნა საქმეს ვერ შველის. სწორედ ამის შესახებ განაცხადა კლუბის ახალმა მწვრთნელმა ბერნარ კაზონიმ: „აშკარაა, რომ გუნდს ახალი სისხლის გადასხმა სჭირდება . სულ მალე სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და მნიშვნელოვან ცვლილებებს მოვახდენთ. ახალ, წლის შემდეგ თქვენ განახლებულ „მარსელს“ იხილავთ, გუნდს, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც სერიოზულ მიზნებისთვის იბრძოლებს“. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში არდადეგები ცხადდება და ეროვნული ჩემპიონატი 11 იანვარს განახლდება.

ჩემპიონატის ლიდერი „მონაკო“ მე-20 ტურში აუტსაიდერ „მონპელიეს“ ხვდებოდა. მატჩს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, მას მხოლოდ 3000 გულშემატკივარი დაესწრო. „მონაკოს“ გადაღლა ეტყობოდა. ამიტომ ფეხბურთელები შეტევებზე მეტად პირველივე ტაიმში მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. გოლი კი 33-ე წუთზე მარკო სიმონემ შეაგდო. ახლა „მონაკოს“ 42 ქულა აქვს და მეორე ადგილოსან „ლიონს“ ხუთი ქულით უსწრებს. გუნდის მწვრთნელმა კლოდ პუელმა მატჩის შემდეგ თქვა: „გადატვირთულმა კალენდარმა ფეხბურთელებს ძალიან ბევრი ენერგია წაართვა. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი ვარ, ჩემპიონატსაც ვლიდერობთ, და უეფას თასზეც ვაგრძელებთ თამაშს. არდადეგების ხანგრძლივობა საკმარისი იქნება ძალების აღსადგენად, ის საშუალებას მოგვცემს, ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო განვამტკიცოთ“. ამასობაში, „ლიონმა“ და „პარი სენ ჟერმენმა“ ადგილები გაცვალეს. პარიზელები პარასკევს სტუმრად „ოსერთან“ დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს, მე-80 წუთზე, ჟერალდ ბატიკლმა გაიტანა. „ლიონი“ თამაშს ერთი დღის შემდეგ, შაბათს, ატარებდა. ლიონელებმა, ცხადია, უკვე იცოდნენ დედაქალაქელთა დამარცხების ამბავი და მინდორზე კარგი განწყობით გამოვიდნენ. „მეცმა“ მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მასპინძლები სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლების გატანა საკმაოდ გვიან შეძლეს. 57-ე წუთზე ტონი ვერელის პასით სტიდ მალბრანკმა შეაგდო. მეორე გოლის ავტორი ბრაზილიელი სონი ანდერსონი გახდა. მას ასისტენტობა კრისტოფ დელმოტმა გაუწია. ეს გოლი ბრაზილიელისთვის მიმდინარე სეზონში მეთოთხმეტე აღმოჩნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 20 | 13 | 3 | 4 | 41:17 | 42 |
| ლიონი | 20 | 11 | 4 | 5 | 25:18 | 37 |
| პსჟ | 20 | 11 | 3 | 6 | 30:22 | 36 |
| ოსერი | 20 | 10 | 4 | 6 | 26:23 | 34 |
| ბორდო | 20 | 8 | 6 | 6 | 31:29 | 30 |
| სენტ ეტიენი | 20 | 8 | 5 | 7 | 30:28 | 29 |
| სედანი | 19 | 8 | 4 | 7 | 27:28 | 28 |
| მარსელი | 20 | 6 | 8 | 6 | 27:25 | 26 |
| ბასტია | 20 | 6 | 8 | 6 | 25:23 | 26 |
| რენი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:26 | 26 |
| ტრუა | 19 | 8 | 2 | 9 | 22:28 | 26 |
| ნანტი | 20 | 7 | 3 | 10 | 22:24 | 24 |
| მეცი | 20 | 4 | 11 | 5 | 22:21 | 23 |
| ნანსი | 20 | 6 | 5 | 9 | 26:28 | 23 |
| სტრასბური | 19 | 6 | 5 | 8 | 19:27 | 23 |
| ლანსი | 20 | 6 | 5 | 9 | 18:26 | 23 |
| ლე ავრი | 19 | 5 | 4 | 10 | 19:31 | 19 |
| მონპელიე | 20 | 3 | 5 | 12 | 20:32 | 14 |

## შოტლანდია

XIX ტური

**ჰართსი 0:3 ჰიბერნიანი**

0:1 დ. ლემანი (18), 0:2 სოზე (26), 0:3 მილერი (89)

**სელტიკი 4:1 დანდი იუნ.**

0:1 ფერაზი (26), 1:1 ბლინკერი (47), 2:1 ვიდუკა (50), 3:1 მორავჩიკი (61), 4:1 ბერჩილი (89)

**კილმარნოკი 1:2 სენტ ჯონსტონი**

0:1 მაკბრაიდი (16), 0:2 ონილი (28), 1:2 პ. რაიტი (49)

**მოზერუელი 1:5 რეინჯერსი**

0:1 კანჩელსკისი (25), 0:2 ლ. ამორუზო (34), 0:3, 0:4 დოდსი (45, 49), 0:5 კანჩელსკისი (57), 1:5 გუდმენი (83)

**დანდი — აბერდინი**

გადაიდო

გათამაშების ლიდერებმა, გლაზგურმა კლუბებმა — „რეინჯერსმა“ და „სელტიკმა“ გასულ ტურში დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქეები. „სელტიკმა“ შინ 4:1 სძლია მესამეადგილოსან „დანდი იუნაიტედს“, ხოლო „რეინჯერსმა“ სტუმრად მეოთხე პოზიციაზე მყოფი „მოზერუელი“ 5:1 გაანადგურა. შედეგად, ოთხეულში გუნდების განლაგება არ შეცვლილა. პირველ ადგილზე „რეინჯერსია“, რომელსაც 15 მატჩიდან 40 ქულა აქვს. მეორეზე „სელტიკია“ 17 შეხვედრიდან 39 ქულით, ხოლო „დანდი იუნაიტედი“ და „მოზერუელი“ შესაბამისად მესამე-მეოთხენი არიან.

„მოზერუელი“ — „რეინჯერსის“ შეხვედრაში ანგარიში 25-ე წუთზე გლაზგოელთა რუსმა ლეგიონერმა ანდრეი კანჩელსკისმა გახსნა მას შემდეგ, რაც მეტოქის მცველის, ბენ კემბლის შეცდომით ისარგებლა. 34-ე წუთზე „რეინჯერსის“ კაპიტანმა ლორენცო ამორუზომ დაახლოებით 20 მეტრიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და თავისი გუნდის უპირატესობა ორბურთიანი გახადა. ტაიმი მთავრდებოდა, როდესაც გლაზგოელთა ახალშეძენილმა ფეხბურთელმა ბილი დოდსმა (იგი ორი კვირის წინ 2 მილიონ დოლარად გადაბარგდა „დანდი იუნაიტედიდან“ „რეინჯერსში“) თანაგუნდელ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისგან მშვენიერი პასი მიიღო და 12 მეტრიდან, მარცხენა ფეხით დაურტყა ენდი გორამს, რომელმაც ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. დოდსმა მეორე ნახევარშიც გამოიჩინა თავი — 49-ე წუთზე დუბლი შეასრულა. ორი გოლი რუსმა კანჩელსკისმაც გაიტანა და 57-ეზე საბოლოოდ დაუსვა წერტილი „მოზერუელის“ განადგურებას. მასპინძლებმა 83-ე წუთზეღა გაიტანეს პრესტიჟის ბურთი, რომელიც დონ გუდმენის ლამაზ თავურს მოჰყვა.

„სელტიკი“ — „დანდი იუნაიტედის“ შეხვედრაში პირველობა [illegible] „იუნაიტედის“ ფეხბურთელები [illegible] ნაურდნენ. ჟოაკიმ ფერაზიმ ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა, თუმცა ამას ოდნავაც არ შეუშინებია „სელტიკი“, რომელმაც შემდეგ ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა მეტოქეს. ისე, მასპინძლებს გათანაბრება 30-ე წუთზევე შეეძლოთ, მაგრამ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარკ ვიდუკამ პენალტი ვერ გაიტანა და ტაიმიც სტუმართა უპირატესობით დასრულდა. მეორე ნახევარი კი სხვაგვარად წარიმართა. სულ ორი წუთი იყო გასული, როდესაც სელტიკელმა რეჯი ბლინკერმა ბრწყინვალე დრიბლინგი განახორციელა, მეტოქის ხუთი ფეხბურთელი ჩამოიშორა და გოლკიპერს შანსი არ დაუტოვა. 3 წუთში ვიდუკამ მაინც მოახერხა თავისი გოლის გატანა — ლიუბომირ მორავჩიკის პასი ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა (შედეგად 16 გოლი დაუგროვდა), შემდეგ კი 61-ე წუთზე, თანაგუნდელს თავად გაატანინა. შეხვედრის მიწურულს კი მარკ ბერჩილმა სამბურთიანი უპირატესობა მოუპოვა თავის გუნდს.

ცხადია, კმაყოფილი იყო „სელტიკის“ მთავარი მწვრთნელი ჯონ ბარნსი. მან განაცხადა: „პირველ ნახევარში სუსტად გამოვიყურებოდით და წავაგეთ კიდეც, მაგრამ მეორე ტაიმში მეტოქეს ყოველნაირად ვაჯობეთ. შესანიშნავად ითამაშა ვიდუკამ, რომელმაც გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო“.

ტურის ორ შეხვედრაში ერთმანეთს „ჰართსი“ — „ჰიბერნიანი“ და „კილმარნოკი“ — „სენტ ჯონსტონი“ დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივეგან სტუმრებმა იმარჯვეს. „ჰიბერნიანმა“ 3:0 სძლია მეტოქეს, ხოლო „სენტ ჯონსტონმა“ მოწინააღმდეგე 2:1 დაამარცხა.

კიდევ ერთი დაგეგმილი შეხვედრა, რომელიც „დანდისა“ და „აბერდინს“ შორის უნდა გამართულიყო, ყინვის გამო გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 15 | 13 | 1 | 1 | 43:13 | 40 |
| სელტიკი | 17 | 13 | 0 | 4 | 52:15 | 39 |
| დანდი იუნ. | 18 | 9 | 3 | 6 | 24:26 | 30 |
| მოზერუელი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:30 | 27 |
| ჰიბერნიანი | 19 | 6 | 6 | 7 | 30:33 | 24 |
| ჰართსი | 17 | 5 | 5 | 7 | 26:27 | 20 |
| სტ. ჯონსტონი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:22 | 19 |
| დანდი | 16 | 6 | 0 | 10 | 20:27 | 18 |
| კილმარნოკი | 17 | 2 | 6 | 9 | 16:26 | 12 |
| აბერდინი | 17 | 2 | 3 | 12 | 17:54 | 9 |

## პორტუგალია

XV ტური

**რიუ ავე 2:1 ბოავიშტა**

1:0 უგო ენრიკე (20), 1:1 ველიტონ სილვა (30), 2:1 კოენტრაუ (44)

**ლეირია 1:4 სალგეირუში**

1:0 ლეაო მაია (7), 1:1 რენატო სილვა (35), 1:2 ნელსონ ფერნანდესი (63), 1:3 ფეპერი (67), 1:4 რენატო სილვა (73პ)

**ბელენენსეში 3:1 სანტა კლარა**

1:0 სება ფერნანდესი (45), 2:0 რუი პატაკა (50), 3:0 სება ფერნანდესი (78), 3:1 პროკოპენკო (83)

**კამპომაიორენსე 0:0 სეტუბალი**

**ალვერკა 4:2 ჟილ ვისენტე**

1:0 მილინკოვიჩი (55), 1:1 ჟორჟე კასკუილა (63), 2:1 ლუიზი (65), 3:1 რუი კაპუჩო (77), 4:1 კაიუ ნევეში (81), 4:2 გუგა სანტუში (90პ)

**გიმარაეში 2:1 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (3), 1:1 დელსოტო (36), 2:1 რივა სილვა (77)

**სპორტინგი 4:2 მარიტიმუ**

1:0 კვამე (17), 2:0 დი ფრანჩესკი (24), 2:1 რამონი (27), 2:2 მარიანო (38), 3:2 დუშერი (78), 4:2 ალბერტო აკოსტა (84)

**ბრაგა 0:1 ამადორა**

0:1 გაუჩო გომეში (89)

**პორტუ — ფარენსე**

ნუხელ გვიან გაიმართა

ჩემპიონატის ცხრილის ზედა ნაწილში საკმაოდ დაძაბული მდგომარეობაა. გათამაშების ლიდერმა, ლისაბონის „სპორტინგმა“ შინ 4:2 დაამარცხა „მარიტიმუ“ და რადგანაც მისმა უშუალო კონკურენტმა, ლისაბონის „ბენფიკამ“ სტუმრად „გიმარაეშთან“ 1:2 დათმო შეხვედრა, პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა, თუმცა პოტენციურად ლიდერობის შანსს „პორტუც“ ინარჩუნებს — მას „სპორტინგზე“ მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და „ფარენსეს“ შინ უნდა ეთამაშოს.

„ბენფიკას“ „გიმარაეშის“ წინააღმდეგ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ნახევარმცველებს — ჟოაო პინტუს, ჟოზე კალადუსა და მცველ რონალდო გუერიუს არ უთამაშიათ.

მე-15 ტურის ერთადერთი შეხვედრის — „პორტუ“ — „ფარენსეს“ შემდეგ ჩემპიონატში საშობაო შესვენება გამოცხადდება და გუნდები ორი კვირით დაისვენებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 15 | 10 | 3 | 2 | 26:14 | 33 |
| პორტუ | 14 | 9 | 4 | 1 | 28:8 | 31 |
| ბენფიკა | 15 | 9 | 3 | 3 | 23:12 | 30 |
| ბოავიშტა | 15 | 8 | 3 | 4 | 17:12 | 27 |
| გიმარაეში | 15 | 7 | 4 | 4 | 24:18 | 25 |
| მარიტიმუ | 15 | 7 | 4 | 4 | 20:14 | 25 |
| ამადორა | 15 | 6 | 6 | 3 | 18:14 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 7 | 2 | 6 | 22:18 | 23 |
| ბელენენსეში | 15 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 21 |
| ალვერკა | 15 | 6 | 2 | 7 | 17:20 | 20 |
| რიუ ავე | 15 | 4 | 5 | 6 | 18:23 | 17 |
| სალგეირუში | 15 | 5 | 2 | 8 | 13:20 | 17 |
| კამპომაიორენსე | 15 | 4 | 3 | 8 | 12:21 | 15 |
| ბრაგა | 15 | 4 | 2 | 9 | 18:23 | 14 |
| სანტა კლარა | 15 | 3 | 5 | 7 | 18:23 | 14 |
| ფარენსე | 14 | 2 | 6 | 6 | 9:23 | 12 |
| ლეირია | 15 | 2 | 4 | 9 | 12:22 | 10 |
| სეტუბალი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:26 | 10 |



მომთხოვნი ვიქტორია ადამსი

# კინზე ნაკლები რითია? ვიქტორია ადამსი მეუღლის ხელფასის გაზრდას ითხოვს

როგორც ჩანს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძვირად დაუჯდება ის ამბავი, რომ თავის კაპიტანს, როი კინს ხელფასი მოუმატა. ამან სხვათა უკმაყოფილება გამოიწვია. ხოლო თუ ვისი, ახლავე მოგახსენებთ — დევიდ ბექემის მეუღლეს, „სფაის გერლზის“ სოლისტ ვიქტორია ადამსს თურმე ვერაფრით გაუგია, რითაა მისი ქმარი თანაგუნდელზე ნაკლები.

რადიო BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში ვიქტორიამ განაცხადა: „საქმე იქით მიდის, რომ დევიდი, ალბათ, „მანჩესტერს“ დატოვებს და კარიერას რომელიმე უცხოურ კლუბში გააგრძელებს. ვითომ ასეთი რა განსხვავებაა როი კინსა და ჩემს ქმარს შორის, რომ კინს ხელფასი მოუმატეს, დევიდს კი — არა“.

მართალია, დევიდი „მანჩესტერში“ თამაშით ბედნიერია, მაგრამ არ არის გამორიცხული, მომთხოვნი ცოლის ნებას დაჰყვეს და სულ მალე გასამრჯელოს გაზრდა მოითხოვოს.

## თურქეთი

მე-13 ტური. გენჩლერბირლიგი — ბურსა 1:0; ვანი — ადანა 0:2; დენიზლი — გალათასარაი 2:4; ერზურუმი — გიოზთეფე 0:0; ისთანბული — გაზიანთეფი 1:1; ალთაი — ტრაბზონი 3:1; ანკარაგიუჯიუ — ქოჯაელი 3:2; ბეშიქთაში — ანთალია 4:0; სამსუნი — ფენერბაჰჩე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 12 | 9 | 2 | 1 | 27:10 | 29 |
| გაზიანთეფი | 13 | 7 | 3 | 3 | 17:9 | 24 |
| ბეშიქთაში | 13 | 6 | 4 | 3 | 25:9 | 22 |
| დენიზლი | 13 | 6 | 4 | 3 | 21:17 | 22 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 5 | 6 | 1 | 21:14 | 21 |
| სამსუნი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:15 | 20 |
| ანთალია | 13 | 6 | 2 | 5 | 16:22 | 20 |
| ალთაი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:12 | 19 |
| ტრაბზონი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:15 | 19 |
| გენჩლერბირ. | 13 | 5 | 3 | 5 | 14:17 | 18 |
| ადანა | 13 | 4 | 3 | 6 | 18:22 | 15 |
| ერზურუმი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:24 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 13 | 4 | 3 | 6 | 14:23 | 15 |
| ისთანბული | 13 | 3 | 5 | 5 | 12:16 | 14 |
| გიოზთეფე | 13 | 3 | 5 | 5 | 9:14 | 14 |
| ბურსა | 13 | 2 | 4 | 7 | 13:19 | 10 |
| ვანი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:22 | 10 |
| ქოჯაელი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:27 | 9 |

## უნგრეთი

გამოტოვებული მატჩები

**კიშპეშტი 2:3 ფერენცვაროში**

0:1 ჰორვატი (44), 1:1 პლოკაი (51), 2:1 პინტერი (59), 2:2, 2:3 მ. ტოტი (87, 89)

**გასერი 1:4 უიპეშტი**

0:1 კიშკაპუში (2), 0:2 ტერჟეკი (13), 1:2 კოროლი (52), 1:3 ნ. ტოტი (62), 1:4 ტოკოდი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 17 | 10 | 6 | 1 | 44:15 | 36 |
| ვაშაში | 17 | 11 | 1 | 5 | 32:16 | 34 |
| მტკ | 17 | 9 | 6 | 2 | 30:14 | 33 |
| უიპეშტი | 17 | 8 | 6 | 3 | 32:20 | 30 |
| დებრეცენი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:18 | 29 |
| გასერი | 17 | 7 | 7 | 3 | 23:22 | 28 |
| ტატაბანია | 17 | 6 | 8 | 3 | 20:19 | 26 |
| ფერენცვაროში | 17 | 7 | 4 | 6 | 27:17 | 25 |
| დიორ ეტო | 17 | 6 | 6 | 5 | 28:18 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:13 | 24 |
| ჰალადაში | 17 | 5 | 3 | 9 | 18:26 | 18 |
| დიოშდიორი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:27 | 18 |
| ნიირშეგი | 17 | 4 | 5 | 8 | 15:30 | 17 |
| კიშპეშტი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:22 | 16 |
| ნადიკანიჟა | 17 | 3 | 6 | 8 | 14:22 | 15 |
| შიოფოკი | 17 | 5 | 2 | 10 | 13:27 | 14 |
| სეგედი | 17 | 3 | 5 | 9 | 13:38 | 14 |
| ვაცი | 17 | 1 | 5 | 11 | 15:39 | 8 |

## ჰოლანდია

XVIII ტური

**ალკმარი 1:1 ნაიმეგენი**

1:0 ვან გალენი (12), 1:1 დე გიერი (68)

**გრააფსხაპი 1:1 აიაქსი**

1:0 ტუმბა (13), 1:1 მახლასი (79)

**უტრეხტი 3:4 ფეიენოორდი**

0:1 ბოსველტი (25), 0:2 დე ვისერი (31), 1:2 ცვანცვიკი (33), 1:3 დე ვისერი (46), 2:3 დიკუიზენი (65), 2:4 ხულიო კრუზი (69), 3:4 დე იონგი (70)

**პსვ 0:1 ჰერენვენი**

0:1 ლურლინგი (84)

**სიტარდი 3:3 ვიტესი**

0:1 სიკორა (29), 1:1 ჰამინგი (50), 1:2 კრეეკი (70), 2:2 ჰამინგი (84), 2:3 სიკორა (86), 3:3 ვოლმერი (90)

**ტვენტე 2:1 როდა**

1:0 ვან დერ ლაანი (52), 1:1 ჩუტანგი (81), 2:1 ვენეგოორ-ჰესელინკი (83)

**ტილბურგი 0:0 სპარტა**

გათამაშების ლიდერმა პსვ-მ შინ 0:1 დათმო შეხვედრა „ჰერენვენთან“, თუმცა პირველობა მაინც შეინარჩუნა. „ჰერენვენმა“ კი მ[illegible] პოზიციაზე გადაინაცვლა და გ[illegible]რო ამსტერდამის „აიაქსს“, რომ[illegible]ს რიგებში კვლავ არ უასპარეზია ქართველ ლეგიონერ შოთა არველაძეს.

ამსტერდამელები „გრააფსხაპს“ სტუმრობდნენ და მხოლოდ ფრე 1:1 გაახერხეს, ის კი არა, ძლივს გადაარჩინეს შეხვედრა, რომელსაც 79-ე წუთამდე აგებდნენ. ანგარიში ბერძენმა ნიკოს მახლასმა გაათანაბრა. მან მასპინძელი ზიკო ტუმბას მიერ მე-13 წუთზე გატანილი გოლი გაქვითა. აღსანიშნავია, რომ მეტოქეები მოყინულ მინდვრის საფარზე თამაშობდნენ, რამაც, უეჭველია, თამაშის ტემპსა და მიმდინარეობას თავისი კვალი დაატყო.

ლიდერი პსვ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სჯობნიდა „ჰერენვენს“ და მის კარს განუწყვეტლივ უტევდა, თუმცა რეალური და აშკარა საგოლე მომენტი არ შეუქმნია. რაც შეეხება „ჰერენვენის“ ფეხბურთელებს, მათ გოლის გატანის ერთადერთი შანსი 84-ე წუთზე მშვენივრად გამოიყენეს: ენტონი ლურლინგის გოლმა გუნდს სამი ქულა და მეორე ადგილი მოუპოვა.

შეხვედრაში, რომელიც უტრეხტში ადგილობრივ „უტრეხტსა“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ შორის გაიმართა, 7 გოლი გავიდა, თუმცა არა სტადიონზე შეკრებილი 13 ათასი გულშემატკივრის გასახარად — მათმა საყვარელმა გუნდმა 3:4 წააგო. გამარჯვებამ როტერდამელები სატურნირო ცხრილში მეოთხე პოზიციაზე ალაზევა, „უტრეხტი“ კი ისევ მე-11 ადგილზე დარჩა.

„ტვენტემ“ ვენეგოორ-ჰესელინკის გოლით „როდა“ დაამარცხა.

ტურის დანარჩენი მატჩები ფრედ დასრულდა. „სიტარდმა“ და „ვიტესმა“ ერთმანეთს 3-3 ბურთი გაუტანეს. დაზავდნენ „ალკმარი“ და „ნაიმეგენიც“ — 1:1 „ვილემისა და „სპარტას“ შეხვედრა, მართალია, უგოლო გამოდგა, მაგრამ სამაგიეროდ, მეტოქეებმა ქულა გაიყვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 17 | 12 | 2 | 3 | 53:14 | 38 |
| ჰერენვენი | 17 | 12 | 1 | 4 | 34:17 | 37 |
| აიაქსი | 17 | 11 | 3 | 3 | 47:24 | 36 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 6 | 2 | 33:18 | 33 |
| ალკმარი | 18 | 10 | 2 | 6 | 36:28 | 32 |
| ვიტესი | 18 | 9 | 5 | 4 | 35:27 | 32 |
| ტვენტე | 17 | 8 | 7 | 2 | 29:17 | 31 |
| როდა | 17 | 9 | 3 | 5 | 29:22 | 30 |
| ტილბურგი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:32 | 30 |
| ვალვაიკი | 18 | 9 | 2 | 7 | 30:35 | 29 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 1 | 10 | 28:35 | 22 |
| სპარტა | 17 | 5 | 1 | 11 | 25:38 | 16 |
| ნაიმეგენი | 17 | 4 | 3 | 10 | 21:35 | 15 |
| გრააფსხაპი | 18 | 2 | 8 | 8 | 18:28 | 14 |
| მაასტრიხტი | 17 | 3 | 3 | 11 | 25:41 | 12 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 20:33 | 11 |
| დენ ბოსხი | 18 | 2 | 4 | 12 | 18:47 | 10 |
| კამბური | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 |

## ბელგია

თასის მერვედფინალი

**ანტვერპენი 1:2 დ.დ. (0:0) *ლიერსი***

„ანტვერპენიდან“ ბურთი გაიტანა: გუტსი

„ლიერსიდან“: ვან დერ ვეირი, სომერსი

***ლოკერენი* 4:0 მეხელენი**

1:0 დაგო, 2:0 იოლა, 3:0 ვონასეკი, 4:0 ვან გენედგენი

**მუსკრონი 0:0 (პენ.1:4) *სტ. ტრუიდენი***

**აალსტი — ბეერსხოტი**

გადაიდო

***სტანდარდი* 2:1 ვესტერლო**

***მონსი* 2:0 ლომელი**

**ვარეგემი 0:2 *გენტი***

***გენკი* 8:1 ინგელმუნსტერი**




**შვეიცარიის** ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟილბერ გრესი გუნდთან მიმდინარე კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, მომავალი წლის 30 ივნისს, პოსტს დატოვებს. გრესი ნაკრების თავკაცად 1998 წლის იანვრიდან მუშაობდა. ფედერაციას მასთან ხელშეკრულების გაგრძელება სურდა, მაგრამ სპეციალისტმა ხელფასის გაორმაგება მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის ნაკრებმა ბოლო ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლი ჯგუფში მესამე ადგილზე დაასრულა, პირველ-მეორე ადგილოსან იტალია — დანიას ჩამორჩა და ცხადია, ბელგია — ჰოლანდიაში ვერ მოხვდა.

**იტალიურ** „მილანში“ მოთამაშე ფრანგმა მცველმა ბრუნო ნგოტიმ კლუბის დატოვება და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც „მილანმა“ თანაქალაქელი „ინტერიდან“ ნიგერიელი ტარიბო ვესტის გადაბირება განიზრახა, ნგოტის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ისედაც მცირე შანსი, თითქმის მოესპო. იტალიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფრანგი მცველის შეძენას მისი მშობლიური გუნდები — „ლიონი“, „ბორდო“ და მარსელის „ოლიმპიკი“ აპირებენ. ნგოტიმ პროფესიული კარიერა „ლიონში“ დაიწყო, შემდეგ პსჟ-ში გადაბარგდა. „მილანმა“ იგი სწორედ პარიზული კლუბიდან შეიძინა.

**ისრაელი.** მე-16 ტური. ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 3:1; ირონი — მაკაბი (ჰერცლია) 3:1; ბეითარი — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 3:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ნათანია) 2:1; მაკაბი (თელ ავივი) — აშდოდი 1:2; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (ჰაიფა) წუხელ გვიან გაიმართა. ჩემპიონატს 16 თამაშიდან 39 ქულით ლიდერობს თელ ავივის „ჰაპოელი“. მეორეზეა ჰაიფას „მაკაბი“ — 36 ქულა, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 32 ქულა.

**იუგოსლავია.** მე-20 ტური. ჟელეზნიკი — სარტიდი 1:0; რადი — ჰაიდუკი (კულა) 2:0; ცრვენა ზვეზდა — მილიციონარი 3:2; ზემუნი — მოგრენი 2:0; ბუდუჩნოსტი — ობილიჩი 0:2; ოფკ (ბელგრადი) — ვოივოდინა 2:0; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — პროლეტერი 0:0; სპარტაკი (სუბოტიცა) — ჰაიდუკი (ბელგრადი) 2:0; რადნიჩკი (ნიში) — ჩუკარიჩკი 3:0; სუტიესკა — პარტიზანი 2:2. ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები ლიდერობენ: „ობილიჩი“ — 53 ქულა, „პარტიზანი“ — 51 ქულა, „ცრვენა ზვეზდა“ — 47 ქულა.

**ესპანური** „ესპანიოლის“ არგენტინელი მეკარე პაბლო კავალიერო პრიმერა დივიზიონის უკანასკნელ შეხვედრაში მადრიდის „რეალის“ ფორვარდ რაულ გონსალესის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში დაშავდა და მინიმუმ ხუთი კვირა ველარ ითამაშებს. „ესპანიოლის“ მთავარი მწვრთნელი ანხელ ბრინდისი იმედოვნებს, რომ კავალიერო მალე მომჯობინდება და ორ-სამ კვირაში აქტიურ ვარჯიშს შეუდგება.

**ესპანეთის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გააფრთხილა ეროვნული გუნდისა და „ვალენსიის“ მეკარე სანტიაგო კანისარესი, რომ თუ იგი თავის კლუბში ძირითადი მეკარის ადგილს არ დაიბრუნებს, ევრო 2000-ზე ნაკრებში არ გამოიძახებს. მწვრთნელის განცხადებით, მას სურს გუნდში ისეთი მოთამაშეების მიწვევა, რომლებიც [illegible]ანთი კლუბების შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარის, ანდონი სუბისარეტას დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კანისარესი ძირითადის პირველი კანდიდატია, თუმც სექტემბერში მიღებული ტრავმის შემდეგ კამაჩო ნაკრების კარის დაცვას აღარ ანდობს და მის მაგივრად მადრიდის „ატლეტიკოს“ ტონი ხიმენესსა და ფრანსისკო მოლინას უხმობს. „კანისარესის მჯერა, თუმც „ვალენსიას“ ამჟამინდელი გოლკიპერი პალოპიც საკმაოდ ძლიერად ასპარეზობს“ — აცხადებს კამაჩო. ტრავმამოშუშებულმა კანისარესმა კი გასულ კვირას თავისი გუნდის რიგებში სათასო მატჩი ჩაატარა მეორედივიზიონელ „ოსასუნას“ წინააღმდეგ. „ვალენსიამ“ ის შეხვედრა 0:3 წააგო.

**გერმანელი** კარსტენ ზიინგერი, რომელიც ახლო წარსულში აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების რიგებს იცავდა, სამწვრთნელო კარიერის დაწყებას აპირებს. 36 წლის ფეხბურთელი, მას შემდეგ, რაც მძიმე ავტოკატასტროფაში მოხვდა და ფეხი დაიზიანა თამაშს ველარ ახერხებს. თავისმა კლუბმა — მესამედივიზიონელმა „როტ-ვეის ერფურტმა“ კონტრაქტი გაუუქმა და ამჟამად უმუშევარია. „ერთი სული მაქვს, მწვრთნელი გავხდე“ — განუცხადა ზიინგერმა ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალს.

**ფრანგი** ნახევარმცველი კრისტიან კარემბუ, რომელიც მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავს, აცხადებს, რომ გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ მისი შეძენა სურს. „კლუბი დაინტერესებულია. ჩემი მენეჯერი ამჟამად „კაიზერთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. უფრო ზუსტად ვერაფერს გეტყვით“ — ამბობს თავად კარემბუ. თუ ფრანგი „კაიზერში“ გადავიდა, იგი რიგით მეორე მსოფლიოს ჩემპიონი იქნება, რომელიც გუნდს ამ ბოლო პერიოდში შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი — ფრანგი იური ჯორკაეფი აგვისტოში მილანის „ინტერიდან“ გადავიდა გერმანულ კლუბში. 29 წლის კარემბუ მადრიდის „რეალს“ იტალიური გენუის „სამპდორიადან“ 1998 წლის იანვარში შეუერთდა.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-ში მოასპარეზე „რომა“ 15 ათასი დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი ის რასისტული სიმბოლოები გახლავთ, რომელიც კლუბის ფანებმა უკანასკნელი სამი მატჩისას სტადიონის ტრიბუნებზე გამოფინეს. სადისციპლინო კომიტეტმა მიიჩნია, რომ სიმბოლოს, რომელიც რომაელმა ფანებმა გამოამზეურეს, ნეოფაშისტური დაჯგუფებები იყენებდნენ.

**ლატვიის** ნაკრების ფეხბურთელმა იმანტას ბლეიდელისმა ორშაბათს კონტრაქტი გააფორმა ინგლისურ „საუთჰემპტონთან“, სადაც სამწელიწადნახევარს დაჰყოფს. ლატვიის ჩემპიონ „სკონტოსა“ და ინგლისურ კლუბს შორის დადებული კონტრაქტის ფინანსური მხარე ჯერჯერობით არ არის ცნობილი. „ყოველივე უცაბედად მოხდა“ — აცხადებს თავად ფეხბურთელი, რომელსაც ინგლისის სამუშაო ვიზა ჯერ არ მიუღია. თუმც „საუთჰემპტონის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნება და ფეხბურთელი თავისი ახალი გუნდის დახმარებას 26 დეკემბერს „ჩელსის“ წინააღმდეგ შეხვედრაში შეძლებს. „საუთჰემპტონმა“ წლეულს მარტში, 1,6 მილიონ დოლარად ლატვიელი მარიანს პახარსი შეიძინა და ეს გუნდები მას შემდეგ თანამშრომლობენ.



ნილს იოჰან სემბი

# სემბი ნორვეგიელებს 2002 წლამდე გაწვრთნის

ევრო 2000-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ნორვეგიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა განაცხადა, რომ პოსტზე სავარაუდოდ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩება. ეროვნული რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში იგი აღნიშნავს: „მიმაჩნია, რომ ოთხი წელი საკმარისია წარმატების მისაღწევად". სემბმა ნორვეგიის ნაკრები 1998 წელს ჩაიბარა. მაშინ მან ეგილ „დრილუ" ოლსენი შეცვალა, რომელიც ამჟამად ინგლისის პრემიერლიგული „უიმბლდონის" თავკაცია.

ნორვეგიის ნაკრებმა სემბის ხელმძღვანელობით 18 მატჩი ჩაატარა, 11 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 2 წააგო. აქედან ერთი, რევაზ ძოძუაშვილის ლატვიასთან.

# სერ ბობი ახალგაზრდა რომ იყოს...

ლეგენდარული ბობი ჩარლტონი საქმიანი ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ეწვია. სერ ბობის საქმიანობის სფერო ფეხბურთია. დუბაიში მისი ვიზიტი ამ ქვეყანაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ჩარლტონი ამბობს, დიდ მწვრთნელობაზე პრეტენზია არასდროს მქონია, თუმცა ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება აქაურებს დიდად წაადგებათო. ისიც ვთქვათ, რომ მანჩესტერელი არაბულ ქვეყანაში მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვას არ ჩაუყვანია. „იუნაიტედი" არაბულ ქვეყნებში თავისი საკლუბო მაღაზიების გახსნას გეგმავს, სადაც მათი სიმბოლოებით დამშვენებული სპორტული ინვენტარი გაიყიდება. პირველი ასეთი მაღაზიის გახსნას გაისად, მარტში აპირებენ.

„მანჩესტერ იუნაიტედი" და ბობი ჩარლტონი თავიანთ ფინანსურ საქმეებს უჩვენოდაც მოაგვარებენ. ჩვენ დიდი ფეხბურთელის ის მოსაზრებები გვაინტერესებს, რომლებიც ინგლისურ ფეხბურთს ეხება. აი, ისინიც: „ვერ ვიტყვი, რომ ინგლისის ნაკრებს ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰყავს. თუმცა არსებული შემადგენლობითაც შეიძლება სერიოზული წარმატებების მიღწევა. კევინ კიგანს ვურჩევდი, ფეხბურთელთა შეთამაშებაზე გაამახვილოს ყურადღება. ამასთანავე, ძირითადი აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ „მანჩესტერში" ასე ვიქცევით. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ინგლისისა და გერმანიის მომავალ დაპირისპირებაზე. ძალიან რთული მატჩები გველის, მაგრამ მწამს, რომ გავიმარჯვებთ. მე ამავე დროს იმ საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც ვარ, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებელ კამპანიაში ინგლისს წარმოადგენს. გერმანია იქაც ჩვენი მეტოქეა, ამიტომ ამ ნაკრების ძლევა ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იქნება".

ბობი ჩარლტონმა ჟურნალისტებს ერთი საიდუმლოც გაუმხილა: „ხანდახან ჩვენი ბიჭები ისე ცუდად თამაშობენ, ასაკი მავიწყდება და მოედანზე გასვლის სურვილი მიჩნდებაო...

# სერბანი — პირველიდან მეორეში

რუმინელი ნახევარმცველი დენის სერბანი, რომელიც პრიმერადივიზიონის „ვალენსიაში" ირიცხებოდა, ესპანეთის მეორედივიზიონელ „ვილიარეალს" შეუერთდა. რუმინელი „ვალენსიაში" შარშან „სტიაუადან" გადაბარგდა. მაშინ ტრანსფერი დაახლოებით 2 მილიონი დოლარი დაჯდა. თუმც, ფეხბურთელმა კლუბში კონკურენციის გამო, ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ მოიპოვა. მან გასულ სეზონში მხოლოდ 10 შეხვედრა ჩაატარა, მინდორზე ყოველთვის შეცვლაზე ჩნდებოდა.

სერბანის ტრანსფერის ოფიციალური ღირებულება არ დასახელებულა. მიმდინარე ექვსი კვირის განმავლობაში „ვილიარეალმა", რომელიც პრიმერადივიზიონიდან შარშან გავარდა, უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა. ორი არგენტინელი — როდოლფო არუაბრენა და დიეგო კანია კლუბმა ამ რამდენიმე ხნის წინ გადაიბირა.

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია. სერია C1/a. მე-16 ტური | | | |
| 23 დეკემბერი | | | |
| 001 ალბინოლეფე-ლუმეცანე (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 002 კარარეზე-ბრეშელო (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 003 კრემონეზე-ჩიტადელა (17$^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 004 ლეკო-მოდენა (17$^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 005 მონტევარკი-ვარეზე (17$^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 006 პიზა-ლუკეზე (17$^{30}$) | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 007 რეჯანა-ლივორნო (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 008 სანდონა-სიენა (17$^{30}$) | 3,8 | 2,6 | 2,0 |
| 009 სპალ-კომო (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| იტალია. სერია C1/b. მე-16 ტური | | | |
| 23 დეკემბერი | | | |
| 010 ასკოლი-არეცო (17$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 011 აველინო-ატლეტიკო (17$^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 012 ბენევენტო-ვიტერბეზე (17$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 013 კატანია-ანკონა (17$^{30}$) | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 014 კროტონე-ფ.ანდრია (17$^{30}$) | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 015 ჯულიანოვა-გუალდო (17$^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 016 ლოდიჯანი-სტაბია (17$^{30}$) | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 017 მარსალა-დი სანგრო (17$^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 018 პალერმო-ნოჩერინა (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| ესპანეთი. I დივიზიონი. მე-17 ტური | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 020 ალავესი-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 019 ბეტისი-ვალიადოლიდი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 021 ესპანიოლი-ნუმანსია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 022 რასინგი-ბილბაო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 023 სარაგოსა-დეპორტივო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 024 სელტა-მალაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 025 სოსიედადი-ვალენსია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 026 რაიო ვალეკანო-ბარსელონა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 027 ატლეტიკო-ოვიედო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 028 მალიორკა-სევილია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰოლანდია. გადადებული მატჩი | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 029 მაასტრიხტი-პსვ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| საბერძნეთი. მე-12 ტური | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 037 პანაჰაიკი-პაოკ (17$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 030 ოლიმპიაკოსი-კალამატა (17$^{00}$) | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,2 | 4,7 | 4,7 |
| 031 აპოლონი-კავალა (17$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 032 პანილიაკოსი-იონიკოსი (17$^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 033 პანიონიოსი-ტრიკალა (17$^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 035 პროდეფტიკი-აეკ (17$^{00}$) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 036 ეთნიკოსი-ოფი (17$^{00}$) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 038 ქსანთი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 23 დეკემბერი | | | |
| 034 ირაკლისი-არისი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| თურქეთი. გადადებული მატჩი | | | |
| 22 დეკემბერი | | | |
| 039 ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შოტლანდია. გადადებული მატჩი | | | |
| 22 დეკემბერი | | | |
| 040 რეინჯერსი-ჰართსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| გერმანია. თასის მეოთხედფინალი | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 041 ბოხუმი-ვერდერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 042 კიკერსი-ფრაიბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 043 ბაიერნი-მაინცი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 044 ჰანზა-შტუტგარტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ინგლისი. თასის III ეტაპი | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 045 ბოლტონი-კარდიფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ინგლისი. თასის III ეტაპი. გადათამაშება | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 046 ევერტონი-ექსეტერი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 047 ლუტონი-ფულემი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 048 ტორკი-ქუინზ პარკი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| 049 პლიმუთი-რედინგი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 050 ჯილინგემი-უოლსოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 051 ოქსფორდი-ნოტინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 052 ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 053 ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კალათბურთი. NBA | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 801 ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 802 დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 803 ინდიანა-სიეტლი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 804 ჰიუსტონი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 805 სან ანტონიო-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 806 საკრამენტო-მილუოკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 807 ბოსტონი-ატლანტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 808 ნიუ-იორკი-ტორონტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 809 მაიამი-იუტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 810 კლივლენდი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 811 ჩიკაგო-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 812 გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23 დეკემბერი | | | |
| 813 ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 814 შარლოტი-ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 815 ატლანტა-კლივლენდი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 816 მინესოტა-სიეტლი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 817 ჰიუსტონი-ვაშინგტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 818 სან ანტონიო-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 819 ფინიქსი-დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 820 კლიპერსი-საკრამენტო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 821 პორტლენდი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 822 ვანკუვერი-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ჰოკეი. NHL | | | |
| 21 დეკემბერი | | | |
| 823 ბოსტონი-ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 824 აილენდერსი-პიტსბურგი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 825 რეინჯერსი-ბუფალო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 826 ტამპა ბეი-ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 827 კალგარი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 828 ედმონტონი-ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 829 ფინიქსი-სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 22 დეკემბერი | | | |
| 830 ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 831 კაროლინა-დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 832 ფლორიდა-ატლანტა | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 833 ვანკუვერი-ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 834 ანაჰაიმი-ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 835 სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 23 დეკემბერი | | | |
| 836 ბოსტონი-მონრეალი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| 837 ოტავა-კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 838 ბუფალო-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 839 ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 840 აილენდერსი-რეინჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 841 ფილადელფია-ატლანტა | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 842 პიტსბურგი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 843 ნეშვილი-სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 844 ჩიკაგო-დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 845 კალგარი-ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. 6 იანვარი - 17 თებერვალი

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | ● | 75:67 | 69:51 | 17.02 | 13.01 | 3.02 | 9 | 1 | 780:685 | 19 |
| 2 | ცსკა | 76:72 | ● | 77:75 | 13.01 | 3.02 | 17.02 | 7 | 3 | 754:705 | 17 |
| 3 | ბენეტონი | 68:72 | 61:81 | ● | 3.02 | 17.02 | 13.01 | 6 | 4 | 700:675 | 16 |
| 4 | ალბა | 20.01 | 10.02 | 6.01 | ● | 81:55 | 80:64 | 5 | 5 | 734:747 | 15 |
| 5 | თოფაში | 10.02 | 6.01 | 20.01 | 76:66 | ● | 77:73 | 4 | 6 | 715:738 | 14 |
| 6 | ქალგირისი | 6.01 | 20.01 | 10.02 | 89:70 | 62:68 | ● | 2 | 8 | 719:751 | 12 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | ● | 17.02 | 100:80 | 96:69 | 13.01 | 3.02 | 9 | 1 | 802:690 | 19 |
| 2 | პაოკ | 20.01 | ● | 10.02 | 6.01 | 83:76 | 82:53 | 5 | 5 | 730:680 | 15 |
| 3 | ოლიმპია | 71:86 | 13.01 | ● | 73:63 | 3.02 | 17.02 | 5 | 5 | 776:791 | 15 |
| 4 | რეალი | 63:66 | 3.02 | 76:74 | ● | 17.02 | 13.01 | 5 | 5 | 714:743 | 15 |
| 5 | შოლე | 10.02 | 48:66 | 6.01 | 20.01 | ● | 69:59 | 2 | 8 | 640:711 | 12 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 6.01 | 65:65 | 20.01 | 10.02 | 56:64 | ● | 1 | 9 | 636:784 | 11 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | ● | 70:65 | 61:54 | 17.02 | 13.01 | 3.02 | 8 | 2 | 711:645 | 18 |
| 2 | მაკაბი | 73:61 | ● | 54:65 | 3.02 | 17.02 | 13.01 | 6 | 4 | 773:714 | 16 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:55 | 65:63 | ● | 13.01 | 3.02 | 17.02 | 6 | 4 | 668:627 | 16 |
| 4 | ბუდუჩნოსტი | 20.01 | 6.01 | 10.02 | ● | 88:65 | 68:71 | 5 | 5 | 760:746 | 15 |
| 5 | სან ფერნანდო | 10.02 | 20.01 | 6.01 | 75:73 | ● | 77:60 | 5 | 5 | 699:689 | 15 |
| 6 | პო ორტეზი | 6.01 | 10.02 | 20.01 | 68:72 | 79:74 | ● | 2 | 8 | 686:750 | 12 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | ● | 99:63 | 69:60 | 17.02 | 13.01 | 3.02 | 6 | 4 | 707:678 | 16 |
| 2 | ფორტიტუდო | 76:56 | ● | 92:78 | 3.02 | 17.02 | 13.01 | 6 | 4 | 729:703 | 16 |
| 3 | ციბონა | 71:69 | 71:61 | ● | 13.01 | 3.02 | 17.02 | 6 | 4 | 744:759 | 16 |
| 4 | ულქერი | 20.01 | 6.01 | 10.02 | ● | 79:70 | 68:78 | 5 | 5 | 756:770 | 15 |
| 5 | ვარეზე | 10.02 | 20.01 | 6.01 | 82:86 | ● | 80:70 | 3 | 7 | 715:762 | 13 |
| 6 | პივოვარნა | 5.01 | 10.02 | 20.01 | 84:95 | 73:83 | ● | 2 | 8 | 712:817 | 12 |

# გულიოტას გული მისდის



ტომ გულიოტა

17 დეკემბერს პორტლენდში იქაური „ბლეიზერსისა“ და „ფინიქს სანზის“ შეხვედრაში გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა. „პორტლენდი“ ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და მისი დამარცხება, მით უმეტეს, მისავე დარბაზში, ერთობ ძნელი საქმეა. „ფინიქსმა იმ დღეს სასწაული მოახდინა, მრისხანე მასპინძელს სძლია და, ცხადია, ამით დიდადაც გაიხარა, მაგრამ არიზონელებს გამარჯვებით ტკბობა არ დასცალდათ. დარბაზ „როუზ გარდენიდან“ აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, ავტობუსში, „ფინიქსის“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, ტომ გულიოტას შეტევა დაეწყო და გონებაც დაკარგა. გულიოტა წამსვე ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში გააქანეს, სადაც მედიკოსებმა დიდი გარჯის შემდეგ შეძლეს და მოთამაშე სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯეს. გულიოტა რამდენიმე საათის შემდეგ, 18 დეკემბერს დღის ოთხ საათზე მოვიდა გონს და ... თავიდან ვერც კი მივხვდი, რა მოხდა, თავი შინ ჩემს საწოლში მეგონაო, განაცხადა. იგი იმავე დღეს გაწერეს კლინიკიდან, რადგან იგი თავს ჩიტივით გრძნობდა და სულაც არ გამოიყურებოდა იმ ადამიანივით, რომელმაც რამდენიმე საათის წინ სიკვდილს ჩახედა თვალებში.

ტომ გულიოტა „ფინიქს სანზის“ ერთ-ერთი ლიდერია, თან, როგორც იქაურები ამბობენ, დიდად საყვარელი პიროვნება. ასე რომ, ბევრი შეაწუხა მომხდარმა და ამ დღეებში კლუბის ოფისსა თუ კალათბურთელის სახლში ასობით ადამიანმა დარეკა. გულშემატკივრებს აინტერესებთ, რა დაემართა მათ საყვარელ მოთამაშეს, მაგრამ ამ კითხვაზე კლუბის თანამშრომლები კი არა, დიდად განსწავლული ექიმები ვერ პასუხობენ. უფრო სწორად, ისინი ვერ ადგენენ გულიოტას ავადმყოფობის ზუსტ დიაგნოზს. ვერც თამაშამდე და ვერც კალათბურთელის გონზე მოსვლის შემდეგ მის ორგანიზმში ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. გულიოტა თამაშის დროსაც მშვენივრად გრძნობდა თავს, მან მრისხანე პორტლენდს 17 ქულა ჩაუგდო და იმ თამაშში ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მეტი, 14 მოხსნა გააჩერხა. გზად, ავტობუსში, გახარებული ცოლს მობილური ტელეფონით ესაუბრა და შეტევაც ამ დროს დაეწყო. ექიმები ეჭვობენ, რომ გონების დაკარგვა ზურგის ტვინის ანთების ბრალია. თვითონ გულიოტა კი თავს კარგად გრძნობს, მის ნება რომ იყოს, დღესვე ითამაშებდა, თუმც მას ტესტების გავლა მოუწევს.

**ივანე კოგიაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლში ჩამწარებული დებიუტი



REUTERS

ჩიკაგო — ორლანდო. კორი ბენჯამინი (მარცხნივ) ორლანდოელი ტარიკ აბდულ-ვაჰადის ჟონგლიორობას შესცქერის

18 დეკემბერი

**სიეტლი 112:89 ვანკუვერი**

სიეტლი: პეიტონი (26), ბერი (18), პატერსონი (14 ქულა, 11 მოხსნა), ბეიკერი (15), გრანტი (8); მაქსველი (12), ლუისი (11), დევისი (8), სტეფანია (6 ქულა, 3 მოხსნა), მაკკოი

ვანკუვერი: ბიბი (13), დიკერსონი (14), აბდურ-რაჰიმი (25), ჰარინგტონი (7), რივზი (4); სკოტი (12), ვესტი (8), პალასიო (4), ლოპესი (2), პარქსი, პირსი

არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გაწვრთნის „ვანკუვერ გრიზლიზს“, რადგან იგი რაც იყო, მაინც იმადვე დარჩება. ამაზე სასირცხვილო რაღა უნდა იყოს გუნდისთვის, როცა მის სახელს მუდმივად სუსტთან აიგივებენ. აგერ, მეხუთე სეზონს ატარებს კანადური გუნდი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და მუდამ ბოლოა თავის დივიზიონში, ყველაზე მეტი, რაც კანადელებმა შეძლეს, 1998 წელს შუა-დასავლეთის დივიზიონში მათ მიერ დაკავებული მეექვსე ადგილია.

ამ რამდენიმე დღის წინ კლუბის ბოსებმა თავში ხელი შემოიკრეს და მთავარი მწვრთნელი ბობ ჰილი დაითხოვეს, გუნდს ცუდად ათამაშებ, 23 მატჩიდან 18 წაგიგიაო. მაგრამ ვერც მის ადგილზე დანიშნულმა მისმა თანაშემწემ — ლაიონელ ჰოლინზმა უშველა საქმეს: „ვანკუვერმა“ სიეტლში წააგო. არა, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ სტუმრებმა ღირებული ვერაფერი შექმნეს. „სიეტლმა“ მათ 23 ქულის სხვაობით მოუგო. „ვანკუვერი“ უბრალოდ სუსტი გუნდია უახლოეს მომავალში მისგან რაიმე სასიკეთო სიახლეს არ უნდა ველოდოთ.

როდესაც „სიეტლ სუპერსონიქსი“ ასეთ გუნდებს ხვდება, როგორც წესი, რამდენიმე წუთით თამაში გუნდის ქართველ ცენტრს ვლადიმერ სტეფანიასაც ერგება-ხოლმე. ამჯერად ვოვამ რამდენიმე კი არა, მთელი თხუთმეტი წუთი დაჰყო მოედანზე და თავისი გუნდიც კარგად ასარგებლა. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ მასპინძელთა დამრიგებელმა პოლ ვესტფოლმა მთელი თამაშის განმავლობაში სკამზე ამყოფა ჰორას გრანტის მთავარი შემცვლელი გრეგ ფოსტერი და ქართველმაც ამდენ ხანს ამიტომ ითამაშა. ის კი არა, შეცდომები რომ არ დაეშვა და პერსონალურები ხშირად არ მიეღო, იქნებ კიდევ დარჩენილიყო მოედანზე.

სტეფანია ხან გრანტს ცვლიდა და ხანაც — ბეიკერს, ცოტ-ცოტა ყველა მეოთხედი ითამაშა. აქედან ყველაზე უკეთ — მეორე მეოთხედში. ამ მონაკვეთში ქართველმა სამჯერ დალაშქრა მეტოქის არცთუ კარგად დაცული კალათი და სამი მოხსნიდან ორი ამ დროს გააჩერხა. თავდაპირველად ვოვამ მეორე მეოთხედის პირველ წუთზე ჩააგდო ხუთიოდ მეტრიდან და თავისიანები 23:16 დააწინაურა, შემდეგ თითქმის იგივე ადგილიდან ივარგა ერთი წუთის შემდეგ და 25:16 გახადა. ბოლო ორი ქულა კი მეექვსე წუთზე მიითვალა და ნახევარკაუჭით, ვერნონ მაქსველს ფარქვეშ მშვენიერი პასის შემდეგ. სამ მოხსნასა და ექვსი ქულასთან ერთად ქართველმა ერთხელ დაუფარა მეტოქეს და მხოლოდ ერთხელ დაკარგა ბურთი.

თვითონ თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ „ვანკუვერმა“ ისედაც სუსტი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეწყვიტა და სტეფანიას გუნდმა მორიგი გამარჯვება მიითვალა. ისე „სუპერსონიქსს“ არც მომდევნო შეხვედრაში უნდა გაუჭირდეს, იგი ხომ ჩიკაგოში თამაშობს, ლიგაში ყველაზე უარესი შედეგის მქონე „ბულზთან“.

**ირაკლი ფირაშვილი**

17 დეკემბერი

**ინდიანა 89:74 იუტა**

ინდიანა: მილერი (19)

იუტა: მელოუნი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ფილადელფია 77:74 ჩიკაგო**

ფილადელფია: აივერსონი (19)

ჩიკაგო: ბენჯამინი (16)

**შარლოტი 99:86 კლივლენდი**

შარლოტი: ფილზი (19)

კლივლენდი: კემპი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო 112:98 ტორონტო**

ორლანდო: მეჯიტი (16), ეტკინსი (16)

ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (20)

**მინესოტა 88:97 ლეიკერსი**

მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 21 მოხსნა), ბრენდონი (22)

ლეიკერსი: ბრაიანტი (28 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), ონილი (24 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), რაისი (23)

**სან ანტონიო 103:94 ბოსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარვა)

ბოსტონი: ბაროსი (18)

**პორტლენდი 102:110 ფინიქსი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (22), პიპენი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: კიდი (32 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი), რობინსონი (23)

**კლიპერსი 92:91 გოლდენ სტეიტი**

კლიპერსი: ოდომი (23 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ჰადსონი (20)

გოლდენ სტეიტი: ფარმერი (19)

18 დეკემბერი

**დენვერი 86:84 სან ანტონიო**

დენვერი: მერსერი (25), კლარკი (13 ქულა, 16 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (33 ქულა, 17 მოხსნა)

**ფინიქსი 119:103 საკრამენტო**

ფინიქსი: რობინსონი (33), კიდი (27 ქულა, 14 მოხსნა, 14 პასი)

საკრამენტო: ვილიამსი (22), ვილიამსონი (20)

**ჩიკაგო 74:83 ორლანდო**

ჩიკაგო: ბრენდი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: ამაეჩი (13)

**დალასი 104:108 მინესოტა**

დალასი: ფინლი (27 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), დევისი (25)

მინესოტა: გარნეტი (27 ქულა, 14 მოხსნა), ბრენდონი (20)

**ჰიუსტონი 100:94 ბოსტონი**

ჰიუსტონი: კატო (27 ქულა, 14 მოხსნა), მობლი (21)

ბოსტონი: უოლკერი (24), ანდერსონი (23)

**მილუოკი 109:95 ინდიანა**

მილუოკი: რობინსონი (24 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (21), დევისი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**მაიამი 89:106 შარლოტი**

მაიამი: მურნინგი (18 ქულა, 11 მოხსნა, 9 დაფარება)

შარლოტი: ჯონსი (24), კოულმენი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ატლანტა 96:106 იუტა**

ატლანტა: რაიდერი (24), ჯექსონი (22), მუტომბო (21 ქულა, 11 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (33)

**დეტროიტი 104:91 ფილადელფია**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), ჰილი (20)

ფილადელფია: აივერსონი (19)

**კლივლენდი 74:98 ნიუ ჯერსი**

კლივლენდი: კემპი (14)

ნიუ ჯერსი: მარბერი (18), კიტლზი (18)

**ნიუ იორკი 83:95 ვაშინგტონი**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (19)

19 დეკემბერი

**ტორონტო 88:94 ლეიკერსი**

ტორონტო: კარტერი (29)

ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ონილი (24 ქულა, 15 მოხსნა), რაისი (22)

**ვანკუვერი 85:84 კლიპერსი**

ვანკუვერი: დიკერსონი (26), აბდურ-რაჰიმი (20)

კლიპერსი: ოდომი (28), ტეილორი (20)

**ნიუ ჯერსი 96:88 ატლანტა**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (20)

ატლანტა: რაიდერი (20)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკანდალური რგოლებში „რიბოკის“ გაიხლართა

ოლიმპიურ რგოლებში სკანდალური ისტორიები ერთი მეორის მიყოლებით იხლართება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან დაკავშირებულ კორუფციას, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების ხელში ჩასაგდებად მოქსოვილ ათასგვარ მაქინაციას და სხვა თავის ასატკივებელ ამბებს იდევ ერთი მიემატა.

ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ფირმა „რიბოკი“ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სპონსორი და ამ ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტისთვის სპორტული პროდუქციის ექსკლუზიური მიმწოდებელი იყო. „რიბოკი“ იყო აგრეთვე სიდნეის პარაოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო და ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების იმავე პროდუქციის ექსკლუზიური მიმწოდებელიც. მაგრამ სპორტული სამოსის ამ მწარმოებელმა შეაჩერა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისთვის მრავალმილიონიანი სპონსორული ხელშეკრულების მოქმედება და სარჩელი შეიტანა უმაღლეს სასამართლოში, რათა მას კონტრაქტის შეწყვეტის გამო ზარალი აუნაზღაურონ.

კომპანიის გენერალური მენეჯერის კეიტ ფორბსის თქმით, საკონტრაქტო თანხა 15 მილიონი ავსტრალიური დოლარი იყო (9,45 მილიონი აშშ დოლარი).

— სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან ჩვენ გვქონდა ექსკლუზიური შეთანხმება, რომ „რიბოკი“ ამ თამაშების მთავარი სპორტული მარკაა. სამწუხაროდ, საორგანიზაციო კომიტეტმა ჩვენს კონკურენტებთან დადო ხელშეკრულება. ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, ავდექით და კონტრაქტის შეწყვეტა გადავწყვიტეთ — წუხს კეიტ ფორბსი, თუმცა მან ავსტრალიელ ოლიმპიელ ჩინოვნიკებს მანევრებისთვის სივრცე და შანსი დაუტოვა. მან განაცხადა, „რიბოკი“ იმედოვნებს, რომ ავსტრალიის სპორტსმენებთან ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებაო, მაგრამ ამის თაობაზე საორგანიზაციო კომიტეტიდან ჯერჯერობით არაფერი ისმის.

გიგა გურასაშვილი

# აბრამ ლინკოლნის ოლიმპიური აკრედიტაცია



ხუთ რგოლს ესენილა აკლდა —
„აბრამ ლინკოლნი“ და მისი თანმხლები ხომალდი

ამერიკის შეერთებული შტატები სიდნეის ოლიმპიურ თამაშზე არა მხოლოდ სპორტში, არამედ სამხედრო სფეროშიც აპირებს თავისი ძლევამოსილების დემონსტრირებას.

ავსტრალიის სანაპიროებზე თავის მოქალაქეთა ტერორისტებისაგან დასაცავად მას განუზრახავს იქაურ წყლებში გაგზავნოს ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ავიამზიდი „აბრამ ლინკოლნი“, რომლის ბორტზეც იქნება სპეცდანიშნულების 6000-მდე მებრძოლი და შვეულმფრენები.

ამას იუწყება სიდნეის პრესა და ამასაც აღნიშნავს, რომ ამერიკელები მზად იქნებიან ტერორისტთა წინააღმდეგ ნებისმიერი მოქმედებისთვის და მათ ამის შესახებ შეიძლება ავსტრალიის ხელისუფალთ არც არაფერი ჰკითხონო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ვეება ავიამზიდს ჩვეულებისამებრ უნდა აედევნოს კიდევ ერთი სამხედრო ხომალდი ან წყალქვეშა ნავი, მაშინ ისედაც შთამბეჭდავი სურათი უფრო გრანდიოზული გამოდგება.

ავიამზიდის თამხლებ ხომალდზე იქნება სამხედრო ჰოსპიტალი და მრავალრიცხოვანი ჯარისკაცები, რომლებიც ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ომისთვის არიან მომზადებულნი.

სიდნეის გაზეთ „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, ავსტრალიის სანაპიროებისკენ არმადის გასაგზავნად საკმარისი იქნება აშშ-ს პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთი სატელეფონო ზარი ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ჯონ ჰოვარდთანო.

თუმცა „დეილი ტელეგრაფი“ ავსტრალიის მთავრობის ერთ-ერთ დიდი თანამდებობის პირზე დაყრდნობით იმასაც იუწყება, რომ „თუ საჭირო გახდება ამ მსოფლიოს პოლიციელს შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც საჭიროდ ჩათვლის“.

„აბრამ ლინკოლნი“ თანმხლებ ხომალდთან თუ წყალქვეშა ნავთან ერთად სიდნეის დასავლეთით 300 კილომეტრზე წყნარი ოკეანის ნეიტრალურ წყლებში იქნება.

ფიქრობენ, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს ოჯახითურთ დაესწრება აშშ-ს პრეზიდენტი კლინტონი და ვარაუდობენ, რომ მისთვის აპარტამენტები უკვე დაჯავშნულია. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთათვის ახლა სტუმართა მთავარი უხიფათობაა. ამიტომ ისინი ამერიკის სპეცსამსახურის თანამშრომლებს გამონაკლისის სახით უფლებას მისცემენ თან იქონიონ იარაღი.

„იანკები თავიანთ ხალხზე ზრუნვას არავის ანდობენ ისეთ უდიდეს საერთაშორისო მოვლენებისას, როგორიც ოლიმპიური თამაშებია“ — ამბობს ავსტრალიის მთავრობის ერთ-ერთი წყარო. ამასთან, იმასაც აღნიშნავს, რომ ამერიკელთა ავიამზიდს აეკრძალება ოლიმპიური თამაშების დღეებში სიდნეის ყურეში შესვლა, რადგან იგი ძალზე გადატვირთული იქნება ტურისტთა და დელეგაციათა საზღვაო ტრანსპორტით.

მაგრამ საინტერესოა, რა მოხდება, თუ ამერიკელთა ავიამზიდის მახლობლად რუსეთის სამხედრო ხომალდები გამოჩნდებიან და მათი წყალქვეშა ნავიც ამოყოფს თავს, ან მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ?

ამერიკელთა მონდომება ალბათ ლოგიკური იქნებოდა, ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ბაღდადი ან ბეირუთი რომ ყოფილიყო.

ისე, საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ რითი დავიცავდით სპორტსმენებს — ხანჯლებით თუ შურდულებით?

გიგა გურასაშვილი



# არასოდეს თქვა არასოდეს



პიტ სამპრასი



ჯონ მაკინროი და ანდრე აგასი

აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტნად ლეგენდარული ჯონ მაკინროის დანიშვნამ ნაყოფი უკვე გამოიღო — თუ ნაპატივები და ჯიბესქელი ამერიკელი სუპერვარსკვლავები მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობაზე აქამდე ცივ უარს აცხადებდნენ, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის სათავეში მისვლის შემდეგ ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა.

მაკინროიმ რამდენიმე დღის წინ მომავალი შეხვედრისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. 2000 წლის 4-6 თებერვალს ზიმბაბვეში იქაურებს დაუპირისპირდებიან მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასი, მესამე — პიტ სამპრასი, ტოდ მარტინი და წყვილებში თამაშის ოსტატი ალექს ობრაიენი.

თავისი მოთამაშეების შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცნობილი შარისთავი კაპიტნის მოვალეობის შესრულებას მძიმედ სულაც არ მიიჩნევს.

„კორტის კიდეში დავჯდები და თამაშით ვისიამოვნებ. ვინძლო ხელები ჯიბიდან არც კი ამოვიღო, ისე მოვიგებთ დევისის თასს. ჩემი ერთადერთი საზრუნავი პიტისა და ანდრეს თამაშზე დათანხმებაა, მერე კი ყველაფერს თავისით მოევლება“ — განუცხადა ჟურნალისტებს მაკინროიმ.

ამბიციები კი უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს დიდი აქვს: „როდესაც დევისის თასიდან წავალთ, გვინდა, მთელი მემკვიდრეობა დავტოვოთ, გათამაშება კი იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე ახლაა“.

მაკინროის „დრიმ თიმში“ სამპრასი და აგასი ერთეულებში ითამაშებენ, აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტ მარტინსა და ობრაიენს კი წყვილების ფუნქციები დაეკისრებიათ. იგივე მარტინმა, თუ ვინმე დაშავდება შეიძლება ერთეულებშიც დაიკავოს ადგილი.

სამპრასის თქმით, გაისად იგი დიდი სლემის ტურნირებთან ერთად სწორედ გუნდურ ჩემპიონატს და არა კლასიფიკაციას მიანიჭებს უპირატესობას, რის გამოც თანახმაა, მასტერსის სერიების (ყოფილი მერსედეს სუპერ 9) ტურნირებიც გამოტოვოს.

„არ გეგონოთ, იმიტომ ვთამაშობდე, რომ ჯონს დევისის თასი მოსწონს. მე თავად მსურს ასე“, აღნიშნა სამპრასმა, რომელმაც იხუმრა, მაკინროი ცემით დამემუქრა და ისე მაიძულა ზიმბაბვეში წასვლაო.

„ეს ისეთი ადგილია, სადაც გამგზავრება იოლი არ არის, მით უმეტეს, ზედ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ. მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ მხოლოდ მაშინ ვიქნებოდი მართალი და გუნდის ნამდვილი წევრი, თუ დევისის თასზე პირველივე წრიდან ვითამაშებდი“.

ასე რომ, უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონმა, რომელმაც შარშან მხოლოდ ერთხელ, ისიც წყვილებში ითამაშა თასზე, თავის საგაისო გრაფიკში გუნდური ჩემპიონატის ოთხივე პოტენციური შეხვედრისთვის გამონახა ადგილი.

ასევე მზად არის თავგანწირვისთვის მაკინროის კიდევ ერთი სუპერვარსკვლავი ანდრე აგასიც. თავხოტორა ამერიკელმა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ჰარი მარმიონთან უთანხმოების გამო ერთხანს ისიც კი განაცხადა, არ მიყვარს ამ სიტყვის ხმარება, მაგრამ დევისის თასზე მართლა არასოდეს ვითამაშებო.

მაგრამ როგორც ერთი ინგლისური გამოთქმა და თავად სერ შონ კონერი დაგვემოწმება, „არასოდეს“ არასოდეს უნდა თქვა. აგასიც ამჟამად მზად არის გუნდურ ჩემპიონატში თამაშზე და მიაჩნია, რომ მაკინროი ყველა დროის საუკეთესო კაპიტანი გახდება.

ასე რომ, ამერიკელები წინასწარ ემზადებიან საჩემპიონოდ და სათვალავშიც არ აგდებენ ზიმბაბვეს მოკრძალებულ ნაკრებს, რომელსაც დედაქალაქ ჰარარეს ათიათასკაციან სპორტის სასახლეში ძმები — ბაირონ და უეინ ბლექები გაუძღვებიან.

ბილეთები, რა თქმა უნდა, უკვე გაყიდულია — აფრიკელები მოუთმენლად ელიან ვარსკვლავების სტუმრობას.

მანამდე კი მაკინროი დევისის თასის ორგანიზატორებს ძირეული ცვლილებებისკენ მოუწოდებს: 40 წლის ჩოგბურთელი ყოველთვის იყო და არის კიდეც მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის დიდი მხარდამჭერი და გულშემატკივარი, მაგრამ, მისი აზრით, გათამაშებას განახლება და მოდიფიცირება სჭირდება.

„მაგალითად, თამაშების გრაფიკი ძალიან ცუდია. როგორ შეიძლება, მუდმივი ინტერესი გამოიწვიო, როდესაც ერთი მატჩი თებერვალშია, მეორე — ივლისში, მერე სექტემბერში და დეკემბერში?“

ამერიკელის თქმით, გამოსავალი ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსი ფორმატის შემოღება იქნებოდა: „ალბათ, უკეთესია, თუ ტურნირი განსაზღვრულ ადგილსა და დროს, ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდებოდა. მასში ყველა გუნდი ერთდროულად მიიღებდა მონაწილეობას და გამოყოფილ ორ-სამ კვირაში ჩემპიონატიც დასრულდებოდა“.

მაკინროის არ ესმის, თანამედროვე ვარსკვლავებს რად ეზარებათ დევისის თასზე თამაში: „ჩემთვის ის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ უიმბლდონი ან აშშ-ის ღია პირველობა. ეს გუნდური შეჯიბრია ინდივიდუალურ სპორტში, რაც ჩოგბურთს სხვა, განსხვავებული მხრით წარმოაჩენს. მას ყველა ჩოგბურთელმა უნდა დაუჭიროს მხარი“.

ავთანდილ სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის თხილამურობა

# ტვინშერყეული შეურყეველია

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ავსტრიელ ჰერმან მაიერს მსოფლიოს თასის დაუფლებაში ხელს ვერავინ შეუშლის. მართალია, სამთომოთხილამურეთა სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო რჩება, მაგრამ „ჰერმონატორი" ქულათა დიდი მარაგით საერთო ჩათვლის სათავეში დამკვიდრდა და ახლოს არავის იკარებს. თანაც ავსტრიელის უპირველეს მეტოქეს, შარშანდელ გამარჯვებულ ნორვეგიელ ლასე კიუსს ჯერჯერობით თავი არაფრით გამოუჩენია. მაიერმაც გაილაღა და წლევანდელი სეზონი ჩინებულად დაიწყოლ — ზედიზედ ხუთი ეტაპი მოიგო, თუმცა მერე ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა, ტვინის შერყევის გამო ორი შეჯიბრი გამოტოვა. გამოჯანმრთელებული იტალიაში, ვალ გარდენაში დაუბრუნდა თოვლიან დალმართს და სწრაფდაშვებაში მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა. მეორე დღეს კი უკეთ ისრიალა, წინ მხოლოდ თანამემამულე ანდრეას შიფერერი და იტალიელი კრისტიან გედინა გაუშვა და მესამე ადგილს დასჯერდა. ვალ გარდენადან სამთომოთხილამურეები ალტა ბადიაში გადაბარგნენ და გიგანტურ სლალომში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ყველასთვის მოულოდნელად ფრანგმა ჟოელ შენალმა იმარჯვა, რომლისთვისაც ეს გამარჯვება კარიერაში პირველი მოგებული მსოფლიოს თასის ეტაპია. „ჰერმინატორი" ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა, საერთო ჩათვლაში 760 ქულა დაუგროვდა და მეორეადგილოსან შტეფან ებერჰარტერს 320 ქულით უსწრებს.

სამთომოთხილამურე ქალები კი შვეიცარიულ სენტ მორისში სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სწრაფდაშვებაში ბადალი არ ჰყავდა შვედ პერნილა ვიბერგს, სუპერგიგანტში კი იტალიელმა კარენ პუტცერმა იმარჯვა.

## კაცები

17 დეკემბერი

ვალ გარდენა. იტალია. სწრაფდაშვება

1. კრისტიან გედინა (იტალია) — 2.02,99 წთ
2. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 2.04,34
3. ედ პოდივინსკი (კანადა) — 2.04,37

18 დეკემბერი. სწრაფდაშვება

1. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) — 2.04,78
2. კრისტიან გედინა — 2.04,89
3. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 2.04,99

19 დეკემბერი. ალტა ბადია. გიგანტური ალალომი

1. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) — 2.39,68
2. ჰერმან მაიერი — 2.39,79
3. რაინერ ზალცგებერი (ავსტრია) — 2.39,95

## საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი — 760 ქულა
2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 440
3. ანდრეას შიფერერი — 389

## ქალები

18 დეკემბერი. სენტ მორისი. შვეიცარია, სწრაფდაშვება

1. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 1.12,57 წთ
2. რენატა გოეტშლი (ავსტრია) — 1.12,79
3. ჰილდე გერგი (გერმანია) — 1.12,88

19 დეკემბერი. სუპერგიგანტი

1. კარენ პუტცერი (იტალია) — 1.27,37
2. ალექსანდრა მერლინი (იტალია) — 1.27,53
3. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 1.27,60

## საერთო ჩათვლა

1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 477
2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 449
3. რენატა გოეტშლი — 446




ჰერმან მაიერი

ჰოკეი

# ფლორიდა ბურეზე ლოცულობს

NHL

17 დეკემბერი

**ანაჰაიმი — ჩიკაგო 2:0**

0:0 2:0 0:0

1:0 პაველიდი 32'35 (2); 2:0 სალეი 34'34 (2)

**ედმონტონი — დალასი 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 ლაკოვიჩი 17'59 (2); 1:1 პოტი 26'41 (2); 2:1 რ. სმიტი 42'08 (13); 2:2 მიურეი 55'33 (2)

**დეტროიტი — კოლორადო 5:2**

1:1 4:1 0:0

0:1 დრური 2'42 (10); 1:1 ვერბიკი 3'04 (5); 1:2 როლსტონი 24'46 (7); 2:2 ფიოდოროვი 34'15 (9); 3:2 კოზლოვი 38'11 (10); 4:2 შენაჰანი 39'22 (17); 5:2 ბრაუნი 59'33 (7)

**რეინჯერსი — ვაშინგტონი 2:3**

0:0 2:2 0:0 0:1

0:1 საიმონი 20'53 (5); 1:1 გრეივსი 21'47 (9); 2:1 გრეივსი 33'43 (10); 2:2 ოუთსი 36'30 (4); 2:3 იუჰანსონი 60'31 (4)

**ატლანტა — ბოსტონი 1:3**

1:2 0:0 0:1

0:1 გილი 5'49 (2); 0:2 კარტერი 12'42 (11); 1:2 ფერარო 14'11 (6); 1:3 კარტერი 59'01 (12)

**ბუფალო — ფლორიდა 2:4**

1:1 0:1 1:2

0:1 ბურე 7'42 (16); 1:1 ბარნსი 17'55 (7); 1:2 უიტნი 27'49 (12); 1:3 ბურე 45'45 (17); 2:3 შატანი 53'11 (4); 2:4 ბურე 59'38 (18)

18 დეკემბერი

**კალგარი — ოტავა 2:1**

2:1 0:0 0:0

1:0 რეჟე 3'14 (2); 2:0 დომენიჩელი 7'05 (3); 2:1 კრავჩუკი 13'43 (1)

**აილენდერსი — ბუფალო 2:2**

0:0 1:2 1:0 0:0

0:1 ბრაუნი 26'36 (11); 1:1 ანდერსონი 30'58 (1); 1:2 ფული 39'27 (3); 2:2 კონოლი 46'53 (4)

**ფილადელფია — ტამპა 4:0**

1:0 1:0 2:0

1:0 სამუელსონი 4'30 (1); 2:0 ლეკლერი 35'59 (17); 3:0 ლეკლერი 50'42 (18); 4:0 ბიურო 51'23 (1)

**კაროლინა — ატლანტა 4:2**

1:2 3:0 0:0

0:1 სილვესტრი 4'34 (7); 0:2 შტეფანი 5'44 (4); 1:2 ჟელინა 10'36 (2); 2:2 რობერტსი 23'33 (5); 3:2 კრონი 36'46 (4); 4:2 ფრენსისი 38'34 (8)

**ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 5:4**

0:1 3:3 2:0

0:1 საიმონი 10'11 (6); 0:2 გონჩარი 22'59 (2); 1:2 მედენი 24'41 (4); 1:3 ჰალპერნი 32'32 (4); 2:3 ელიაში 35'41 (3); 3:3 ლემიე 37'09 (9); 3:4 გონჩარი 38'17 (3); 4:4 მედენი 43'58 (5); 5:4 ელიაში 45'04 (4)

**ტორონტო — მონრეალი 2:1**

0:0 1:1 1:0

0:1 კამინსი 30'00 (3); 1:1 იუშკევიჩი 36'17 (1); 2:1 ბერეზინი 56'18 (12)




ედმონტონელი ჯიმ დაუდის გოლი ოტაველი სენატორების კარში

**პიტსბურგი — ფლორიდა 2:5**

0:2 1:2 1:1

0:1 პერიში 5'45 (8); 0:2 კოზლოვი 12'47 (8); 0:3 ბურე 31'42 (19); 0:4 შპაჩეკი 32'22 (7); 1:4 შლეგრი 36'10 (5); 2:4 იაგრი 53'43 (25); 2:5 ბურე 59'15 (20)

**ნეშვილი — კოლორადო 2:2**

1:1 0:0 1:1 0:0

1:0 ჯონსონი 5'24 (7); 1:1 ფუტი 18'06 (3); 1:2 პოდინი 45'10 (5); 2:2 კრივოკრასოვი 39'22 (6)

**სენტ ლუისი — ბოსტონი 4:0**

1:0 1:0 2:0

1:0 მაკინისი 16'45 (5); 2:0 იანგი 29'59 (9); 3:0 იანგი 43'54 (10); 4:0 ჰანდზუსი 46'49 (11)

**ვანკუვერი — დალასი 2:4**

1:0 1:2 0:2

1:0 ოკუანი 17'40 (7); 1:1 სიდორი 25'26 (3); 2:1 მოგილნი 28'53 (10); 2:2 მოდანო 30'40 (12); 2:3 მიულერი 41'18 (1); 2:4 მოდანო 59'20 (13)

**ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 4:8**

1:4 2:2 1:2

0:1 ზმოლეკი 2'45 (2); 1:1 სმოლინსკი 4'21 (8); 1:2 ამონტე 4'59 (15); 1:3 დიუმონი 5'51 (6); 1:4 მენსონი 18'30 (1); 1:5 კოტი 21'17 (4); 1:6 დიუმონი 28'41 (7); 2:6 კ. ჯონსონი 33'27 (4); 3:6 ლაპერიე 37'48 (3); 3:7 სალივანი 50'18 (5); 3:8 მაკეიბი 52'39 (3); 4:8 კ. ჯონსონი 59'26 (5)

19 დეკემბერი

**ფინიქსი — სან ხოსე 4:3**

0:1 1:1 3:1

0:1 ფრიზენი 15'58 (15); 1:1 ადამსი 24'16 (8); 1:2 ნოლანი 30'14 (23); 2:2 გრინი 40'28 (12); 3:2 ტკაჩუკი 47'29 (15); 4:2 ნუმინენი 50'48 (4); 4:3 რიჩი 57'26 (9)

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 5:3**

1:0 2:2 2:1

1:0 ისბისტერი 3'00 (10); 2:0 კონოლი 23'50 (5); 2:1 ლემიე 28'31 (10); 2:2 ლემიე 30'03 (11); 3:2 ოჯიკი 36'44 (3); 4:2 იოკინენი 41'19 (2); 5:2 ანდერსონი 45'51 (2); 5:3 მედენი 50'59 (6)

**რეინჯერსი — ტამპა 5:4**

2:0 2:2 0:2 1:0

1:0 იუნსონი 11'07 (5); 2:0 იორკი 15'46 (10); 2:1 სილინჯერი 22'05 (10); 3:1 შნაიდერი 27'57 (4); 3:2 მარა 36'25 (1); 4:2 დეიგლი 38'15 (4); 4:3 მოდინი 52'5— (7); 4:4 გულა 56'12 (4); 5:4 ფლერი 60'45 (8)

**ფილადელფია — ნეშვილი 1:1**

0:0 0:0 1:1 0:0

0:1 ჩელბერგი 50'42 (10); 1:1 დეჟარდენი 59'06 (9)

**ანაჰაიმი — დეტროიტი 3:1**

2:0 1:0 0:1

1:0 მაკენზი 3'47 (2); 2:9 კალენი 12'45 (6); 3:0 კარია 30'13 (4); 3:1 ჩელიოსი 56'01 (2)

**ედმონტონი — ოტავა 3:3**

1:2 0:0 2:1 0:0

1:0 დაუდი 2'29 (1); 1:1 ჟიუნო 51'26 (4); 1:2 რედენი 9'43 (6); 2:2 მორო 43'54 (5); 2:3 ვან ალენი 49'51 (2); 3:3 დევერო 53'24 (3)

„მადლობა ღმერთს, რომ პაველ ბურეს ყველა ტრავმა წარსულს ჩაბარდა, თორემ მის ხანგრძლივ მკურნალობას მესამედ ნამდვილად ველარ გადავიტანდით" — ფლორიდის გენერალური მენეჯერის, ტერი მიურეის შეშფოთება გასაგებიცაა. მას შემდეგ, რაც უმნიშვნელოვანესი ტრეიდი განახორციელა და ჩინებული სნაიპერი შეიძინა, მისი ოსტატობით აღფრთოვანებულს თავსატეხიც ბლომად ჰქონდა, ფორვარდი ხომ ხშირად შავდებოდა.

შარშან ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ მან უმძიმესი ტრავმა მიიღო და ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში გუნდს ვერ დაეხმარა. ძველმა ტკივილებმა ფორვარდს წლეულსაც 8 თამაში გამოატოვებინა, მაგრამ ბედად ბურე გამოჯანმრთელდა და ბოლო ხანებში თავის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს კვლავ ახარებს. გასული უქმეებიც მისთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. მისი მსხვერპლი ჯერ ბუფალო გახდა — ბურემ „ხმლებს" 3 შაიბა შეუგდო (ბოლო ხუთ მატჩში მეორე ჰეთ თრიქი), რასაც კიდევ ერთი პასი დაამატა. მეორე გოლი, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა, ბურემ თავის ჩვეულ სტილში გაიტანა. ფორვარდი თვალის დახამხამებაში გასცდა მეტოქეთა მცველებს (რაკეტას ტყუილად ხომ არ უწოდებენ) და მეკარესაც იოლად გაუსწორდა. შაბათს კი ბურემ თვით იაგრს მოუგო დუელი და 3 (2+1) ქულით ლომის წილი დაიდო პიტსბურგის დამარცხებაში. უნდა ითქვას, რომ ეს „პინგვინთა" ახალი მწვრთნელის, ჰერბ ბრუქსის პირველი მარცხი იყო. ლიესდღეობით ფლორიდაში ნათამაშევ 33 მატჩში ბურეს ამდენივე გოლი აქვს გატანილი, რაც თანამედროვე ჰოკეიში ერთობ იშვიათად ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ კოლორადო წლეულს არცთუ დამაჯერებლად ასპარეზობს, მისი და დეტროიტის ნებისმიერი დაპირისპირება უმალვე ყურადღების ცენტრში ექცევა. მათი ბრძოლა ამჯერადაც (ისევე როგორც საერთოდ ბოლო წლებში) ძალიან საინტერესო გამოდგა და რომ არა ორი საბედისწერო შემთხვევა, ვინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა. მეორე პერიოდის მიწურულს რიცხვმრავლობაში მყოფმა კოლორადოელებმა 11 წამის განმავლობაში ორჯერ დაკარგეს შაიბა, რაც ორი გოლის ფასად დაუჯდათ. დეტროიტელთა მინიმალური უპირატესობა [illegible] შემდეგ [illegible] გაიხსნეს და [illegible]

[illegible] იღბლიანი გამოდგა [illegible] დებიუტი ახალ კლუბში [illegible] წლის ვეტერანმა ზედიზედ [illegible] ტჩში გაიტანა, ოღონდ წინა 8 თვით ადრე იყო, როცა ფორვარდი ფლორიდას ღირსებას იცავდა. ამჯერად კი მიულერმა ვანკუვერთან შეხვედრაში გადამწყვეტი შაიბა შეაგდო და თანაკლუბელ მაიკ მოდანოს 4-ქულიანი ასპარეზობაც (2+2) კი დაჩრდილა.

შეიძლება ერთხელ დამარცხდე, ორჯერ, მაგრამ როცა ეს ზედიზედ მესამედ ხდება, უკვე კატასტროფაა. აქამდე კარგად მოასპარეზე ლოს ანჯელესი კვლავ განადგურდა. ნიუ იორკში გატარებული ორი კოშმარული ღამის შემდეგ შინდაბრუნებულ „მეფეებს" აუტსაიდერმა ჩიკაგომ აჭამა სირცხვილი. საბედისწერო აღმოჩნდა პირველი პერიოდი — მასპინძლებმა ოთხი შაიბა გაუშვეს.

სენტ ლუისის მორიგი გამარჯვება ბოსტონთან „დათვების" ვეტერანის, ჯო მერფის უხეშობამ განაპირობა. ლადისლავ ნაღის გამეტების გამო ფორვარდი ხუთწუთიანი ჯარიმით დაისაჯა, რომელიც მასპინძლებმა ორჯერ გამოიყენეს. სენტ ლუისის მცველმა ელ მაკინესმა 3 (1+2) ქულა მიითვალა, პიერ ტარჯონის ქულიანი სერია 8 მატჩამდე გაზარდა, ხოლო მეკარე რომან ტურეკმა სეზონში მეორედ შეინახა კარი მშრალად.

შათაუტები ანაჰაიმელმა გი ებერმა და ფილადელფიელმა ბრაიან ბუშემაც მიითვალეს. აღსანიშნავია, რომ ებერმა ჩიკაგოსთან გამორჩევის შემდეგ დეტროიტთანაც საუცხოოდ (30 მოგერიება) ითამაშა და მეტოქეს მხოლოდ 57-ე წუთზე გაატანინა. 22 წლის ახალბედა „მფრინავი" უკვე ამომავალ ვარსკვლავადაა შერაცხული.

ბოლოს რეინჯერს — ტამპას შეხვედრის ერთ არაჩვეულებრივ მოვლენაზეც მოგახსენებთ. მატჩის მესამე პერიოდში ტამპამ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. იმ მომენტისთვის სულ ორი მცველით მოთამაშე „ელვებმა" (სამმა თამაშის მსვლელობისას ტრავმა მიიღო) ორშაიბიანი დეფიციტი დაფარეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს. დამატებით დროში რეინჯერსელმა ტეო ფლერიმ (1+3) იხეირა, მაგრამ ახალი წესის თანახმად „ელვებმა" ერთი ქულა მაინც შეიძინეს.

**სამველ ლარიბიანი**

# ჩემპიონი მასწავლებელი


REUTERS ბანკოკიდან

ნაიამ გრიფინი, 22 წლის ინგლისურის მასწავლებელი, წარმოშობით ირლანდიის კორკის პროვინციიდან, ბანკოკის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზშია. კიკბოსინგში ასე გულმოდგინედ მოვარჯიშე მის გრიფინი ალბათ, პირველი უცხოელი ქალი იქნება, ტაილანდის ჩემპიონი რომ შეიქნება ხელ-ფეხით კრივობის რთულ სახეობაში. კიკბოქსინგი ტაილანდელთა ეროვნული სპორტია, ნაიამი კი ინგლისურს ასწავლის ბანკოკში. ცხადია, ბავშვები ვერ იცელქებენ. რას გაბედავ ჩემპიონი მასწავლებლის ხელში.

## იტალია

სერია B

ნაპოლი 1:1 ჩეზენა

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

გლადბახი 4:0 ნიურნბერგი

# იაპონელთა გარიგება


REUTERS ტოკიოდან

ყველაზე განთქმული იაპონელი პიჩერი კაზუჰირო სასაკი ამერიკას მიემგზავრება. მას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია „სიეტლ მარინერზთან". ამ საბეისბოლო გუნდის პატრონი ასევე იაპონელი ჰიროში იამაუჩი გახლავთ, კომპანია „ნინტენდოს" პრეზიდენტი. სწორედ „ნინტენდოს" ერთ-ერთი განთქმული თამაშის, „პოკემონის" გმირის, პაჩეკოს თოჯინას გადასცემს იამაუჩი სასაკის, რომელსაც რა დასამალია და, კარგა ხანია „იოკოჰამელ ჯადოსანს" უწოდებენ საკეტბურთო ოსტატობის გამო.



REUTERS ლევერკუზენიდან

# შობა მოდის

*შობა მოდისო და ირთვება მთელი ევროპა. აგე, ამას თავისებურად ეხმიანება შტეფან ბაინლიხი, ლევერკუზენის „ბაიერის" მოთამაშე. სანტა კრუსი, მერი ქრისთმას და სხვა.*



# როცა მარსელი აგებს


REUTERS მარსელიდან

გოგოქროგს მარსელის „ველოდრომი". „ოლიმპიკის" უვარგისი თამაშით გადარეული იქაური გულშემატკივრები ხან მოედანზე შევარდნას და საკუთარ ფეხბურთელთა გასილაქებას ლამობენ, ხანაც დადუმდებიან და პლაკატს გამოიტანენ ტრიბუნებზე — „თქვენ მხოლოდ სიძულვილსა და დუმილს იმსახურებთ". „ოლიმპიკი" კი აგებს, აგებს...



REUTERS ლეგანესიდან

# დაიცვა

წინა კვირაშიც ვიუწყებოდით. ესპანურ ლეგანესში საბჭოს (ვბკ) იქაური ჩემპიონი ხავიერ კასტელიეხო თავისი ტიტულის დასაცავად ემზადებოდა და მოწინააღმდეგედ დანიელი მიქაელ რასკი ჰყავდა. ესპანელმა ისე მოაქცია დანიელი, რომ ბრძოლა მეშვიდე რაუნდში შეწყვიტეს ამ უკანასკნელის თავ-პირის დასისხლიანების გამო. პუბლიკა აღტაცებით შეეგება ტიტულის დამცველს, ხოლო ტიტულის დამცველი — პუბლიკას.





**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli